

N 0132-5981

საბჭოთა საპარტიალო



78
988

1988

6

მთავარი რედაქტორი
ლერი თალაკვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ლევან ალექსიძე
ანზი არსენაშვილი
(მეცნიერ-რედაქტორი)

ველა ბერძენიშვილი
(კასუსისმეცნიერი მდივანი)

ანზორ გაბიაძე
სოთა გორგოძე
აბაკი კარანაძე
დურმიშხან ლორია
ვახტანგ რაჭვაცხელი
გრიგოლ როინიშვილი
თამაზ უაგვუღიძე
ვიქტორ უარაუნიძე
ირაკლი ჩიქოვანი
ხერკო ჯორჯანიძე

Главный редактор
Талаквадзе Л. Г.

Редакционная коллегия:

Алексидзе Л. А.
Арсенашвили А. Г.
(научный редактор)

Бердзенишвили Г. Д.
(ответственный секретарь)

Габиаши А. А.
Горгодзе Ш. В.
Джорбенадзе С. М.
Каранадзе А. Г.
Лория Д. А.
Размадзе В. А.
Роинишвили Г. В.
Чиковани И. П.
Шавгулидзе Т. Г.
Шарашенидзе В. А.

საჭმომთა სამართალი

№ 6

ნომერი
დეკემბერი
1968 წელი

შურნალი გამოდის 1928 წლის 1 მარტიდან

საპარტევლოს სსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების,
რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს
მაცნეიერულ-კარაქტიკული შურნალი

შ ი ნ ა ბ რ ს ი

კოლექტიური ნება	3
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება	
სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის შემდგომ ღონისძიება- თა შესახებ	4
სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე XII სესია	
დეპუტატ ჯ. ი. პატიაშვილის სიტყვა 10 ნომერი მილიციის დღეა!	6
პ. ხვიჩია — საბჭოთა მილიციის ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპი კარიგული და საქალაქო გაყვითების ფურცლებზე	10
ა. გრიგალაშვილი — ყურადღების ცენტრშია სამართლებრივი საკითხები ბარდაქმნა დროის მოთხოვნა!	15
მ. კომახიძე — სრულყოფილი იუსტიციის ორგანოების მუშაობა კვალიფიკაციის ამაღლება თვალსაზრისი	19
ბ. ყურაშვილი — საწარმოო თვითმმართველობის პრობლემები სსრ კავშირში ნარკომანია და კრახი	23
გ. ჯურული — საკავშირო თათბირ-სემინარი სასამართლო მსაპროკურორის: სიხალისე და კარაქტიკა	32
დ. ალექსიძე — ტრასოლოგიური კვლევის ახალი მეთოდები კირველი ნაბიჯები მაცნეიერებაში	36
დ. გიორგაძე — სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებისა და საარბიტრაჟო კანონმდებ- ლობის განვითარების ძირითადი ეტაპები მოსახლეობის სამართლებრივი მოსახსურება	40
ზ. წურჭული — პრობლემები, პერსპექტივები სახალხო მსაჯულის ტრიბუნა	44
დ. ცინცაძე — აქტიურად დავეხმაროთ სამართალდამცველ ორგანოებს	49
ვ. კაჭახიძე — მიზანშეწონილობა სასამართლო მკვერპეტყველებაში ჩვენი პროფესიის ვებარანები	53
გ. ბერძენიშვილი — დამსახურებული იურისტი ნომერი დიდი ილიას დაბადების დღეა!	56
ვ. მებრეველი — ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ პაპიტალიზმის შვენიერება	58
იოსებ ვატანაძე — სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე მმართველო- ბაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საწყისები	64
რა ვუთხრათ ასეთ სამართალს?	
ა. არსენაშვილი — ხომ არ შეცდით, პატივცემულო მოსამართლენო!	67
ინფორმაცია	69
პრიმიწილისტიკის ისტორიიდან	
ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები	75



СОДЕРЖАНИЕ

Коллективная воля	3
<u>Постановление Верховного Совета СССР</u>	
О дальнейших шагах по осуществлению политической реформы в области государственного строительства	4
<u>На внеочередной двенадцатой сессии одиннадцатого созыва</u>	
<u>Верховного Совета СССР</u>	
Выступление депутата Патиашвили Д. И.	6
<u>10 ноября — День милиции</u>	
П. Хвичия — Ленинский принцип двойного подчинения Советской милиции	10
<u>На страницах районных и городских газет</u>	
А. Григалашвили — В центре внимания правовые вопросы	15
<u>Перестройка — веление времени!</u>	
М. Комахидзе — Повысим квалификацию подготовки работников органов юстиции	19
<u>Взгляд</u>	
Б. Курашвили — Проблемы производственного самоуправления в СССР	23
<u>Наркомания и пресса</u>	
Г. Гурули — Всесоюзное совещание-семинар	32
<u>Судебная экспертиза: новшество и практика</u>	
Д. Алексидзе — Новые методы трассологических исследований	36
<u>Первые шаги в науке</u>	
Д. Георгадзе — Основные этапы развития законодательства органов государственного арбитра и арбитража	40
<u>Правовое обслуживание населения</u>	
З. Цурцумия — Проблемы, перспективы	44
<u>Трибуна народного заседателя</u>	
Д. Цинцадзе — Оказать активную помощь правоохранительным органам	49
В. Качахидзе — Целесообразность в искусстве судебного красноречия	53
<u>Ветераны нашей профессии</u>	
Г. Бердзенишвили — Заслуженный юрист	56
<u>8 ноября — День рождения Ильи Чавчавадзе</u>	
В. Метревели — Илья Чавчавадзе о государстве и праве	58
<u>В капиталистических странах</u>	
Иодзо Ватанабэ — Начало участия общественности в управлении на разных исторических этапах государственности	64
<u>И это правосудие?</u>	
А. Арсенашвили — А не ошиблись ли вы, уважаемые судьи?	67
<u>Информация</u>	69
<u>Из истории криминалистики</u>	
Известные уголовные дела	75



© „საბჭოთა სამართალი“, 1988 წ.

რედაქციის მისამართი. 880110, თბილისი, ღვთისმშობლის ძ. 103, ტ. 95-88-49, 95-58-87

გაღებულა წარმოებას 16.11.88 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 9.12.88 წ., ფორმატი 70 X 1081/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. № 2905 ტირაჟი 42.000 უე 04808

საქ. კა. ცე-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

კოლექტიური ნება

8
5
8

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეთერთმეტე მოწვევის რიგგარეშე მე-
 თორმეტე სესიას წილად ზედა უდიდესი პასუხისმგებლობა ისეთი გადაწყვეტი-
 ლებების მიღებისა, რომლებიც რევოლუციური გარდაქმნის გზაზე ჩვენი ქვეყ-
 ნის დადგომას, საბჭოთა საზოგადოებრიობის განახლებას უკავშირდება. ამ პრო-
 ცესების საფუძველთა საფუძველია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა შო-
 რის მტკიცე შეგობრობა. სესიაზე ცხადად გამოჩნდა, რომ ასეთი ერთიანობის
 გარეშე წარმოუდგენელია საბჭოთა საზოგადოებრიობის წინსვლა. ამ დიდ ფო-
 რუმზე კიდევ ერთხელ თვალნათლივ წარმოჩინდა ქართველი ერის ინტერნაციო-
 ნალური ბუნება, მისი თვითმყოფადი ხასიათი. ცნობილია და ექვგარეშეა,
 რომ სწორად, ღრმად გაგებულნი ეროვნული — ინტერნაციონალურია. დიან,
 სწორედ ასე შეიძლება შევაფასოთ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის მოხსენება
 საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე. აქ მთელი პასუხისმგებლობითა
 და გულისსურით იქნა გათვალისწინებული ჩვენი ერთიანი სახელმწიფოს ყველა
 რესპუბლიკის მშრომელების კოლექტიური ნება თითოეული ერისა და ეროვნ-
 ნების სუვერენიტეტის შემდგომი განმტკიცებისათვის. სწორედ ინტერნაციო-
 ნალიზმის სრული გამოვლინება იყო ჩვენი სახელმწიფოს ლიდერის წინადა-
 დება, შემუშავდეს ღონისძიებათა სისტემა ყველა რესპუბლიკის პოლიტიკური,
 სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების უზრუნველსაყოფად, საბჭოთა კავ-
 შირში მათი სუვერენული უფლებების გაფართოებისა და საიმედოდ დაცვისათ-
 ვის. ამ წინადადებას სესიაზე სრული მხარდაჭერა პოვა, ეს არის ლენინური
 ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული გატარების ერთადერთი და სამართ-
 ლიანი გზა. ამ თვალსაზრისით თუნდაც რად ღირს მიხეილ სერგის ძე გორბა-
 ჩოვის მიმართვა საქართველოს მშრომელებისადმი. სწორედ ამ წმიდათაწმიდა
 საქმეს უნდა ემსახურებოდეს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი
 კანონი — სსრ კავშირის კონსტიტუცია, სწორედ ამას უნდა ემსახურებოდეს
 ჩვენი განახლებული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ველარ იგუებს განუ-
 კითხაობას, „ბელადომანიას“ მთელი ჩვენი საზოგადოების ნებისმიერ საფეხურ-
 ზე, რომ იწეიმოს კოლექტიურმა ნებამ.



საქ. სსრ კ. შარქაის
 საბ. საბ. რესპუბლ.
 საგარეო ურთიერთობების
 სამსახური

სახელმწიფო მენეჯლოგის დარგში პოლიტიკური რეფორმის შედეგად ლონისძიებათა შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო, რომელმაც განიხილა სახელმწიფო მშენებლობის დარგში პოლიტიკური რეფორმის ღონისძიებათა საკითხი, ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებსაც სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ატარებენ საბჭოთა საზოგადოების გარდაქმნის, დემოკრატიზაციის განხორციელებისა და გადრმავეებისათვის, სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების გარდაქმნის, სახალხო დეპუტატთა საბჭოების, როგორც სოციალისტური სახელმწიფოებრიობისა და ხალხის თვითმმართველობის საფუძვლის, სრულუფლებიანობის უზრუნველყოფისათვის სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

მხარი დაუჭიროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ან. მ. ს. გორბაჩოვის მიერ ამ სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ქვეყნის პოლიტიკური სისტემის ძირეული განახლების პროგრამას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებათა დარჩენილ პერიოდში განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც დაკავშირებულია პოლიტიკური რეფორმის პირველი ეტაპის ამოცანების გადაწყვეტასთან და მის მომდევნო ეტაპებზე პრაქტიკულ ღონისძიებებთან.

2. იმის გათვალისწინებით, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა არჩევნებს საბჭოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის გაძლიერებაში, სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროს დემოკრატიზაციაში, დაევალოთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს და სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებს არჩევნების შესახებ ახალი კანონმდებლობის საფუძველზე უზრუნველყონ საჭირო პირობები, რომ შრომითი კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ამომრჩევლები სრულად იყენებდნენ თავიანთ უფლებებს საარჩევნო კამპანიის დროს, ღიად და საჯაროდ წყდებოდეს დეპუტატობის კანდიდატების დასახელებასთან, მათ რეგისტრაციასთან, კენჭისყრასთან და არჩევნების შედეგების განსაზღვრასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ყოველდღიური პრაქტიკული დახმარება გაუწიონ საარჩევნო კომისიებს მათ უფლებამოსილებათა განხორციელებაში.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით უზრუნველყონ, რომ ღრმად დამუშავდეს წინადადებანი სსრ კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილების მომწიფებელი საკითხების გადაჭრის შესახებ, ამასთან მხედველობაში იქონიონ რესპუბლიკების კომპეტენციის გაფართოების, სსრ

კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ურთიერთობაში ზედმეტი ცენტრალიზაციის აღმოფხვრის ღონისძიებანი და ამავე დროს გაითვალისწინონ სსრ კავშირის იმ უფლებამოსილებათა შენარჩუნების შემდგომი ღონისძიებანი, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მას უზრუნველყოფდეს სსრ კავშირის მთელ ტერიტორიაზე სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ძირეული საკითხების საკანონმდებლო რეგულირების ერთიანობას, ხელმძღვანელობდეს ქვეყნის ეკონომიკას, როგორც ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, აწყობდეს სსრ კავშირის თავდაცვას, წარმოადგენდეს მას საერთაშორისო ურთიერთობაში და წყვეტდეს საერთო-საკავშირო მნიშვნელობის სხვა საკითხებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და პალატების საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა შექმნან ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისაგან შემუშაო ჯგუფი და დაავალონ მას მეცნიერთა და სპეციალისტთა — ეკონომისტთა, სოციოლოგთა, იურისტთა მონაწილეობით მოამზადოს წინადადებანი სსრ კავშირისა და რესპუბლიკების კომპეტენციის გამიჯვნის შესახებ, მათი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების უფრო სრული უზრუნველყოფის, ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის, მთელი ქვეყნის შემდგომი განვითარების ამოცანების მაქსიმალური გათვალისწინების ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დააჩქაროს სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკებისა და რეგიონების გადასვლის პირობების შემუშავება, მხედველობაში იქონიოს მათი შესაძლებლობებისა და რესურსების მაქსიმალური გამოყენება რეგიონალური, რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო ამოცანების გადაწყვეტისათვის.

4. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა და მინისტრთა საბჭოებმა მიიღონ დამატებითი ზომები, რათა სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა გამოიყენონ თავიანთი უფლებები და შესაძლებლობანი ადგილობრივი ცხოვრების ყველა საკითხის გადაწყვეტაში, ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის აქტიური მონაწილეობით განახორციელონ ადგილობრივი თვითმმართველობისა და ადგილობრივი მეურნეობის შესახებ კანონის პროექტის შემუშავება.

დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს შეიმუშაოს და მიიღოს დროებითი დებულება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების პრეზიდიუმებისა და თავმჯდომარეების შესახებ, განახორციელოს ღონისძიებანი, რათა საბჭოების მუდმივ კომისიებს, დეპუტატთა ჯგუფებს, სახალხო დეპუტატებს, აღმასრულებელ კომიტეტებს შეექმნათ სათანადო პირობები ახალ პირობებში დამოუკიდებელი და ინიციატივიანი მუშაობისათვის.

5. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულობათა კომისიებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ ფართო დემოკრატიულ საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების მონაწილეობით აწარმოონ ინტენსიური საკანონპროექტო მუშაობა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ნორმატიული აქტების მომზადებას, რომელთა მიზანი იქნება გარდაქმნის გარანტიათა დამკვიდრება. გაააქტიურონ მუშაობა სსრ კავშირში სასამართლო წყობილების შესა-

ნებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების, სსრ კავშირში მოსამართლეთა სტატუსის შესახებ კანონის, სასამართლო-სამართლებრივი რეფორმის მოწყობისათვის გამიზნული სხვა საკანონმდებლო აქტების პროექტებზე, აგრეთვე სხვა კანონთა პროექტებზე. განახორციელონ იურიდიული კადრების მომზადების გაუმჯობესებისა და სახელმწიფო ორგანოებსა და სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების გადაუდებელი ღონისძიებანი.

6. სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, მათმა აღმასრულებელმა და განმკარგულებელმა ორგანოებმა, სამინისტროებმა, სახელმწიფო კომიტეტებმა და უწყებებმა, სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოების ხელმძღვანელებმა განიხილონ სსრ კავშირის კონსტიტუციის ცვლილებებისა და დამატებების შესახებ სსრ კავშირის კანონის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დროს შემოსული მოქალაქეთა წინადადებანი და შენიშვნები საკითხებზე, რომლებიც ამ ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება, და განახორციელონ მათი რეალიზაციის ღონისძიებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გულდასმით გააანალიზოს სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებზე ამ სესიაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. გორბაჩოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. მენთეშაშვილი

მოსკოვი, კრემლი, 1988 წლის 1 დეკემბერი.

სსრ კავშირის XI მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე XII სესია

დეკრეტ ჯ. ი. პატიშვილის სიტყვა

სოხუმის საქალაქო საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ

აშხანაგო დეპუტატებო! უმაღლესი საბჭოს ახლანდელი სესია განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს განიხილავს და არაორდინარულ პოლიტიკურ ატმოსფეროში მიმდინარეობს. უმაგალითოდ აქტიურდებიან საზოგადოება, ინტელექტუალური ძალები, ჩვენი ახალგაზრდობა, გამოითქმება ორიგინალური აზრები და შეხედულებანი. ეს სესიაზე წარმოდგენილი კანონპროექტების საყოველთაო-სახალხო განხილვამაც დაადასტურა.

არ შემიძლია და არც ვცდილობ დავმალო ჩემი მღელვარება, რადგან იმისადმი, რაც ამ დარბაზში ხდება, დღეს მოპყრობილია მთელი ქვეყნის, ყველა რესპუბლიკის განსაკუთრებული ყურადღება. ჩვენ, დეპუტატებმა, უნდა მივიღოთ პასუხსაგები გადაწყვეტილებანი, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენი საზოგადოების, საბჭოთა სახელმწიფოებრიობის, მთლიანად სოციალიზმის მომავალს.

ჩვენ საკუთარი გამოცდილებით დავრწმუნდით, რომ დემოკრატიული მე-
თოდებით საზოგადოების მართვა განუზომლად უფრო რთულია, ვიდრე ავტო-
რიტარული მეთოდებით. მაგრამ დემოკრატიზაცია საზოგადოებრივი ატმოსფე-
რის გაჯანსაღების, პიროვნების სოციალური დაკომპლექსების დაძლევის ერ-
თადერთი გზაა. ჩვენს ქვეყანაში შექმნილ ნამდვილად მაქსიმალურად ხელშემ-
წყობ პირობებს იმისათვის, რომ ხალხს სრულად გამოველინა თავისი ნება-
სურვილი, არ შეიძლებოდა არ მოჰყოლოდა აზრთა გარკვეული პოლარიზაცია.
მით უფრო მჭიდროდ ირახმებიან და აკავშირებენ თავიანთ რიგებს საზოგადო-
ების ჯანსაღი ძალები, რის დადასტურებაც არის ამ დღეებში გამართული სა-
ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელზეც სუფევდა ნამდვილი ინ-
ტერნაციონალიზმის სულისკვეთება.

ამასთან ამ ნება-სურვილის გამოვლენის ფორმები ყოველთვის არ იყო
მისაღები, ზოგჯერ არასასურველ ექსცესებს იწვევდა, და ჩვენ საგსებით ვიზი-
არებთ, ამ თვალსაზრისით შეუფოთებას, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი
საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე გამოითქვა. თვითკრიტიკულად უნდა ვალიარო:
გამოვლინდა რესპუბლიკის მართვის ორგანოების, მათ შორის პარტიული კო-
მიტეტების, არასაკმარისი მომზადება არაორდინარულ პირობებში მუშაობი-
სათვის, და დემოკრატიული ტრადიციების უქონლობა. ჩვენ გამოგვაქვს დას-
კვნები, ვააქტიურებთ მუშაობას მასებში.

დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში მუშაობის პირველმა
გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მხოლოდ ხალხის აზრზე დაყრდნობით შეიძლება
შევიწარჩუნოთ საზოგადოების მართვის უმთავრესი ბერკეტები, კონტროლი
გაუფწოთ სიტუაციას. ნებისმიერ ნაჩქარეობას და გაუფრთხილებლობას შე-
უძლია წყალში გადაგვიყაროს ის უზარმაზარი პოლიტიკური მონაპოვარნი,
რომლებსაც გარდაქმნის წლებში მივალწვიეთ.

სესიის მუშაობისადმი ინტერესი და წილნაყარობა რესპუბლიკაში უდი-
დესია. გაიმართა მრავალათასიანი მანიფესტაციები დედაქალაქში. დღეს მიჩეილ
სერგის ძეგ, თბილისში გამართულ მიტინგზე წაიკითხეს თქვენი გულთბილი
მომართვა საბჭოთა საქართველოს მშრომელებისადმი, ქართველი ერისადმი,
იგი უდიდესი აღფრთოვანებითა და გაგებით აღიქვეს.

თუ უკუვადებთ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის საწინააღმდეგო მსჯე-
ლობას, ყურადღება უმთავრესად მიპყრობილი იყო ეროვნულ-სახელმწიფო-
ებრივი წყობილების, ფედერალური და რესპუბლიკური ინტერესების ორგა-
ნული შერწყმის პრობლემებზე და ამ თვალსაზრისით სსრ კავშირის კონსტი-
ტუციის ცვლილებათა და დამატებათა შესახებ კანონის პროექტის 108-ე მუხ-
ლის მე-2 პუნქტსა და 119-ე მუხლის მე-13 პუნქტზე.

ამის მიზეზებს ღრმად აქვს გადგმული ფესვები ეროვნულ ფსიქოლოგიაში,
და მინდა ერთგვარი განმარტება მივცე დებუტატებს. მთელი უკანასკნელი სა-
უკუნეების მანძილზე ქართველი ხალხისა და საქართველოს სხვა ხალხების
ისტორიული მიზანი იყო ბრძოლა გადარჩენისა და ერთიანი სახელმწიფოებრი-
ობის შექმნისათვის. რუსეთის მფარველობაში შესვლამ ქართველი ერი იხსნა
ფიზიკური მოსპობისაგან. იხსნა. თუმცა მწვავე დემოგრაფიული პრობლემები
კვლავინდებურად დარჩა საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში, ქეშმარი-
ტი სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი საქართველომ დიდი ოქტომბრის
სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ აღიდგინა.

ამრიგად, ყველაფერი, რაც ასე თუ ისე ამ სფეროს შეეხება, უაღრესად

მწვავედ, მტკივნეულადაც კი აღიქმება. თქვენ გახსოვთ ისტორიიდან, რომ სწორედ ქართველმა კომუნისტებმა საბჭოთა ფედერაციის შექმნის დროს ერთ-ერთმა პირველებმა გაილაშქრეს ერთა „ავტონომიზაციის“ სტალინისეული იდეის წინააღმდეგ. და მათს ამ პოზიციას მხურვალედ დაუჭირა მხარი ვ. ი. ლენინმა თავის უკანასკნელ წერილებში.

რეალურად უზრუნველყოფილი სუვერენიტეტი საერთო-საკავშირო და საერთო-ეროვნული ენერჯის მძლავრი გენერატორია, პიროვნების პოლიტიკური გაუცხოების დაძლევის საშუალებაა, და ამიტომ მთელი რესპუბლიკა ერთსულოვნად უჭერს მხარს გარდაქმნის კურსს, რომელსაც აპრილის შემდეგ დაადგა ჩვენი პარტია. რესპუბლიკათა სუვერენიტეტის განმტკიცება სერიოზული დაბრკოლებაა ძალაუფლების მეტისმეტი ცენტრალიზაციისა და ბიუროკრატიზაციის გზაზე, დემოკრატიზმის გაღრმავების უმნიშვნელოვანესი პირობაა. დღეს კი შეგვიძლია მოვიყვანოთ არაერთი მაგალითი, როცა ცენტრალური უწყებანი იღებენ ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს ისე, რომ არც კი აგებინებენ რესპუბლიკურ ორგანოებსა და შრომითს კოლექტივებს, როცა მათი ხელმძღვანელები და მოადგილეებიც კი არსებითად განკარგულებებს აძლევენ რესპუბლიკის მთავრობას.

გამიგეთ, საქმე ამბიციები როდია. ბოლოს და ბოლოს სამეურნეო საქმიანობაში შეუთანხმებლობას ჩვენ სამუშაო წესითაც ვძლევეთ და დავძლევეთ. საქმე ურთიერთბატისციემა და ურთიერთნდობაა. პასუხისმგებლობას ნდობა ნერგავს და არა ჭკუის სწავლება. მხოლოდ ასე შეიძლება მუშაობის სტილის რეფორმა ცენტრშიც და ადგილებზეც. ჩვენ სავსებით ვიწონებთ გადაწყვეტილებას მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენულ უფლებათა მარეგლამენტირებელი დოკუმენტების შემუშავებისა და სსრ კავშირის კონსტიტუციური ზედამხედველობის კომიტეტის შექმნის შესახებ. ეს საშუალებას მოგვცემს სრულყოფით სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმა, კიდევ უფრო მეტად განამტკიცებს ჩვენს კავშირს. ერთად ხომ ჩვენ მძლავრი სახელმწიფო, საერთო მიზნით შეკავშირებულ ერთა და ხალხთა უნიკალური ერთობა ვართ. და ეს ძალას მატებს ყოველ რესპუბლიკას!

ამავე დროს წინ ვერ წავიწვევთ საზოგადოების ახალი მოდელისაკენ, სამეურნეოანგარიშიანი სოციალიზმისაკენ, თუ არ დავამსხვრევთ „ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს“, ბიუროკრატიული აპარატის ყოვლისშემძლეობას. განა გამართლებულია, როცა საზოგადოებრივი ენერჯია ფუჭად იხარჯება ხელოვნურად აღმართულ დაბრკოლებათა დაძლევისათვის? ანდა რა ძვირად გვიჯდება ბიუროკრატიის შეცდომების გამოსწორება ისეთ წარუვალ საერთო-ეროვნულ ღირებულებათა სფეროში, როგორიცაა კულტურა, ენა!

აი რატომ გვჭირდება განსაკუთრებული წინდახედულება და სიფრთხილე ყოველი გადაწყვეტილების მიღების დროს, რომლებიც ეროვნებათშორის სფეროს ეხება, და უწინარეს ყოვლისა ეხება სუვერენიტეტს, რადგან ჭირს ხოლმე აბოზოქრებული ემოციებისა და ვნებათაღელვის დაოკება.

ვფიქრობ, გამოვხატავ არა მარტო რესპუბლიკის, არამედ ყველა ამხანაგის აზრს, თუ ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ დიდად მაღლიერი ვართ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობისა იმისათვის, რომ ყურადღებით, მთელი გულისყურით მოეკიდნენ კანონპროექტების განხილვის დროს შემოსულ წინადადებებსა და შენიშვნებს.

ეს ჩვენ, დებუტატებს, და ფართო საზოგადოებრიობას დემოკრატიზმის ნამდვილ რეალურ გამოვლინებად მიგვაჩნია.

დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავების ახალ შესაძლებლობებს სახავს „სსრ კავშირის სახალხო დებუტატთა არჩევნების შესახებ“ კანონის პროექტი. რომელიც მოწონებას იმსახურებს. მგონია, კონსტიტუციის ცვლილებათა კანონპროექტის 108-ე მუხლის მე-2 პუნქტიც ახლანდელი რედაქციით აკმაყოფილებს საერთო მოთხოვნებს. თქმა არ უნდა 111-ე მუხლის თანახმად უფრო სრულად წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების ინტერესებს ეროვნებათა საბჭოში თერთმეტი დებუტატი შვიდის ნაცვლად.

რაც შეეხება 119-ე მუხლის მე-13 პუნქტს, ფრიად არსებითად მიგვაჩნია მის ახალ, უდავოდ გაუმჯობესებულ რედაქციას — ეს რესპუბლიკის საზოგადოებრიობისა და მშრომელთა საერთო აზრია — დავეუმატოთ ფორმულა იმის შესახებ, რომ საგანგებო წესებს ცალკეულ ადგილებში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს შესაბამისი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თხოვნით ან თანხმობით.

სუვერენიტეტის ნამდვილი პატივისცემა იმის შესანიშნავი საფუძველია, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ ხალხთა მეგობრობა და ძმობა, ჩამოვუყალიბოთ, უწინარეს ყოვლისა, ჩვენს ახალგაზრდობას ნამდვილად ინტერნაციონალისტური შეხედულებანი. ეროვნული კულტურების სიყვარული და პატივისცემა. ყოველივე ეს უწმინდესი და მარადიული თავყვანისცემის საგანია და არანაირი ჯურის პროვოკატორებსა და წამქეზებლებს არ მივცემთ უფლებას თესავდნენ და აღვივებდნენ ეროვნებათშორის შუღლს, შეჭქონდეთ განხეთქილება ჩვენს ერთსულოვან ოჯახში. ისტორია გვაფრთხილებს: ნაციონალისტური გამოვლინებების ყოველ წაქეზებას მხოლოდ ეროვნული ტრაგედიები მოსდევს.

ვფიქრობ, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ აქ კანონის ძალა, იქნებ. გავამკაცროთ კიდევ ფორმულირებანი. პრეზიდიუმის სხდომასა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მიხეილ სერვის ძე გორბაჩოვის სამართლიანი საყვედურიდან დასკვნა რომ გამოვიტანოთ და მართლაც რომ თავდამცველთა როლში არ ვიგრძნოთ თავი, კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა გავერთიანდეთ, უკეთ შევათანხმოთ ჩვენი მოქმედება, ნაკლები ხარვეზები და შეცდომები დავუშვათ.

ჩვენ გვაქვს მთელი სამეცნიერო-კვლევითი, აკადემიური ინსტიტუტები, ცენტრები, რომლებიც პლანეტის თითქმის ყველა კონტინენტის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის — კანადიდან გვადელუპამდე — პრობლემებს სწავლობენ, ისეთი ინსტიტუტი კი, რომელიც შეისწავლიდა ჩვენს უნიკალურ ქვეყანას, უნიკალურ თანამეგობრობას, ფედერაციას, ეროვნებათშორის ურთიერთობას, სამწუხაროდ, არ არსებობს. ამიტომაც იგრძნობა ქვეყნის შიგნით ეროვნებათშორის პრობლემებზე სასარგებლო მეცნიერულ რეკომენდაციათა აშკარა დეფიციტი.

უდიდესია ჩვენი პრესის, განსაკუთრებით ცენტრალური პრესის, ჩვენი პუბლიცისტებისა და მწერლების, მთელი ინტელიგენციის როლი და პასუხისმგებლობა. სავალალოდ, ხშირად ვხვდებით მოწმენი მოუფიქრებელი მოქმედებისა და პუბლიკაციებისა, რომლებიც გეგონება ჯიბრზე თითქოს განზრახ ტყენენ გულს ადამიანებს, შეურაცხყოფენ მათს ეროვნულ გრძობებს. იწვევენ პროტესტსა და აღშფოთებას. ამას მოსდევს მეტად ნეგატიური შედეგები და ამცირებს ჩვენი ძალისხმევის ეფექტიანობას. საჭიროდ მიმაჩნია კვლავ გავიმეორო: არ შეიძლება ეროვნებათშორისი ურთიერთობის კრიტერიუმად

ვაქციოთ საკომუნისტრო ბაზრის დახლი. არ შეიძლება საზოგადოებრივი და ყოფითი მანკიერებანი განვაზოგადოთ ეროვნულ ნიადაგზე. არ შეიძლება პიროვნების უარყოფითი ნიშნები ეროვნული ხასიათით ავსნათ. ეს სრულიად მცდარია! მხოლოდ ერთობა და ურთიერთპატივისცემა ჩვენი ღონე და ჩვენი ძლიერება!

ამხანაგებო! გარდაქმნამ მართლაც რომ ამოაყირავა მრავალი ჩვეული ცნებანი და წარმოდგენანი. მან დაგვანახა ნამდვილი დემოკრატიის სახე. მაგრამ მოდით, გულანდილი ვიყოთ: მხოლოდ ახლა ვეუფლებით მის ანაბანას, მხოლოდ ახლა ვსწავლობთ ნამდვილად საზოგადოებისათვის მინიჭებულ თავისუფლებათა ჭეშმარიტი უპირატესობების შეფასებას. ჩვენი უმრავლესობა იზრდებოდა სხვა პრინციპებით, ამიტომაც კირს ყოველივე ამის ერთბაშად დაძლევა. მაგრამ მთავარია, რომ სწორედ პარტიამ დაიწყო გარდაქმნა. ამიტომაც ესოდენ დიდია მისი ავტორიტეტი, რადგან თავად პლურალიზმის შესაძლებლობა გარდაქმნის განსაკუთრებული მონაპოვარია.

სესიის განსახილველად გამოტანილი კანონპროექტები დასაბამს აძლევენ ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სრულყოფის პირველ ეტაპს: და ეს, უნდა ითქვას, ყველაზე პასუხსაგები ეტაპია. იგი ბევრად განსაზღვრავს გარდაქმნის მთელ შემდგომ მიმდინარეობას, გარდაქმნის პლატფორმაზე ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა სოციალური ფენის, ყველა ერისა და ხალხის შემდგომი კონსოლიდაციის პირობებს. ამიტომ თითოეულმა ჩვენგანმა დღეს განსაკუთრებული წინდახედულობა და სიდინჯე უნდა გამოიჩინოს.

ჩვენ მთლიანად ვუჭერთ მხარს ჩვენი საზოგადოების ძირეული გარდაქმნისათვის გამიზნულ ცენტრალური კომიტეტის გეზს. ეს უდიდესი მისიაა, რომელიც ჩვენს თაობას დაეკისრა. მაშ მოდით ვიყოთ ამ მისიის ღირსი პოლიტიკურად, მოქალაქეობრივად, ზნეობრივად!

10 ნოვაზარი მილიციის ღვა!

**საგჟოთა მილიციის ორგანი დაქვემდებარების
ლენინური პრინციპი**

პარკოზი ხვინია,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ჩერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდელი პერიოდის არალეგალური მოღვაწეობის მძიმე პირობებში შეიმუშავეს ბოლშევიკებმა მოძღვრება საყოველთაო-სახალხო მილიციისა და სამილიციო სისტემის შესახებ. ამაზე ნათლად და გარკვევით წერდა ვ. ი. ლენინი: „ჩაგვრის ძველი ორგანოების — პოლიციის, მოხელეების, მუდმივი ჯარის შეცვლა ხალხის საყოველთაო შეიარაღებითა, ნამდვილი საყოველთაო მილიციით, — აი, ის ერთადერთი გზა, რომელიც ყველაზე უფრო უზრუნველყოფს ქვეყანას მონარქიის აღდგენისაგან და შესაძლებ-

ლობას აძლევს მას გეგმაშეწონილად, მტკიცედ და გაბედულად გასწიოს წინ სოციალიზმისაკენ“.¹

ვ. ი. ლენინს მიაჩნდა, რომ სწორედ საყოველთაო-სახალხო მილიციას უნდა გაეერთიანებინა არმიისა და სახელმწიფო წესრიგის დაცვის ძირითადი ორგანოს ფუნქციები, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე იგი არ მოხერხდა. სამოქალაქო ომმა, კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ, კონტრრევოლუციურმა გამოსვლებმა, საბოტაჟმა, კონტრაბანდამ, დარბევებმა, ძარცვა-მტაცებლობამ, ტერორისტულმა აქტებმა ხელი შეუშალა საყოველთაო-სახალხო მილიციის ჩამოყალიბებას და მის ნაცვლად შეიქმნა რევოლუციური წესრიგისა და მშრომელი მოსახლეობის ინტერესების დამცველი კლასობრივი ორგანო — მუშურ-გლეხური მილიციის მუდმივი აპარატი. მუშურ-გლეხური მილიცია ვ. ი. ლენინის მოთხოვნით უნდა ყოფილიყო მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი ორგანო, ეს დებულება გახდა ბოლშევიკური პარტიის მოქმედების კონკრეტული პროგრამა და იგი საფუძვლად დაედო რსფსრ-ს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის პირველ დადგენილებას საბჭოთა მილიციაზე, რომელიც 1917 წლის 28 ოქტომბერს (7 ნოემბერს) გამოქვეყნდა. მასში ნათქვამი იყო: 1. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ყველა საბჭო აყალიბებს მუშათა მილიციას; 2. მუშათა მილიცია მთლიანად და სავსებით იმყოფება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გამგებლობაში; 3. სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალნი ვალდებული არიან ხელი შეუწყონ მუშათა მილიციას შეიარაღებასა და ტექნიკურ აღჭურვილობაში.

საბჭოთა მილიციის ამ პირველ აქტს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. მასში გამოხატულება ჰპოვა საზოგადოებრივი წესრიგისა და მოსახლეობის უშიშროების დაცვის ორგანოების შექმნის ლენინურმა იდეამ, მილიციის საქმიანობისადმი პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობამ და მილიციის მშენებლობაში მშრომელი მოსახლეობის ფართო მონაწილეობამ.

საბჭოთა მილიციის ორგანოების არსებობის სამართლებრივი საფუძვლება უფრო ზუსტად განისაზღვრა ინსტრუქციაში — „მუშურ-გლეხური საბჭოთა მილიციის ორგანიზაციის შესახებ“, რომელიც 1918 წლის 13 ოქტომბერს მიიღეს. ამ ინსტრუქციის მეორე მუხლით უფრო დაკონკრეტდა ლენინის ცნობილი თეზისი საბჭოთა მილიციის შესახებ, რომელსაც ბელადი ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოდ თვლიდა. „საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიცია, — ნათქვამია ინსტრუქციაში, — წარმოადგენს ცენტრსა და ადგილებზე მუშურ-გლეხური ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოს, რომელიც უშუალოდ იმყოფება ადგილობრივი საბჭოების გამგებლობაში და საერთო ხელმძღვანელობით ემორჩილება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას“.

გამომდინარე აქედან, ცენტრალიზებულად მოეწყო მილიციის მთელი აპარატი, განისაზღვრა მისი ადგილი და ხასიათი ხელისუფლების აღმასრულებელ ორგანოთა სისტემაში. ცენტრალიზებული წესით ორგანიზებულ საბჭოთა მილიციას არავითარი საერთო არ გააჩნდა ექსპლოატირებულ სახელმწიფოებში არსებულ ცენტრალიზებულ ბიუროკრატიულ საპოლიციო ორგანოებთან.

საბჭოთა მილიცია შექმნის პირველი დღიდანვე ყალიბდებოდა დემოკრა-

ტიულ-საწყისებზე, მისი ორგანიზაციული წყობის დემოკრატიული ცენტრალიზმის გამოვლინება იყო მილიციის ორგანოების ორმაგი დაქვემდებარება — იმყოფებოდა რა ადგილობრივი საბჭოების უშუალო შემადგენლობაში, ამასთანავე, იგი ემორჩილებოდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს. საბჭოთა მილიციის ორგანოების ასეთმა მოწყობამ მჭიდროდ დააკავშირა იგი საბჭოებთან, ხოლო მათი მეშვეობით ფართო მასებთან, საშუალება მისცა მოსახლეობას მონაწილეობა მიეღოთ წესრიგის დამცველთა საქმიანობაში, შეემოწმებინათ მათი მუშაობა. ამასთან ერთად, ორმაგი დაქვემდებარება წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს ორგანიზაციულ წანამძღვრებს მილიციის წინაშე მდგარი სერიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

როგორც საბჭოთა რუსეთში, ასევე საქართველოშიც მუშურ-გლეხური მილიციის შექმნა და მისი საქმიანობის ორგანიზაცია მეტად რთულ პირობებში მიმდინარეობდა. მილიციის ორგანოები ბევრგან მართლაც სტიქიურად იქმნებოდა, რევკომებისა და საბჭოების შეხედულებებისამებრ. დუშეთის მაზრის რევკომმა 1921 წლის 1 ივნისს მაზრის მილიცია 300 კაცის შემადგენლობით შექმნა; სიღნაღის მაზრის კოდალოს რევკომმა 1921 წლის თებერვალში მილიციაში 40 კაცი გააერთიანა. სამხრეთ ოსეთის ძალინის სოფლის რევკომმა 1921 წლის 12 ივლისს სოფლის მშრომელთა კრებაზე აირჩია მილიციის უფროსი, უფროსი მილიციელი და მილიციელები; 1922 წლის აგვისტოში ბორჩალოს მაზრის აღმასკომმა ჩამოაყალიბა მილიციის განყოფილება ორი ქვეგანყოფილებით, სულ 356 კაცის ოდენობით.

საქართველოს მილიციის ორგანიზებული ფორმირებისა და განმტკიცებისათვის საჭირო და აუცილებელი გახდა რუსეთის საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის გამოცდილება, რაც მათ სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის პერიოდში მიიღეს. მართლაც, რუსეთში მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციის, მუშაობის სტრუქტურის, ფორმებისა და მეთოდების გაცნობა დიდად დაეხმარა საქართველოს მუშურ-გლეხური მილიციის თანამშრომლებს. საქართველომ ყველგან გამოიყენა რსფსრ იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატების 1918 წლის 13 ოქტომბრის ინსტრუქცია „საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის ორგანიზაციის შესახებ“, ვ. ი. ლენინის ხელმოწერილი დეკრეტი „საბჭოთა მუშურ-გლეხური მილიციის შესახებ“ (1920 წლის 20 ივნისი), რომლებიც საბჭოთა მილიციის ორმაგი დაქვემდებარების პრინციპზეა დამყარებული. მუშურ-გლეხური მილიციის დებულებაში გარკვევითაა გამოკვეთილი თუ რა ადგილი უკავია მილიციას საბჭოთა სახელმწიფო აპარატების სისტემაში. „მუშურ-გლეხური მილიცია, — ნათქვამია დებულებაში. — იმყოფება შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის და მისი ადგილობრივი ორგანოების გამგებლობაში“. იქვე მითითებულია, რომ საბჭოთა მილიცია არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანო, როგორც ცენტრში ისე ადგილებზე. აქ მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ამ პერიოდში ხელმძღვანელობას საბჭოებისა და მისი აღმასრულებელი ორგანოების მთელი სისტემისადმი ახორციელებდა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი. მას ადგილებზე ჰქონდა საგუბერნიო და სამაზრო სამმართველოები, რომელთა გამგებლობაშიც შედიოდა მილიციის განყოფილებები. გუბერნიებსა და მაზრებში მილიცია ემორჩილებოდა მათივე საბჭოებს.

მუშურ-გლეხური მილიციისა და სისხლის სამართლის სამძებრო ორგა-

ნოების საქმიანობის შემდგომ სრულყოფაში უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1931 წლის 25 მაისის დადგენილება. მუშურ-გლეხური მილიციის დებულების დამტკიცების შესახებ. ეს იყო პირველი დებულება საბჭოთა მილიციაზე, რომელიც მთლიანად გავრცელდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, დებულებით მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს კიდევ უფრო გაუდიდდათ უფლებები და ვალდებულებები, რაც ერთიანი იყო ყველა რესპუბლიკისა და რეგიონისათვის. ამ ნორმატიული აქტით საგრძნობლად განმტკიცდა მილიციის ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი, დემოკრატიული ცენტრალიზმი. „მილიციის ადგილობრივი ორგანოების უფროსები, — ნათქვამი იყო დებულებაში, — უშუალოდ ემორჩილებიან მილიციის შემდგომი ორგანოების უფროსებსა და სრული პასუხისმგებელი არიან მათ წინაშე მილიციის სათანადო ორგანოების მუშაობაზე“. ამავე დროს „თავიანთი მუშაობისას ისინი ხელმძღვანელობენ ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, საქალქო და ადგილობრივი საბჭოების იმ აღმასკომის განკარგულებებით, რომელთა შემადგენლობაშიც ისინი შედიან“.

მიუხედავად იმისა, რომ ახალი დებულებით მილიციის ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი კიდევ უფრო იყო განმტკიცებული, მილიციისა და შინაგან საქმეთა ორგანოები 30-40-იან წლებში თანდათანობით გაემიჯნენ ადგილობრივ საბჭოებს, ორმაგი დაქვემდებარების პრინციპმა დაკარგა თავისი აზრი, რადგან იმ დროს შექმნილმა მტკიცე ცენტრალიზებულმა სისტემამ მთლიანად შთანთქა იგი.

ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მილიციის ორგანოებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიზანშეწონილად სცნეს შინაგან საქმეთა სამმართველოებისა და მილიციის სამმართველოების გაერთიანება შინაგან საქმეთა დანაყოფებად და ისინი გადავიდნენ ადგილობრივი საბჭოების განკარგულებაში. ამით აღსდგა შინაგან საქმეთა ორგანოების ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპი, რამაც ყოველმხრივ გაამართლა თავისი დანიშნულება საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში. ეს პრინციპი მთლიანად ემყარებოდა საბჭოთა სახელმწიფოს თავისებურებებს. საბჭოთა მილიცია თავისი ბუნებით ხალხის მსახურია, ამიტომ იგი კიდევ დაუქვემდებარდა ისეთ ორგანოს, რომელიც ხალხის ყველაზე მეტი წარმომადგენლობითი აპარატი იყო, მასებთან ახლომყოფი. ამით მილიციის მუშაკები უფრო ღრმად ჩასწვდნენ მშრომელთა საჭიროებებს, საჩივრებს, მათ საქმიან წინადადებებს, მილიცია შევიდა როგორც განყოფილება ადგილობრივი საბჭოების შემადგენლობაში, დაემორჩილა და ანგარიშვალდებული გახდა მის წინაშე. მეორე მხრივ, იგი დაექვემდებარა აგრეთვე შინაგან საქმეთა სამინისტროს.

მაგრამ არ ვასულა დიდი დრო, პარტიისა და სახელმწიფო ცხოვრებაში, რომ თავი იჩინა ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის გამოვლინებებმა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროები. იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების გაუქმებამ (1960 წ.), დამხმარე ოპერატიულ ძალებთან და საშუალებებთან მუშაობის ფორმებისა და მეთოდების უგულებელყოფამ დიდად შეაფერხა მილიციის ორგანოების მუშაობა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა მილიციის პოლიტორგანოებისა და რკინიგზის მილიციის ხაზით ყველა ოპერატიული სამსახურის გაუქმება. რკინიგზის მილი-

ციას ფაქტიურად სადგურებსა და ასაქცევებში ეგრეთ წოდებული ზედამხედველობის როლის შესრულება ეკისრებოდა. ასეთივე ბედი ერგოთ მილიციის სხვა დანაყოფებსაც. მილიციის ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი ვოლუნტარიზმისა და სუბიექტივიზმის ხანაში ფორმალიზმის ტყვეობაში აღმოჩნდა.

მილიციის ორგანოების ორმაგი დაქვემდებარების პრინციპის პრაქტიკულად განახლების, ამ ორგანოებისადმი უკანასკნელ წლებში მინიჭებული დიდი რწმუნებისა და ფუნქციების ახალი პირობების დამკვიდრების სულისკვეთებითაა გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986-1988 წლებში მიღებული ყველა დადგენილება, რომლებიც სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას, მილიციის ორგანოების საქმიანობის შემდგომ სრულყოფას ეხება. ამ ღონისძიებებმა ახალი, უფრო მაღალი მოთხოვნები წაუყენა მილიციის ორგანოებს და ეს მოთხოვნები გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, სკკპ XXVII ყრილობის, XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის მოთხოვნებიდან. ამის შედეგად კიდევ უფრო გაუმჯობესდა პარტიული ხელმძღვანელობა მილიციის ორგანოებისადმი, მეტი უფლებამოსილება მიეცათ საბჭოებს, გააქტიურდა კონტროლი მილიციის ორგანოებზე. საბჭოები ფართოდ იხილავენ სესიებზე, სხდომებზე, ყრილობასა თუ შეკრებებზე მილიციის ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშებს, ამოწმებენ სამართალდაცვით ორგანოების საქმიანობას და მათ მუშაობას წარმართავენ თავიანთი სტრუქტურული დანაყოფის მსგავსად.

დღეისათვის არსებული შინაგან საქმეთა ორგანოები 40-50-იანი წლების დანაყოფებისაგან ძლიერ განსხვავდებიან. ადრე ისინი საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების განყოფილებები კი არ იყო, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროს საქალაქო და რაიონული განყოფილებები. დღევანდელმა შინაგან საქმეთა განყოფილებებმა (მილიციამ) ადრინდელთან შედარებით მართლ სახელწოდება კი არ შეიცვალეს, არამედ იმგვარად გარდაიქმნენ, რომ უფრო ოპერატიულნი, პრაქტიკულად გამართლებულნი და ძლიერნი გახდნენ, კიდევ უფრო განამტკიცეს კავშირი ადგილობრივ საბჭოებთან, აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელმძღვანელობა და ოპერატიული დახმარება საგრძობლად გაუმჯობესდა შინაგან საქმეთა სამინისტროდან. ეს ღონისძიებები დამყარებულია ღრმა მეცნიერულ ანალიზზე, რამაც გარკვეულწილად გადაჭრა და სამუდამოდ დაამკვიდრა მილიციის ორგანოებისადმი ორმაგი დაქვემდებარების პრინციპი, წარმატებით გადაწყვიტა ყველაზე მტკივნეული, ძირეული პრობლემები, გააძლიერა დამნაშავეობასთან ბრძოლა და დასახა ოპტიმალური გზები მათი აღკვეთა-აცილებისათვის.

XIX საკავშირო კონფერენციამ გამოავლინა რა არსებითი ნაკლოვანებანი მილიციის ორგანოების, საერთოდ, სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში, დასახა კიდევ ამ მუშაობის გაუმჯობესების გზები. ეს ნაკლოვანებანი გამოწვეული იყო იმით, რომ ამ ორგანოების საქმიანობა ეყრდნობოდა არა დემოკრატიულ, სოციალ-ეკონომიკურად გამართლებულ პრინციპებს, არამედ მბრძანებლურ ადმინისტრაციულ მეთოდებს, მრავალრიცხოვან აკრძალვებსა და წვრილმან რეგლამენტაციებს, რამაც სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანა.

მილიციის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებისათვის უდიდესი მნიშვნე-

ნელობა ენიჭება ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპის ცხოვრებაში განხორციელებას, რაც ისტორიულადაა დამტკიცებული. სწორედ ამას ვეყრდნობით, როცა ვიცით, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს საბჭოთა მილიციის ორგანოების როლი სოციალისტური დემოკრატიის სისტემაში, მილიციის მუშაკთა საქმიანობაში მტკიცედ დამკვიდრდეს საჯაროობა, დემოკრატია, შეჯიბრებითობა, გაძლიერდეს სოციალისტური მართლწესრიგის უზრუნველყოფის მექანიზმი და ა. შ.

კონფერენციის მიერ მიღებულ რეზოლუციაში, რომელიც არანახულ სამართლებრივ რეფორმებს ითვალისწინებს ხაზგასმითაა აღნიშნული სამართალდამცველი ორგანოების, მათ შორის მილიციის პირადი შემადგენლობის დამოუკიდებლობის განმტკიცება, მათი მუშაობის გაუმჯობესება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ზოგჯერ მაინც ვხვდებით მილიციის მუშაკთა უხეშობის, არაკომპეტენტურობისა და დანაშაულის ფაქტებს. სწორედ ამიტომ დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, მისი პოლიტაპარატების საქმიანობის მთავარი მიმართულებაა პირადი შემადგენლობის მაღალი კულტურისა და პროფესიონალური ცოდნის ამაღლება, დანაშაულთან ბრძოლაში მილიციის შესაძლებლობების უკეთ გამოყენება, ყველაფრის გაკეთება იმისათვის, რომ მტკიცედ იყოს დაცული თითოეული ადამიანის კანონიერი უფლებები, ინტერესები და თავისუფლებანი.

ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპი გულისხმობს კანონიერების განმტკიცებასა და უდანაშაულობის პრეზუმფციის განუხრელ დაცვას, უდანაშაულო პიროვნების დასჯის დაუშვებლობას. ამასთანავე, იგი ყოველად შეუწყნარებელია მათ მიმართ, ვინც ხელყოფს კანონს, რადგან კანონი ყველასათვის ერთია, ყველა პასუხისმგებელია კანონის წინაშე.

აქვე საჭიროა ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ მილიციის ორმაგი დაქვემდებარების ლენინური პრინციპი მართალია გულისხმობს ამ ორგანოებისადმი სისტემატურ საერთო ხელმძღვანელობას, მაგრამ აქვე იგი გამოირიცხავს ოპერატიულ სამქმებრო და საგამოძიებო საქმიანობაში ვინმეს ჩარევას, ადმინისტრაციულ-მბრძანებლურ დამოკიდებულებასა და ყოყოჩობას, რასაც არასოდეს მოუტანია კარგი შედეგი.

რაიონული და საქალაქო გაზეთების ფურცლავზე

ყუარღუბის წენტრონა საქართლუბრივი საკითხუბი

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ყურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ თავიანთ ერთობლივ სხდომაზე განიხილეს ზოგიერთი რაიონული და საქალაქო გაზეთების მიერ გაწეული მუშაობა, რაც დაკავშირებულია მათ ფურცლებზე სამართლებრივი საკითხების გაშუქებასთან. ამ მიზნით საგანგებოდ იქნა შესწავლილი და განალიზებული თერჯოლის რაიონული გაზეთი „წინსვლა“ (რედაქტორი უ. იაშვილი), ლანჩხუთის რაიონული გაზეთი „კომუნისტური შრომა“ (რედაქტორი

ა. მორჩილაძე), მახარაძის რაიონული გაზეთი „ლენინის დროშა“ (რედაქტორი თ. სალუქვაძე), სამტრედიის რაიონული გაზეთი „წინსვლა“ (რედაქტორი ა. გრიგოლია), ფოთის საქალაქო გაზეთი „ახალი კოლხეთი“ (რედაქტორი ი. დიდბაია); ჩხოროწყუს რაიონული გაზეთი „ნაპერწყალი“ (რედაქტორი ნ. პაპასკირი), ცხაკაიას რაიონული გაზეთი „კოლხეთი“ (რედაქტორი რ. ჯან-ჭღავა) და ჭიათურის საქალაქო გაზეთი „მალაროელი“ (რედაქტორი ვ. ყიფ-შიძე).

აღინიშნა, რომ პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად დასახელებული რედაქციები გარკვეულ მიზანდასახულ საქმიანობას ეწევიან სამართლის პროპაგანდის, დამნაშავეობასთან ბრძოლის, სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის, სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, საამისოდ მათთან შექმნილია საზოგადოებრივი იურიდიული კონსულტაციები და შემოღებულია მუდმივმოქმედი, მეტად აქტუალური რუბრიკები: „ადამიანი და კანონი“, „იურიდიული ცოდნა — მასებს!“, „სასამართლო დარბაზიდან“, „კანონიერების სადარაჯოზე“, „წესრიგი ყველგან და ყველაფერში“, „ნარკომანია — საზოგადოების მტერი“, „გზებსა და გზაჯვარედინებზე“, „სიფხიზლე — ცხოვრების ნორმა“, „მილიცია იტყობინება“ და ა. შ. ამ და სხვა რუბრიკებით გაზეთებში სისტემატურად იბეჭდება სამართლებრივი ხასიათის პუბლიკაციები, ქვეყნდება მონაცემები ადგილებზე არსებული ოპერატიული მდგომარეობის შესახებ, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მართლწესრიგის განმტკიცების მიზნით გატარებულ ღონისძიებებს, საკანონმდებლო სიახლეებს, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემებს. ხშირად ქვეყნდება საგაზეთო მასალები აგრეთვე ლოთობის, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ავტოსატრანსპორტო შემთხვევების, ხულიგნობის და ზოგიერთი ისეთი გავრცელებული დანაშაულებრივი ფაქტების შესახებ, რაც მთელი საზოგადოების საზრუნავია.

გამოქვეყნებული მასალებიდან აღსანიშნავია ისეთი პუბლიკაციები, როგორცაა ვ. მსხილაძე — „თვალი ვაფუსწოროთ სინამდვილეს“ (სამტრედია), მ. შარიქაძე — „მეუღლეთა შორის ქონებრივი დავის გადაწყვეტა“ (თერჯოლა), მ. ცინცაძე — „იურიდიული სამსახურის როლი უხარისხო პროდუქციის წარმოების აღსაკვეთად“ (ლანჩხუთი), მ. ხელაძე — „სახელმეკრულებო დისციპლინის დაცვა და პროდუქციის ხარისხი“ (მახარაძე) და სხვა. საკანონმდებლო სიახლეთა განმარტების მხრივ კარგად მუშაობენ ლანჩხუთის, ჭიათურის, მახარაძის, ჩხოროწყუს რაიონული და საქალაქო გაზეთების რედაქციები, ხოლო სამტრედიის რაიონული გაზეთი გამოირჩევა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამართალპროპაგანდისტული და აღმზრდელი ბითი ღონისძიებებით, ამ პრობლემებთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ მის მასალებში ნათლად იგრძნობა ახალ-ახალი პროფილაქტიკური გზების ძიების სურვილი.

შეინიშნება ისიც, რომ ზოგიერთი საგაზეთო მასალის მომზადების დროს გამოყენებულია მოქალაქეთა წერილები, წინადადებები, სურვილები, გათვალისწინებულია მოსახლეობის მოთხოვნები, კითხვა-პასუხის ფორმითა და რუბრიკით, „იურიდიული კონსულტაცია“, დაბეჭდილია საკმაოდ აქტუალური საკითხები და ა. შ.

მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ არის ყველგან და ყოველთვის. უფრო ჯა-

მიღან ჟამზე, დროდადრო თუ გამოჩნდება ხოლმე პრობლემატური, ყოვლის-
მომცველი ისეთი სამართლებრივი მასალები დღევანდელი დღისათვის რომ შეეფერე-
ბა, სადაც მეცნიერულად იქნება გააზრებული ახალგაზრდობის პატრიოტული
სულისკვეთება, ის სამართლებრივი პრობლემები, რაც საფუძვლად უნდა დაე-
დოს ჩვენი ქვეყნის ზვალინდელ დღეს, ერის მომავალს.

გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ სამართლებრივი პუბლიკაციე-
ბის უმეტესობის სოციალურ-პოლიტიკური აქტივობა იმიტომაა დაბალი, რომ
რისინი ძირითადად მხოლოდ მომხდარი ფაქტების მშრალი აღწერით შემოიფარ-
გლება, მათ ნამდვილად აკლიათ სიმწვავე, დანაშაულის გამომწვევი მიზეზების
მეცნიერული ახსნა-დასაბუთება, არ იგრძნობა სოციოლოგიური კვლევისათვის
დამახასიათებელი დამაჯერებლობა და საერთოდ, რედაქციის აქტიური პო-
ზიცია, რამაც საბოლოოდ უნდა განსაზღვროს ის ადგილი, სადაც მკითხველები
უნდა დადგნენ მკვიდრად.

განხილული გაზეთების ფურცლებზე ძალიან ცოტაა ისეთი მასალები და-
ბეჭდილი, რომლებიც სახალხო მეურნეობის ეკონომიკური მართვის სამართ-
ლებრივი რეგულირების, სამეურნეო რეფორმის განხორციელებასთან დაკავ-
შირებულ საკითხებს შეეხება. უფრო მეტიც, თითქმის არაფერი თქმულა ისე-
თი ახალი ნორმატიული აქტების შესახებ, როგორცაა: კანონი „სახელმწიფო
ცხოვრების მნიშვნელოვან საკითხთა საყოველთაო-სახალხო განხილვის შესა-
ხებ“ და კანონი „დემონსტრაციისა და მიტინგების მოწყობის შესახებ“. არა-
თანამიმდევრულ, უფრო სტიქიურ ხასიათს ატარებენ განმარტებები, რომლე-
ბიც შეეხო კანონებს: „სსრ კავშირის კოოპერატივის შესახებ“, „ინდივიდუალ-
ური შრომითი საქმიანობის შესახებ“, „მოქალაქეთა უფლებების შემლახ-
ველ თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედებების სასამართლოში
გასაჩივრების წესის შესახებ“, საკოლმეურნეო წესდებას და ზოგიერთ სხვას
(ჭიათურის, ფოთის, თერჯოლის, სამტრედიის და ცხაკაიას გაზეთები).

ვფიქრობთ, რომ გაზეთის რედაქცია მუდამ ყურადღებით უნდა იყოს,
რათა არ გამოჩნდეს ის ოპერატიული ვითარება, როგორც მის რაიონში შე-
იქმნება. წერილებიც სამართლებრივ საკითხებზე ამის მიხედვით უნდა ქვეყ-
ნდებოდეს, რადგან სწორედ სამართალდარღვევათა სტრუქტურამ და დინამიკამ
უნდა უკარნახოს გაზეთს პუბლიკაციების თემა. სამწუხაროდ, ამას ნაკლები
ყურადღება ექცევა და ასეთი სტატიების გამოქვეყნება უფრო შემთხვევითი
ხასიათისაა, ვიდრე წინასწარჩაფიქრებული, გამიზნული ღონისძიება. მაგალი-
თად, სამტრედიის, ფოთის და მახარაძეში ერთ მომენტში მკვეთრად იმატა
სპეკულაციამ, სახელმწიფო ქონების დატაცებამ, თერჯოლაში კი პიროვნების
სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულმა დანაშაულმა, მაგ-
რამ ამ რაიონების გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებში სრულებითაც არ
იგრძნობა ეს მდგომარეობა, შეშფოთება, არ მიმდინარეობს შესაბამისი სათა-
ნადო პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ჩვენ კი ვთვლით, რომ რე-
დაქციები სწორედ ამგვარად უნდა მუშაობდნენ და მოღვაწეობდნენ.

მეტად დაბალი, უფრო სწორი ვიქნებით, თუ ვიტყვით, შეუწყნარებლად
დაბალია იმ პუბლიკაციების ხარისხი, რომლებიც „იურიდიული კონსულტაცი-
ის“ რუბრიკით იბეჭდება. მართალია ასეთი წერილები ცოტაა და ძირითადად
რისინი მხოლოდ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებს ეხება, მაგრამ რაც
არის, მათშიც იმდენი ბუნდოვანი განმარტებაა, რომ ზოგჯერ აზრის გამოტა-

საქ. სსრ კ. პარტიის
საბ. საბ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

ნაც კირს, ძნელია გაიგო რისი თქმა სურს ავტორს. კანონის შესაბამისი ნორმატიული აქტები კი საერთოდ მითითებული არ არის.

ბევრჯერ ითქვა და ბევრჯერაც დაიწერა, რომ სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენამდე გამოქვეყნებულ მასალებში გვერდი უნდა ავუაროთ ისეთ საკითხს, როგორცაა პირის ბრალეულად ცნობა. მართლაც, თუ სამართალში მიცემულს ადრევე გამოვაცხადებთ დამნაშავედ და ბოროტმოქმედად, სასამართლოს და საზოგადოებრიობას ცალმხრივად განვაწყობთ მათ მიმართ, გარკვეულ აზრს შევუქმნით და ეს კანონით დაუშვებელია. ყველაზე მთავარი კი მაინც ის არის, რომ ამით ირღვევა, საყოველთაოდ აღიარებული და უთუოდ შესასრულებელი. პიროვნების უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპი, რაც არავის ეპატიება. სამწუხაროდ, ამ შეცდომას ვერ ასცდნენ გაზეთები „წინსვლა“, „ნაპერწყალი“, „ახალი კოლხეთი“ და კიდევ ზოგიერთი სხვა.

ერთ-ერთ მთავარ ნაკლად ამ გაზეთების რედაქციათა საქმიანობაში ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ მათ ფურცლებზე ძალიან იშვიათად ქვეყნდება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა წერილები. ჩვენ მხედველობაში გვაქვს პროკურორების, სახალხო მოსამართლეების, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსების, ნოტარიუსების, ადვოკატების, მათი კოლეგებისა და თანამშრომლების გამოსვლები, რომლებმაც ბევრი რამ უნდა განსაზღვრონ მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის, საყოველთაო იურიდიული სწავლების თვალსაზრისით. ასეთი გამოსვლები ალბათ დღეს უფრო მეტადაა საჭირო, რადგან სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეამ და გარდაქმნის სულისკვეთების დამკვიდრებამ ბევრი რამ სრულიად ანლებურად დააყენა ქვეყნისა და ხალხის წინაშე. ალბათ ურიგო არ იქნება, გაზეთების რედაქციებმა გაითვალისწინონ და გაამრავალფეროვნონ აგრეთვე საგაზეთო ჟანრები. თავიანთ ფურცლებზე გამოქვეყნებული სამართლებრივი ზასიათის პრობლემები გადაწყვიტონ დისკუსიებით, ნარკვევებით, ინტერვიუებით, განხილვებით, ხშირად დაბეჭდონ ამავე თემებზე კრიტიკული წერილები, ფელეტონები, იუმორი და ა. შ.

პრესისა და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკთა ასეთი ურთიერთობით ორივე მხარე მოიგებს და იგი პრაქტიკულად წაადგება თავს სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის განხორციელებისათვის გაჩაღებულ უდიდესი მნიშვნელობის საქმეს, რომელიც XIX საკავშირო პარტიულმა კონფერენციამ დაგვისახა.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის სამდივნომ მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივი საკითხების გაშუქების გაუმჯობესებას რაიონული გაზეთების ფურცლებზე.

სრულყოფილი იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება

მამია კომანაძემ,

საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების
მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების დირექტორი, იურიდიულ მეცნიერებათა
კანდიდატი

გხელმძღვანელობთ რა სკკპ XXVII ყრილობისა და XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებით, საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების საქმიანობა მთლიანად პასუხობს იმ ამოცანებს, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 6 თებერვლის დადგენილებიდან „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკებისა და სპეციალისტების გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გარდაქმნის შესახებ“. 1988 წლის 9 ივნისის ამ დადგენილების საფუძველზე სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრმა გამოსცა ბრძანება, ზოლო საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიამ 1988 წლის 28 იანვარს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომლებიც ჩვენი მუშაობის ძირითად პროგრამად იქცა.

1988 წლის იანვრიდან — სექტემბრამდე, რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლა იუსტიციის ორგანოების სისტემაში მომუშავე 21 სახალხო მოსამართლემ, სახალხო სასამართლოს 32 აღმასრულებელმა, სახალხო სასამართლოთა კანცელარიების 21 გამგემ, სახალხო სასამართლოების 22 სხდომის მდივანმა, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის 37 წევრმა, სახალხო მსაჯულთა საბჭოს 28 თავმჯდომარემ და საბჭოს წევრმა, სულ 183 კაცმა.

გარდა ამისა, 1988 სასწავლო წლის პირველ ნახევარში რესპუბლიკურ კურსებზე კვალიფიკაცია აიმაღლეს იმ დაწესებულებათა მუშაკებმაც, რომლებიც არ შედიან იუსტიციის ორგანოების სისტემაში, მათ შორის მმაჩის ორგანოების 25 მუშაკმა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს აღმასკომების 35 იურისკონსულტმა.

გარდა ამისა, კურსების არსებობის მანძილზე წელს პირველად გადამზადდა გეგმის გარეშე საქართველოს პროფკავშირების სისტემის 67 მუშაკი. როგორც წესი, ჩვენთან პერიოდულად იმალებენ კვალიფიკაციის აგრეთვე რესპუბლიკის ის ყურნალისტები, რომლებიც სამართლისა და მორალის თემებზე წერენ. შარშან, დეკემბერში 24 ასეთმა ყურნალისტმა აიმაღლა კვალიფიკაცია.

1988 წლის პირველ ნახევარში ჩვენთან კვალიფიკაცია აიმაღლა 127 ისეთმა მუშაკმა, რომლებიც არ ეკუთვნიან იუსტიციის ორგანოების სისტემას.

რესპუბლიკის სადირექტივო ორგანოების დავალებით, 36 საათიანი სასწავლო-გეგმითა და პროგრამით, პარტიის თბილისის რაიონულ კომიტეტებში ჩვენი ძალებით უნდა გადამზადებულიყო თბილისის 6 რაიონის 600 სახალხო რაზმელი. ფაქტიურად გადავამზადეთ 630 კაცი.

იუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის

რეკომენდაციის საფუძველზე, რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგია საბჭოთა შეადგინა სისწავლო გეგმა და პროგრამა, რომელიც დაამტკიცეს საქართველოს სსრ იუსტიციისა და საქართველოს სსრ სახალხო განათლების სამინისტროებმა. ამ პროგრამით 1988 წლის პირველ ნახევარში, რესპუბლიკურ კურსებზე უნდა ჩატარებულყო 1626 აკადემიური საათი, ლექცია-სემინარი და პრაქტიკული მეცადინეობა, ჩატარდა კი ბევრად მეტი, კერძოდ 1788 აკადემიური საათი.

ყოველ ნაკადთან პირველ ლექციებს, მიძღვნილ სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და დღევანდელობისადმი, კითხულობდნენ საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ზ. რატიანი, მოადგილეები ა. კვიციანი და თ. ნინიძე.

გაერთიანებულ ჯგუფებში წელს ექვსჯერ ჩატარდა ღია ლექცია, სადაც ლექციებით გამოვიდნენ პროფ. ა. ბენდიანიშვილი, ი. სინარულიძე და იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ო. გამყრელიძე. მათი გამოსვლების თემები იყო: „ოქტომბრის რევოლუციის ისტორიული მნიშვნელობა“, „სკკპ XIX საკავშირო კონფერენციის შედეგები“, „მხატვრული ლიტერატურის როლი მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში“.

აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა და სახალხო სასამართლოს სხდომის მდივნებისათვის ოთხ-ოთხი აკადემიური საათი „დემოკრატიის, გარდაქმნის და ნაციონალური ურთიერთობების შესახებ“ წაიკითხა იუსტიციის მუშაკთა და ხელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, რსფსრ დამსახურებულმა იურისტმა ო. ბერენდევემ. აქვე ადვოკატების ჯგუფთან ისაუბრა სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საერთო სასამართლოების სამმართველოს უფროსმა ვ. სეკალომ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ხელმძღვანელობამ შარშან სასაუბროდ მიიწვია და მიიღო რესპუბლიკური კურსების მსმენელთა ჯგუფი, რომელშიც სახალხო დეპუტატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომების 122 მდივანი შედიოდა.

1988 წლის 4 მაისს საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრებისა და სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების იურისკონსულტების მსმენელთა მონაწილეობით ჩატარდა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია, რომლის თემა იყო „გარდაქმნის მეორე ეტაპის დაწყება და იუსტიციის მუშაკთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1988 წლის თებერვლის პლენუმის შუქზე“. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ. მოსმინეს 4 მოხსენება, განხილვაში მონაწილეობდა 6 კაცი. სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის მუშაობის შედეგები შეაჯამა პროფ. ა. ბენდიანიშვილმა, რის შემდეგაც მიღებულ იქნა შესაბამისი რეკომენდაციები.

სახალხო მოსამართლეებისა და სხდომის მდივნების ჯგუფები საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში შეხვდნენ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების წარმომადგენლებს და ამომწურავი პასუხები მიიღეს იმ ამოცანებსა და პრობლემებზე, რომლებიც მათ წინაშე დასახული.

წელს უკვე 4-ჯერ ჩატარდა ე. წ. „საქმიანი თამაშები“. მასში მონაწილეობდნენ სახალხო მოსამართლეები, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის წევრები, სახალხო მოსამართლეთა თანამდებობაზე ასარჩევი რეზერვები, სახალხო მსაჯულთა საბჭოების თავმჯდომარეები და სახალხო მსაჯულთა საბჭოე-

ბის წევრები, რომლებიც ჩვენთან იყვნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად. მათ მივეცი თუსტიციის მუშაკთა დახელოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტიდან მიღებული სიტუაციები, რომლებიც თითოეულმა მსმენელმა დამოუკიდებლად ამოხსნა. „საქმიანი თამაშის“ შედეგები შეაჯამეს პროფ. ა. ფალიაშვილმა და დოც. რ. ჭოლოშვილმა.

სასწავლო პროცესის სრულყოფისათვის რესპუბლიკურ კურსებს დიდ დახმარებას უწევენ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, საქ. სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმისა და სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის ხელმძღვანელი მუშაკები.

სასწავლო პროცესის სრულყოფის, მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით რესპუბლიკურ კურსებზე დანერგილია არაერთი სიახლე. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა და კურსებზე გამოცხადების პირველ დღეს მსმენელებს ხვდება და ესაუბრება საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი.

1988 წლის 15 იანვარსაც საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სააქტო დარბაზში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობა შეხვდა რესპუბლიკურ კურსებზე მოწვეულ ლექტორებს. იუსტიციის მინისტრმა გ. შარაშენიძემ მიულოცა პროფესორ-მასწავლებლებს ახალი სასწავლო წლის დაწყება და დიდი წარმატებები უსურვა.

ადრე რესპუბლიკურ კურსებზე, კადრების გადამზადების დროს, ცალკეულ საგანს ერთი ან ორი ლექტორი კითხულობდა, გასული წლიდან კი ერთ საგანში შემავალი საკითხები განაწილდა სხვადასხვა ლექტორზე. ამ ღონისძიებამ უფრო ეფექტური, ხარისხიანი და მიმზიდველი გახადა ლექციები, ხელი შეუწყო საკითხების უფრო ფართოდ და ღრმად გაშუქებას. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკურ კურსებზე იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული 130 კაცი (პროფესორი, დოცენტი, მეცნიერებათა კანდიდატი, პრაქტიკოსი მუშაკი) კითხულობს ლექციებს საათობრივი ანაზღაურებით. უფრო მეტიც, ძირითად საგნებში დამტკიცებულია 2-3 ლექტორი, რაც, ცხადია, გამორიცხავს ლექციის გადადების ან ჩაშლის შემთხვევებს.

სავალდებულო წერიტი სამუშაოების, რეფერატებისა და საკონტროლოების თემატიკას, რომელიც დამტკიცებულია რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს მიერ, დართული აქვს სპეციალური ლიტერატურა, რითაც მსმენელებმა უნდა იხელმძღვანელონ. ამ სიახლემ ხელი შეუწყო არა მარტო სავალდებულო წერიტი სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებას, არამედ ბევრად გააუმჯობესა ბიბლიოთეკის მუშაობაც, რომლის მუშაკებს იმის საშუალება მიეცათ, რომ წინასწარ მოამარაგონ ბიბლიოთეკა საჭირო ლიტერატურით.

რესპუბლიკურ კურსებზე ყოველ სასწავლო წელს ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია სხვადასხვა აქტუალურ თემაზე. როგორც წესი, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია იღებდა ხოლმე შესაბამის რეკომენდაციებს და ამით მთავრდებოდა ყველაფერი. 1987 სასწავლო წლიდან აქაც დაინერგა სიახლე. კონფერენციის მიერ მიღებული რეკომენდაციები ახლა განიხილება რესპუბლიკური კურსების მეთოდოლოგიური საბჭოს სხდომაზე და შესაბამისი დადგენილება ოქმის ამონაწერით შესასრულებლად ეგზავნებათ კონფერენციაში მონაწილე ორივე გჯუფის მსმენელებსა და მოწვეულ ლექტორებს. მან სასურველი შედეგი გამოიღო.

1986 წელს რესპუბლიკური კურსების მუშაობა შეამოწმეს და მოიწონეს სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ და იუსტიციის მუშაკთა დახლოვნების სრულიად საკავშირო ინსტიტუტმა. შემოწმების მასალები დადებით გამოცდილებად განზოგადდა და მოკავშირე რესპუბლიკებს დაეგზავნათ. მას შემდეგ ჩვენს რესპუბლიკურ კურსებზე სასწავლო პროცესი კიდევ უფრო დაიხვეწა და სრულყოფილი გახდა. გაიზარდა გადასამზადებელი კონტინგენტი. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე დააყენა საკითხი — საქართველოს იუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური კურსები გადაკეთდეს იურისტთა კადრების კვალიფიკაციის ამალღების ინსტიტუტად.

ვგიქრობთ ეს საკითხი სულ მალე გადაწყდება.

დიდი და გადაუდებელი ამოცანები დაუსახა საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამალღების მუდმივმოქმედ რესპუბლიკურ კურსებს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულმა ცნობილმა დადგენილებამ „სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა კვალიფიკაციის ამალღებისა და გადამზადების სისტემის გარდაქმნის შესახებ“. დიახ, თანამედროვე ვითარება სულ სხვაგვარ მიდგომას გვავალებს, რადგან დაჩქარებისა და გარდაქმნის ყოვლისმომცველ სტრატეგიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კადრების სწავლების ჭეშმარიტად მეცნიერულ ღონეზე დაყენებას.

დადგენილებაში ხაზგასმულია კადრების სწავლების თანამედროვე სისტემის შეუსაბამობა იმ დიდ ამოცანებთან, რომლის განხორციელებასაც დღეს ესწრაფვის ქვეყანა, რომ ამ „სისტემის სასწავლებლების... მოქმედი ქსელი ვერც მასშტაბით, ვერც სწავლების ხარისხით ვერ აკმაყოფილებს სახალხო მეურნეობის გაზრდილ მოთხოვნებს...“

კადრების გადამზადებისადმი გაზრდილ მომთხოვნელობას მოწმობს დადგენილების ის ნაწილი, სადაც აღნიშნულია, რომ „პროფესიული კომპეტენტურობის ზრდა მიიჩნიონ მუშაკთა ატესტაციის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად“.

სამუშაო პროგრამა გვაქვს. ახლა უპირველესი ამოცანაა თვალსაჩინოდ ამალღდეს ლექცია-სემინარებისა და პრაქტიკული მეცადინეობების ხარისხი, უფრო მეტი ყურადღება მიექცეს პრაქტიკული საკითხების დამუშავებას. ამალღდეს წერიითი სამუშაოების, რეფერატების და საკონტროლოების ხარისხი, მათი რეცენზირება უფრო მომთხოვნი უნდა გახდეს და შესაბამისად გარდაიქმნას საკვალიფიკაციო კომისიის მუშაობაც.

ყველაფერი ეს ცხადია, უდავოდ შეუწყობს ხელს იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამალღების შემდგომ გაუმჯობესებას და სრულყოფას.



საწარმოო თვითმმართველობის პრობლემები სსრ კავშირში

გორის უზრახვილი,

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის
წამყვანი მეცნიერ თანამშრომელი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ამ სტატიის საგანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სახელმწიფო სექტორში საწარმოო თვითმმართველობაა, თუ როგორ შესაბამისობაშია იგი „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ კანონთან, რომელიც მიღებულია 1987 წლის 30 ივნისს და მოქმედებაშია 1988 წლის 1 იანვრიდან. ფაქტობრივად ამ კანონის მრავალი დებულება ექსპერიმენტული წესით გამოიყენებოდა მის მიღებამდე ზოგჯერ კი საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოქვეყნებამდეც (1987 წლის თებერვლი). თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ დაპირისპირებას, ჩვენ არ შეგვიძლება კოლექტიურ სექტორში საწარმოო თვითმმართველობის საკითხებს ჩამოყალიბებულს 1988 წლის 26 მაისს მიღებულ კანონში „სსრ კავშირში კოლექტივის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა იმავე წლის 1 ივნისს.

ტერმინი „საწარმოო თვითმმართველობა“ არა საკანონმდებლო, არამედ მეცნიერული, დოქტრინალური. საწარმოს შესახებ კანონში ლაპარაკია „საწარმოს თვითმმართველობის სისტემის“ შესახებ (მუხლი 6. 4). მასში მოცემულია საწარმოს ადმინისტრაციისა და შრომითი კოლექტივების მმართველობის ორგანოების საქმიანობა. საწარმოო თვითმმართველობის საგანი როგორც საწარმოს სამეურნეო კავშირები („საგარეო თვითმმართველობა“), ისე საწარმოს სამეურნეო საქმიანობა, მისი ყოველდღიურობის სოციალურ ასპექტებთან მჭიდრო კავშირში („საშინაო თვითმმართველობა“). საწარმოს შესახებ კანონს აქცენტი საშინაო თვითმმართველობაზე გადააქვს. მაშინ, როდესაც საწარმოსათვის მთავარი, რა თქმა უნდა, საგარეო თვითმმართველობა, ეკონომიკურ სამყაროში დამოუკიდებელი ორიენტაცია, კერძისა და კოლექტიური კავშირების შერჩევაა. კანონში არც ეს ტერმინები „საგარეო“ და „საშინაო“ თვითმმართველობა გვხვდება.

სამეურნეო თვითმმართველობა შედგება ქონებრივი, საგეგმო და კოლექტიური თვითმმართველობისაგან. სწორედ მათ გამოსახვასა და განმტკიცებას უნდა ემსახურებოდეს, როგორც ეს არაერთხელ აღინიშნა პოლიტიკურ გამოსვლებსა თუ გადაწყვეტილებებში, კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ. ვნახოთ, სად მიგვიყვანებს ამ კეთილმა სურვილებმა. რას ვფიქრობდით და რა გამოვიდა.

დავიწყოთ მთავარი საფუძვლით — ქონებრივი დამოუკიდებლობით. ის დაკავშირებულია საერთო-სახალხო საკუთრების რეალიზაციასთან. სსრ კავშირში საერთო-სახალხო (სახელმწიფო) საკუთრების რეალიზაციის ფორმების განვითარების პროცესში მრავალი ყურადსაღები მომენტია. თუ არ შევხებია „სამხედრო კომუნისმის“ (1917-1920 წ.) გარკვეულწილად უარყოფით გამოცდილებას და ახალი ეკონომიკური პოლიტიკის (1921-1928 წ.) დადებით გამოცდილებას, უნდა აღინიშნოს, რომ „ნეპის“ აკრძალვის შემდგომი ათწლეულების განმავლობაში, ეკონომიკური სისტემის არსებითად დეფორმირებული ფუნქციონირების პერიოდში, საწარმოთა ქონებრივი განკერძოებულობის — „ნეპის“ დროს შემოღებული პრინციპი ოფიციალურად იყო აღიარებული, თუმცა მრავალრიცხოვანი შეზღუდვებით.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად „სახელმწიფო-საკოლმეურნეობათაშორისო, სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოლექტიური ორგანიზაციებისათვის მიჩენილი ქონება იმყოფება ამ ორგანიზაციების ოპერატიულ მმართველობაში და ისინი ახრცილებენ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებას კანონით დადგენილ ფარგლებში თავიანთი საქმიანობის მიზნების, საგეგმო და ვალდებებისა და ქონების დანიშნულების შესაბამისად“ (სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 261-ე მუხლი, მიღებული 1961 წლის 8 დეკემბერს, 1981 წლის რედაქცია). როგორც თვით ინსტიტუტის დასახელებას („ოპერატიული მმართველობის უფლება“), ისე მის სპეციალურ შეზღუდვებს. განსაკუთრებით გვემხროს და ვალდებებით, სამეურნეო მანევრირების პროცესებში საწარმოს რეალური დამოუკიდებლობის სრულ გაუფა-

სურებამდე მიეყავართ. ფაქტობრივად კი ყველაფერი კეთდებოდა (ძირითადად ახლაც) ზემდგომი ორგანოს განკარგულებით ან მასთან შეთანხმებით.

სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონს „ოპერატიული მმართველობის“ ნაცვლად ახალი ტერმინი არ დაუდგენია და არც ძველით სარგებლობს, ჩოლო აღნიშნულ სამართლებრივ ინსტიტუტს შემდეგნაირად ახასიათებს: „სახელმწიფო საწარმოში შრომითი კოლექტივი, რომელიც თადარიგისადაც პატრონობს საერთო სახალხო საკუთრებას, ქმნის და ამრავლებს სახალხო სიმდიდრეს“... (1. 2 მული); „საწარმოს... აქვს საერთო-სახალხო საკუთრების განცალკევებული ნაწილი და დამოუკიდებელი ბალანსი“ (1. 2 მუხლი); „საწარმოს ეკისრება მთელი პასუხისმგებლობა... სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისა და გამრავლებისათვის...“ (2. 5 მუხლი); „სახელმწიფო პასუხს არ აგებს საწარმოს ვალდებულებათა გამო. საწარმოო პასუხს არ აგებს სახელმწიფოს, აგრეთვე სხვა საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ვალდებულებათა გამო“ (2. 6 მუხლი); საწარმოს ქონებას „შეადგენს ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებები, აგრეთვე სხვა მატერიალური ფასეულობანი და საფინანსო რესურსები. საწარმო ახორციელებს ამ ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებებს“ (4. 1 მუხლი); საწარმოს უფლება აქვს „გადასცეს სხვა საწარმოებს და ორგანიზაციებს, გაყიდოს, გაცვალოს, იჯარით გადასცეს, მისცეს დროებით სარგებლობაში უფასოდ ან სესხად გამოუყენებელი შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალებანი, ინვენტარი, ნედლეული და სხვა მატერიალური ფასეულობანი, აგრეთვე ჩამოწეროს ისინი ბალანსიდან თუ გაცვეთილი ან მორალურად მოძველებულია... გამოუყენებელი ქონების რეალიზაციით მიღებული ამონაგები და საიჯარო ქირა... იგზავნება წარმოების განვითარების ფონდში...“ (4. 4 მუხლი).

როგორც ვხედავთ, სახელმწიფო საწარმოს ქონებრივ დამოუკიდებლობაზე საუბრისას კანონი საკმაოდ შორის მიდის, მაგრამ განმტკიცებულია კი იგი რეალურად? დასკვნის გამოტანას ნუ ვიჩქარებთ. ზოგიერთ გამოთქმას („როგორც პატრონი“, „ფლობს“) მკვეთრი იურიდიული მნიშვნელობა არ გააჩნია, ისინი ფსიქოლოგიურად თუ გეიწვევენ თანადგომას. კანონი, თითქოსდა მთლიანად ათავისუფლებს „ქონების ოპერატიული მართვის უფლებას“ საგეგმო დავალებებისაგან. მასში ნათქვამია: „ხელმძღვანელობს რა საკონტროლო ციფრებით, სახელმწიფო შეკვეთებით, გრძელვადიანი მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიკური ნორმატივებითა და ლიმიტებით, აგრეთვე მომხმარებელთა შეკვეთებით, საწარმო დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს თავის გეგმებს, დებს ხელშეკრულებებს“ (2.1 მუხლი). შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ დამყარდა საწარმოთა სრული დამოუკიდებლობა გეგმების შემუშავებაში, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ამაზე შემდგომ ვისაუბრებთ.

ახლა კი შევეხებით საწარმოს სათანადო ქონებრივი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. აქ ორ ასპექტია: ა) რა გზით შემოდის საწარმოს განკარგულებაში საწყისი საერთო-სახალხო ქონება და მისი შემდგომი მოძრაობა; ბ) როგორ განაგებს საწარმო თავის შემოსავალს.

როგორ უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, პირველი ასპექტი საწარმოს შესახებ კანონში ასახვას ვერ პოულობს. არსებითად უცვლელია ისეთი მდგომარეობა, როდესაც საერთო-სახალხო საკუთრება აღქმულია როგორც „არავისი“. მას ძველებურად განაგებს მმართველობის ბიუროკრატიული აპარატი ისე, რომ შედეგებზე პასუხს არ აგებს. მესაკუთრის წარმომადგენელი სინდისის ქენჯნის გარეშე აკოტრებს მესაკუთრეს. ჩვეულებრივი ამბავია, როდესაც საწარმო სამინისტროს ფონდიდან იღებს მოწყობილობას, არ იყენებს მას და არც რაიმე ეკონომიკურ სიძნელეს განიცდის. ფონდები ზემოდან ცვივა, როგორც ციური მანანები და ქვიშაში იკარგება, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში. ფონდების ასეთი განიავება წარმოდგენილი უყარათობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ამ საკითხში ჩვენ ყველა შესაძლებელი რეკორდი დავამტოვებთ.

რაც შეეხება საწარმოს შემოსავლის განაწილებას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ შემთხვევაში საწარმოს შესახებ კანონი მოქმედებს. მე-3 მუხლით დადგენილია სამეურნეო ანგარიშის ორი ფორმა. პირველის თანახმად, შემოსავალი თავდაპირველად ორ ნაწილად იყოფა: პირველი განკუთვნილია ბიუჯეტთან და ზემდგომ ორგანოსთან ანგარიშსწორებისათვის, აგრეთვე კრედიტის სარგებელის გადასაძღვლად. მეორე კი ქმნის „სამეურნეო-ანგარიშობის შემოსავალს“ (ახლად შემოღებული და არცთუ აუცილებელი ტერმინი). სამეურნეო ანგარიშობრივი შემოსავლიდან ზემდგომი ორგანოს მიერ დადგენილი ნორმატივების (ანარიცხების პროცენტების) შესაბამისად ყალიბდება შემდეგი ფონდები: წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა, სოციალური განვითარებისა; მატერიალური წახალისებისა და ხელვა-

სის. სამეურნეო ანგარიშის ამ ფორმაზე გადაყვანილი საწარმოს დამოუკიდებლობაზე, ვფიქრობთ, სერიოზულად ლაპარაკი არ შეიძლება. ერთადერთი, რაც მას ნამდვილად შეუძლია ის არის, რომ გამოსთხოვოს ზემდგომ ორგანოს ხელსაყრელი ნორმატივი, განსაკუთრებით ხელფასის ფონდთან დაკავშირებით. რამდენადმე ლიბერალურია სამეურნეო ანგარიშის მეორე ფორმა. სამეურნეო ანგარიშებრივი შემოსავალი, რომელიც იქმნება იმავე აუცილებელი გადასახდელების ანაზღაურების შემდეგ და ორ ნაწილად იყოფა: თავდაპირველად, ნორმატივების მიხედვით იქმნება წარმოების, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებისა და სოციალური განვითარების ფონდები, ხოლო ნაშთი მიდის შრომის ანაზღაურების ერთიან ფონდში (მასში გაერთიანებულია ხელფასისა და მატერიალური წახალისების ფონდები). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შრომის ანაზღაურება არაპირდაპირაა დამოკიდებული ზემდგომი ორგანოს მიერ დადგენილ ნორმატივებზე (ის მით უფრო მაღალია, რაც სამეურნეო ანგარიშებრივი შემოსავლის მცირე ნაწილი წაიღია სხვა ფონდებში ნორმატივების მიხედვით).

ამგვარად, სამეურნეო ანგარიშის ორივე ფორმის დროს საწარმოს ქონებრივი დამოუკიდებლობა ამჟამად არასათანადო დონეზეა, რაც არ შეესაბამება კონკურენციის პირობებში სოციალისტური საქონელმწარმოებლის ნორმალურ მდგომარეობას. საწარმო ხელფეხშეკრულია ნორმატივებით, ხოლო ეს, თითქოსდა, ეკონომიკური მართვის საშუალებები მმართველობის ბიუროკრატიული აპარატის ხელშია. ნორმატივები დგინდება ზემდგომი ორგანოს შეხედულებისამებრ და ზოგიერთი ჭირვეული საწარმოს წინააღმდეგობის შედეგად ხდება მისი უმნიშვნელო კორექტირება. აქედან გამომდინარე, საწარმოები ვერ განთავისუფლდნენ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური სისტემის ბრჭყალებიდან. მისი ერთი ფორმა (პირდაპირი მითითებები) შეიცვალა მეორეთი (ნორმატივები). საწარმოთა უმრავლესობა ბედს შეუთრია.

მაგრამ ყველა არა. გამოჩნდნენ მყუდროების დამრღვენი. კანონი საწარმოს შესახებ, რომელიც გარდაქმნის კონსტრუქტორებსა და მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატს შორის კომპრომისის შედეგია, თავისი არც თუ სასახელო და ვიმედოვნებთ ხანმოკლე არსებობის პირველივე თვეებში შეირყა იმათი დარტყმებისაგან, ვინც სხვათაშორის სერიოზულად მიიღო დეკლარაციები „პატრონის“, „ეკონომიკური შეჯიბრების“ შესახებ და გადაწყვიტა ეკონომიკური ქვეყნის კონკრეტული ნორმები ამ დეკლარაციათა დონეზე აეყვანა. და აღმოჩინა, რომ „სრული“ სამეურნეო ანგარიშის ერთნაირად საეჭვო ორი ფორმიდან უკეთესია უბრალო, ძველათაგან ცნობილი — იჯარა, ქონებრივი სესხი. იჯარამ (საოჯახო და კოლექტიურ საფუძველზე) უკვე თქვა თავისი სიტყვა სოფლის მეურნეობაში და ცდლობს ფენი შედგას მრეწველობასა და მშენებლობაში, რისთვისაც კომპერატიულ ფორმასაც იყენებს.

მოიჯარე ცნობს საფონდო გადასახადებს, ბიუჯეტის სასარგებლოდ აუცილებელ გადასახდელებს, რენტის ანარიცხებს, აგრეთვე ანარიცხებს ზემდგომი ორგანოს ხარჯებისათვის, თუ ეს უკანასკნელი რაიმე სასარგებლო სამსახურს უწევს. მოიჯარე თავად ადგენს წარმოების განვითარებისა და შრომის ანაზღაურების ყველა ფორმის ფონდებს შორის შემოსავლის ნაშთის განაწილების ნორმატივებს (აუცილებელი გადასახდელების შემდეგ), ხოლო ამ სერიოზულ საქმეში სამმართველო აპარატის ჩარევას ზედმეტად მიიჩნევს. საკითხის ასეთი შემობრუნება ზოგიერთ მეცნიერს საფუძველს აძლევს ჩათვალოს, რომ თვითნებურად აღმოცენდა ნამდვილად სრული სამეურნეო ანგარიშის მესამე ფორმა და იგი ოფიციალურ აღიარებას საჭიროებს.

საიჯარო ურთიერთობათა აღმოცენებამ გაამწვავა კამათი საერთო-სახალხო საკუთრების რევიმის, მისი რეალიზაციის ფორმების შესახებ, რათა ერთი მხრივ, ეს ქონება არ აღმოჩნდეს „სახაზინო“ და ამიტომ „არაავისის“ მდგომარეობაში, ხოლო მეორე მხრივ — არ შეიცვალოს მესაკუთრე. ალბათ, მართლსაწინ არიან ისინი, რომლებიც გადაჭრით წინააღმდეგნი არიან, რათა „გაიყოს“ საერთო-სახალხო ქონება საწარმოებს, შრომით კოლექტივებს შორის, შეიცვალოს საერთო-სახალხო საკუთრება ჯგუფური საკუთრებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო საწარმოს კომპერატიულ საწარმოდ გარდაქმნის პროცესს საკუთრების სწორედ ასეთი შეცვლისკენ მივყვართ. მაგრამ ეს პროცესი, ვფიქრობთ, არ შეეხება მიწაზე საერთო-სახალხო საკუთრებას, არ „გადააბრუნებს“ სახალხო მეურნეობის რეგ ძირითად დარგს. საერთო-სახალხო საკუთრება კვლავაც იქნება საკუთრების ძირითადი და წამყვანი ფორმა. საეჭვოა, რომ სოციალიზმის ლენინისტული განმარტება, როგორც ცივილიზებულ კომპერატორთა წყობისა, ისე სიტყვა-სიტყვით იქნება გაგებული, რომ მხოლოდ კომპერატივები დარჩება.

სხვა საქმეა, რომ თავისი მდგომარეობით სახელმწიფო საწარმოები კომპერატივებს უახლოვდება. ერთი სიტყვით, შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ საერთო-სახალხო საკუთრების

რეალიზაციის ფორმებზე და არა მისი ლიკვიდაციის, „პრევატიზაციის“, კერძო ან ჩვეულებრივ საკუთრებად გარდაქმნის გზებზე. ამ მიმართებით, ვფიქრობთ არ არის საჭიროება „ოპტიკური მართვის უფლების“ (ნამდვილად მოქველბულის) ნაცვლად შემოვიღოთ ისეთი ფორმა, როგორცაა „სამეურნეო-გარიშვებრივი საკუთრება“. თუმცა მასში გატარებული არასრული, პირობითი საკუთრების იდეა სწორია.

ამოცანა, არსებითად, იმაში მდგომარეობს, რომ საწარმოს უფლებამოსილება მისთვის გადაცემული საერთო-სახალხო ქონებით სარგებლობისას მიუხედავად მესაკუთრის უფლებამოსილებას; არა გავაიგივოთ, არამედ იმდენად მიუხედავად, რომ სახელმწიფო საწარმო არ აგებდეს შევიძრებას სხვა საწარმოებთან ქონებით რაციონალური მანევრირების შეუძლებლობის გამო იმ მიზეზით, რომ თითოეული ნაბიჯი უნდა შეუთანხმოს სახელმწიფოს. ეს პრობლემა ადვილად გადაწყდება თუ მივცემთ საწარმოს მისთვის გადაცემული საერთო-სახალხო ქონების სრული განმგებლობის უფლებას (კოლექტიური სამეურნეო მფლობელობა). ეს იდეა გამოეთქვით საწარმოს შესახებ კანონის წინასაპროექტო განხილვის მსვლელობისას („სოვეტსკოე გოსუდარსტვო ი პრაკო“, 1986, № 10, გვ. 16 და 18). იჯარის აღმოცენებასთან დაკავშირებით საკითხი მფლობელობის შესახებ კვლავ გამოიკვეთა პერიოდულ პრესაში.

კოლექტიური სამეურნეო მფლობელობა, როგორც სარგებლობა და განკარგვა, კონკრეტულ ქონებრივ უფლებამოსილებათა „მფლობელობა“ (ფაქტობრივად ფლობა) როდია. იგი საკუთრების ცნებასთან ახლოს მდგომი უფრო ფართო ცნებაა და მისგან არის წარმოშობილი. ეს არის ისტორიაში ძველთაგან ცნობილი არასრული, პირობითი საკუთრება (მაგალითად, მემკვიდრეობის მფლობელობა). სრულუფლებიანი მფლობელობა იჯარაზე „მეტია“. მასში, იჯარისაგან განსხვავებით, თითქმის „ქარაგმულადაა“ ნათქვამი მფლობელისა და მესაკუთრის ურთიერთკავშირზე. შრომითი კოლექტივი, როგორც მფლობელი, უვადო სარგებლობისათვის იღებს ქონებას, რომელთანაც, როგორც ხალხის შემადგენელ ნაწილს, ვის საკუთრებაშიცაა ეს ქონება, „თანამესაკუთრულ“ დამოკიდებულება აქვს. ეს უმნიშვნელო მომენტი როდია. „მფლობელ-მესაკუთრეს“ გარკვეული უპირატესობა აქვს მოიჯარესთან, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით. ეს არ გამოირიცხავს მკაცრ მომთხოვნელობას მესაკუთრესა და მფლობელს შორის. როგორც ჩანს, იჯარის ინსტიტუტი სრულად არ შეესაბამება, ერთი მხრივ, საზოგადოებას, ხალხს, სახელმწიფოსა და მეორე მხრივ, საწარმოს შრომით კოლექტივს შორის ურთიერთობათა ხასიათს, იჯარა, როცა ეს აუცილებელია, უფრო შეესაბამება საწარმოებსა და მის ქვედანაყოფებს ან ცალკეულ მუშაკებს, მფლობელსა და „სუნმფლობელს“ შორის ურთიერთობებს. თავისთავად ცხადია, რომ მათ შორის მკვეთრი განსხვავება არ არის.

საერთო-სახალხო ქონების „არავისის“ ცნებიდან გამომდინარე, უყარათობის დამლევა მოითხოვს სახელმწიფოს მიერ საერთო-სახალხო ქონების საწარმოსათვის სამეურნეო მფლობელობაში გადაცემის სახელშეკრულებო ფორმის საკანონმდებლო დადგენას. ეს შეიძლება გაკეთებულიყო საწარმოს წესდების მაგალითად, ასეთი სახის დამტკიცებისას:

საწარმოს წესდებას შრომითი კოლექტივის რწმუნებით ხელს აწერს საწარმოს დირექტორი და ამტკიცებს ის სახელმწიფო ორგანო, რომელსაც სათანადო უფლებამოსილება გააჩნია. საწარმოს წესდების განსაკუთრებულ კარში ან დანართში მოთავსდება სახელმწიფოს მიერ საწარმოს სამეურნეო მფლობელობაში გადაცემული საერთო-სახალხო ქონების სია, სადაც მითითებული იქნება ამ ქონების ნატურალური შემადგენლობა, ფასი და მათი გამოყენების პირობები. ამ მონაცემებში ყოველი ცვლილება ფიქსირდება წესდების თანდართულ ოქმებში, რომლის მიღება, ხელმოწერა და დამტკიცება მოხდება ზემოაღნიშნული წესით. საწარმოს წესდებით დადგინდება მისთვის გადაცემული საერთო-სახალხო ქონების ღირებულების ანაზღაურების განსაზღვრული ვადები. წარმოების ძირითადი საშუალებების ღირებულებას იგი აუნაზღაურებს სახელმწიფოს სამორტიზაციო ანარიცხების ფორმით, რომლებიც წესისამებრ საწარმოს განკარგულებაში რჩება. საწარმო ამრავლებს მის მფლობელობაში ყოფი საერთო-სახალხო ქონებას წარმოების განვითარების ფონდში დადგენილი ანარიცხებით. ქონების ნატურალური შემადგენლობა იცვლება საწარმოს შეხედულებისამებრ სამეურნეო მიზანშეწონილობის შესაბამისად. საწარმოს პროფილის შეცვლა ექვემდებარება ზემდგომ სახელმწიფო ორგანოსთან შეთანხმებას. კანონით გათვალისწინებულია განსაკუთრებული გარემოებები, რომელთა დროსაც სახელმწიფო ცალმხრივი წესით გამოიყენებს საწარმოს სამეურნეო მფლობელობაში არსებულ ქონებაზე მესაკუთრის უფლებამოსილებას და ამ უფლებამოსილებათა გამოყენების წესს, რომელიც შრომითი კოლექტივის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტიას იძლევა.

საწარმოს ქონებრივი დამოუკიდებლობის პრობლემის გადაწყვეტის გზები სწორედ სრულ-

უფლებიანი სამეურნეო მფლობელობის ინსტიტუტის ფორმირების მიმართულებით მიდის. ეს იქნებოდა საფუძველი საფუძველი „საგარო“ საწარმოო თვითმმართველობის მეორე პირობის — საწარმოს საგეგმო დამოუკიდებლობის გადასაწყვეტად. აქ საწარმოს შესახებ კანონი სკანდალურად წინააღმდეგობრივი, სრულიად დაუსაბუთებელია. ამის შესახებ ბევრი დაიწერა და ახლაც იწერება, ამიტომ საეჭვოა რომ ავიცილოთ განმეორება.

მე-2 მუხლში („საწარმოს საქმიანობის პრინციპები“) კანონი გვარწმუნებს, რომ „საწარმო დამოუკიდებლად ამუშავებს და ამტკიცებს თავის გეგმებს“. ეს ფორმულა მეორდება დაგეგმვისადმი სპეციალურად მიძღვნილ მე-10 მუხლშიც. ამავე მუხლში ეს დამოუკიდებლობა ძალზე საინტერესოა და განმარტებული. საწარმოებს ეძლევათ „საკონტროლო ციფრები“, უპირველესად „პროდუქციის წარმოების მაჩვენებელი“ (საერთო). „ისინი არ ატარებენ დირექტიულ ხასიათს“, მაგრამ მინც ეძლევათ. ამასთან ერთად, „ეძლევათ“ სახელმწიფო შეკვეთები, რომლებიც პირდაპირ „სავალდებულო გეგმაში შესატანად“. კანონი ვარაუდობს, რომ სახელმწიფო შეკვეთები საწარმოო სიმძლავრეების მხოლოდ ვარკვეულ ნაწილს დაიკავებს, მაგრამ ფაქტობრივად, კანონის მოქმედების პირველ წელს, ბევრი საწარმოსათვის ამ ნაწილმა 100 პროცენტი შეადგინა და ზოგჯერ მეტიც (თუ საწარმო რაიმე დამატებით რეზერვს აღმოაჩენს, ისიც სახელმწიფო შეკვეთის შესარტულებლად გამოიყენება). კანონის მიხედვით, სახელმწიფო შეკვეთები „შეიძლება განლაგდეს საკონკურსო საფუძველზე“, ე. ი. ისინი შეიძლება ისეთი მომგებიანი იყოს საწარმოთათვის, რომ მათ მისაღებად ამ უკანასკნელთ ბრძოლა მოუწყვეთ. ძალიან კარგი, და მაშინ აღარ იქნება საჭირო არავითარი სავალდებულობა. მაგრამ ეს მხოლოდ სამინისტროთა მიმართ გამოხატული სურვილებია. საკმარისია ვუთხრათ მათ, რომ არ არის სხვა საშუალება და ვუბრძანოთ მიიღოს სახელმწიფო შეკვეთა მისი სარგებლიანობის მიუხედავად. ამის შემდეგ კანონი აცხადებს, რომ „სახელმწიფო შეკვეთების მიცემისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მხარეების — შემსრულებლისა და შემკვეთის ორმხრივი პასუხისმგებლობა“. მაგრამ, ამავე დროს, კვლავ არ ადგენს, რომ სახელმწიფო შეკვეთა, რომელიც მატერიალურ-ტექნიკურად არაა უზრუნველყოფილი, არ შეიძლება საწარმოსათვის სავალდებულო იყოს. აქედან აშკარაა, თუ ამის შემდეგ რად ღირს დეკლარაცია საწარმოს საგეგმო დამოუკიდებლობის შესახებ. სახეზეა დირექტიული დაგეგმვა, ოღონდ სხვა ფორმით. დღეისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ამზადებს დებულებას სახელმწიფო შეკვეთის შესახებ. კანონის დაკონკრეტების გზით, მასში, ალბათ რაიმეს გააუმჯობესებენ. თუმცა, კანონქვემდებარე აქტს პრინციპული ცვლილებების შეტანა კანონში არ შეუძლია.

საწარმოს შესახებ. კანონის საწინააღმდეგოდ საგეგმო დამოუკიდებლობის საკითხის გონივრული გადაწყვეტაა მოცემული კანონში კოოპერაციის შესახებ. მე-18 მუხლის თანახმად „კოოპერატივი დამოუკიდებლად გეგმავს თავის საწარმო-ფინანსურ საქმიანობას და კოლექტივის სოციალურ განვითარებას. გეგმებს (ან შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვებს) ამტკიცებს კოოპერატივის წევრთა საერთო კრება... გეგმების საფუძველს შეადგენენ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მომხმარებელთან და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მომწოდებლებთან დადებული ხელშეკრულებები“.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 13 იანვრის დადგენილების თანახმად ერთობლივი საწარმოებიც (სხვა ქვეყნების მონაწილეობით) სრული საგეგმო დამოუკიდებლობით სარგებლობენ. აქედან გამომდინარე, კონკურენციის პირობებში სახელმწიფო საწარმოები კოოპერაციულთან შედარებით არახელსაყრელ მდგომარეობაში არიან ჩაყენებული თვით სახელმწიფოს მიერ, დაუჭერებელია, მაგრამ ფაქტია.

მათ ხვედრს იზიარებენ კოლმეურნეობებიც. კოოპერაციის შესახებ კანონის იმავე მე-18 მუხლის თანახმად ისინი, როგორც კოოპერატივები, თითქოსდა სრული საგეგმო დამოუკიდებლობით სარგებლობენ. საერთო-სახალხო განხილვისათვის გამოკვეყნებულ კოოპერაციის შესახებ კანონის პროექტში ნათქვამია, რომ კოლმეურნეობები დამამზადებელ ორგანიზაციებთან და გადამამუშავებელ საწარმოებთან ხელშეკრულების დადებისას „გამოდიან“ მათთვის მიცემული სახელმწიფო შეკვეთებიდან. ამ მრავალმნიშვნელოვანი ტერმინის დახმარებით სცადეს კოლმეურნეობებზეც გაეკრცვლებინათ სახელმწიფო შეკვეთების სავალდებულობა: თუ სახელმწიფო შეკვეთა კონტრაგენტისათვის სავალდებულოა, კოლმეურნეობა კი მისი გეგმიდან გამოდის, მაშინ სახელმწიფო შეკვეთა კოლმეურნეობისათვისაც სავალდებულო ხდება, და ისიც დირექტიული დაგეგმვის სფეროში ხდება. ამ პროექტის განხილვის დროს აღნიშნულ უხეშ ბიუროკრატიულ ეშმაკობას უცებ აუღეს ალღო და მისი უარყოფა მოითხოვეს.

და მიიღეს იგივე ხრიკი, უფრო დახვეწილი ფორმით. კოოპერაციის შესახებ კანონის 34.2 მუხლით კოლმეურნეობების კონტრაგენტები, რომლებიც სახელმწიფო შეკვეთებს ასრუ-

ლებენ, „ფასების სისტემის, პროდუქციის გარანტირებული გასაღების უზრუნველყოფის, მატერიალურ-ტექნიკური რესურსების საჭირო მოცულობით გამოყოფისა და სხვა ეკონომიკური მეთოდების გამოყენების მეოხებით“ ცდილობენ სტიმული მიანიჭონ კოლმეურნეობებს, რათა მათ აწარმოონ და გაყიდონ პროდუქცია სახელმწიფო შეკვეთების ანგარიშში. შესანიშნავია. გამოდის რომ მატერიალურ-ტექნიკური რესურსების „გამოყოფაც“ ეკონომიკური მეთოდი ყოფილა. კოლმეურნეობა სხვა გზით ვერ მოიპოვებს რესურსებს, თუ არა კონტრაგენტისაგან ან მისი მეშვეობით, ეს უკანასკნელი კი მხოლოდ იმ შემთხვევაში „გამოყოფს“ მათ თუ კოლმეურნეობა მის დიქტატს მიიღებს („აწარმოო ის, რაც მე მჭირდება სახელმწიფო შეკვეთის შესასრულებლად“). აქამდე ყველას ეგონა, რომ ადმინისტრაციული-საგან განსხვავებით, ეკონომიკური მეთოდი ითვალისწინებს არჩევანის მქონე თანასწორუფლებიან მხარეების ურთიერთსასარგებლო შეთანხმებას. ასეთ პირობებში კი ფორმალურად მინიჭებული საგვგომ დამოუკიდებლობა ფაქტობრივად გაქარწყლებულია საკოოპერაციო, ამ შემთხვევაში, მომარაგებითი დამოუკიდებლობის არარსებობით.

პრინციპული შეცდომა აღმოჩნდა გეგმიურობის პირობების უნიფიცირებელი გადაწყვეტის ობიექტის, სამწესობროდ, ვერ ანსხვავებს საწარმოებს როგორც სახელმწიფო დაგეგმვის ობიექტებს. სინამდვილეში კი საწარმოებს შორის მკვეთრი დარგობრივი განსხვავებაა. არის დარგები, რომლებშიც კონკურენცია გაძნელებული ან სულაც შეუძლებელია. ასეთებია, თავდაცვითი მრეწველობა, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, ტრანსპორტი. ამასთან, ეს დარგები უშუალო ცენტრალიზებულ მმართველობას მოითხოვს. აქ მიზანშეწონილია შენარჩუნებულ იქნეს დირექტიული დაგეგმვა და არასრული სამეურნეო ანგარიში. ყველა სხვა დარგში კი მატერიალური წარმოების უმეტეს ნაწილში შეუძლებელია გაორკიდეთ კონკურენციისა და საბაზრო რეგულირების გარეშე. ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებელია არადირექტიული, რეგულატორული, მიმმართველი სახელმწიფო დაგეგმვა, რომელიც მმართველობის ეკონომიკური მეთოდებით შეუერთდება საწარმოს სრულ საგვგომ დამოუკიდებლობას („თვითდაგეგმვას“) და სრულ სამეურნეო ანგარიშს (დაწვრილებით ამ საკითხებს მოხსენების ავტორი შეეხო ქურნალ „ეკონ“-ში გამოქვეყნებულ სტატიაში — 1987 წელი № 10). რეგულირების ობიექტის დიფერენცირების იგნორირების ცდამ იქამდე მიგვიყვანა, რომ კანონი არცერთი ტიპის საწარმოს არ ესადაგება: ერთს იგი ძალიან ცოტას აძლევს, მეექვსეტი იფუნქციონირების საშუალებას უსპობს, სხვებს კი — ძალიან ბევრს, გზას უხსნის თავისი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისათვის. ყველა ამ მიზეზის გამო ზარალდება საბოლოო მომხმარებელი — საზოგადოება.

სამეურნეო დამოუკიდებლობის ჩამოთვლილი სამი ელემენტიდან უკანასკნელში — საწარმოს კოოპერაციულ დამოუკიდებლობაში იგულისხმება მისი სამეურნეო კავშირების ერთობლიობა, რომელიც გამოქმდინარეობს საზოგადოებრივი შრომის დანაწილებიდან, წარმოების სპეციალიზაციიდან. მათ განეკუთვნება საწარმოს პირდაპირი (ხანგრძლივი და ერთჯერადი) კავშირები მიმწოდებლებთან და მომხმარებლებთან და კავშირები, საბითუმო და საცალო ვაჭრობით, აგრეთვე (დღეისათვის კი — პირველ რიგში) ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებით. ამასვე შეიძლება მივაკუთვნოთ საწარმოს მონაწილეობა სხვადასხვა გაერთიანებებში, რომელთა საზღვრებში კოოპერაციული კავშირები განსაკუთრებით მდგრად და საიმედო ხასიათს იძენს.

სამეურნეო კავშირების მთელ ამ კომპლექსში კანონს ზოგიერთი სიახლე შეაქვს, რომლებიც მიმართულია საწარმოს დამოუკიდებლობის გაფართოებისაკენ, თუმცა, როგორც წესი, მათ ბევრი შეზღუდვაც ახლავთ: ნათქვამია, რომ „საბითუმო ვაჭრობა უნდა გაფართოდეს და საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ძირითადი ფორმა უნდა გახდეს“. ლაპარაკია „პირდაპირ ულიმიტო შეკვეთებზე“, მაგრამ კვლავ რჩება „ცალკეული“ სახის მატერიალური რესურსების „ლიმიტების (ფონდების)“ მიხედვით ცენტრალიზებული წესით „გამოყოფა“ (მუხლი 15.1). საბითუმო ვაჭრობის ერა მომავალში როდისმე დადგება, ჭერჯერობით კი ცენტრალიზებული ლიმიტირებული მომარაგება უარობს. „მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოებს ეკრძალებათ თვითნებურად გადასინჯონ საწარმოთა შორის დამყარებული პირდაპირი ხანგრძლივი ურთიერთობა“ (მუხლი 15.3), მაგრამ განსაზღვრული არ არის, თუ რას ნიშნავს „თვითნებურად“. ასე რომ ნებისმიერი დასაბუთება დასაშვებია. კვლავ რჩება მომხმარებლის მიმავრება მიმწოდებელთან. მიმწოდებლის გამოუსწორებლობის შემთხვევაში „საწარმოს თხოვნით მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანო ან ზემდგომი ორგანო მას სხვა მიმწოდებელს მიამავრებს“ (მუხლი 15.4), მაგრამ მომხმარებელს არა აქვს უფლება თავად აირჩიოს მიმწოდებელი. საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებები, მათ შო-

რის დამოუკიდებელი საწარმოები, იქმნება ზემდგომი ორგანოების მიერ საწარმოსთან შეუ-
თანხმებლად (მუხლი 5. 1—5.6). საწარმოები თავისი სამეურნეო დამოუკიდებლობის შენარჩუ-
ნებით „შეიძლება შეყვანილ იქნენ მსხვილი ორგანიზაციული სტრუქტურების — სახელმწიფო
საწარმოთა გაერთიანებების შემადგენლობაში“ (მუხლი 5.7), მაგრამ ასეთი მსხვილი სტრუქ-
ტურების, თვითმმართველი სამეურნეო გაერთიანებების შექმნა თვით საწარმოთა მიერ არ არის
გათვალისწინებული.

ამგვარად, კანონი სახელმწიფო საწარმოს შესახებ ვერ უზრუნველყოფს საწარმოს ვერც
ქონებრივ, ვერც საეკონომიკო, ვერც კოოპერაციული დამოუკიდებლობით იმ დონეზე, რომ იგი
ჩაერთოს სოციალიზმის ნორმალურ საწარმოთა ურთიერთობებში და პატიოსანი კონკურენცი-
ის პირობებში ამაღლოს წარმოების ეფექტურობა, რითაც უზრუნველყოს შრომითი კოლექ-
ტივის მაქსიმალური კეთილდღეობა. ამის გამო სრული ძალით ვერ ამოქმედდება სასაქონ-
ლო წარმოებისათვის დამახასიათებელი ეკონომიკური მექანიზმი, რომელიც პირადად გამორ-
ჩენისაქნის მისწრაფებას საერთო ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიაქცევს, უზრუნველყოფს
საზოგადოებრივ სარგებლობას. ძირითადად კვლავ რჩება ცენტრალიზებული მმართველო-
ბის, ადმინისტრაციული დაწესებულების ძველი, სამართლიანად დაწესებული მეთოდი.

თავისი დეკლარაციებით კანონმა სახელმწიფო საწარმოები მოხიბლა საწარმოთა თვით-
მმართველობის პერსპექტივებით, მისთვის დამახასიათებელი რისკით, და სავარაუდო დიდი
გამორჩენით. მაგრამ კანონის კონკრეტული ნორმებიდან გამომდინარე საწარმოები მმართვე-
ლობის ბიუროკრატიზირებულ აპარატზე მეტისმეტად დამოკიდებულ მდგომარეობაში დარჩ-
ნენ. ის კი თავდაცვის მიზნით სასოწარკვეთელ საშუალებებს მიმართავს, რათა შემოიფარგ-
ლოს უმნიშვნელო ცვლილებებით, ნახევრადგარდაქმნით, მოჩვენებითი გარდაქმნით. გულბრ-
ყვილო ან გათამაშებული ობტემისტური შეფასებებისა და იმედების მიუხედავად, კანონი
ვერ გახდა და არც შეეძლო რადიკალური ეკონომიკური რეფორმის საფუძველი გამხდარი-
ყო. თუმცა მან ამ მიმართულებით მინც წინ წაიწია, საწარმოთა ნაწილს შესაძლებლობა
მისცა თამბი ნაბიჯი გადაეღო — ეცუთა თვითმმართველობისა და კონკურენციის ღია ზღვაში,
სადაც ხშირად შეხვდებით არა მარტო ბუნებრივ წყალქვეშა ლოდებს, არამედ ბიუროკრატიულ
გადაძლივ ბადებებსა და ხაფანგებს. ზოგიერთმა საწარმომ გამოსავალი კოოპერატიულ გადაქ-
ცევაში იპოვა, რის საჭიროებაც არ იქნებოდა თვითმმართველობის ნორმალური განვითარების
პირობებში. საწარმოთა უმრავლესობას კი არ სურს ასეთი „თავისუფლება“, რომელსაც შედე-
გად შეიძლება მოჰყვეს პასუხისმგებლობა არა საკუთარი, არამედ სხვათა შეცდომების გამო და
ირჩევს საიმედოდ და მორჩილად იარსებოს ადმინისტრაციული სისტემის ფრთხილ ქვეშ.

ასეთი საწარმოები სახელმწიფო შეკვეთების წინააღმდეგნი არ არიან, პირიქით, ცდილო-
ბენ კიდევ მათ მოპოვებას წარმოების მთელი მოცულობისათვის, რადგან ეს იძლევა მტე-
რიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სრულ გარანტიას (ეს კი ყველაზე მტკივნეული წერ-
ტილია სამეურნეო საზრუნავთა შორის). ბევრი საწარმო ურიგდება ანარიცხების მაღალ ნორ-
მატივებს, რამდენადაც იმედი აქვს, რომ მოგების ცენტრალიზებული განაწილებისა და გადა-
ნაწილების შედეგად მას თავისი დაუბრუნდება, შეიძლება ნამატიოც კი (ასეთ შემთხვევაში
ყოველთვის მოწინავე, მაღალრენტაბელური საწარმოები ზარალდებიან, ქრონიკული ჩამორჩე-
ნილები კი მოგებაში რჩებიან, რაც ჩვენთან საფუძვლიანად დამკვიდრებული სხვის კმაყო-
ფაზე ყოფნის შედეგია). ბევრი საწარმოსათვის კეცვის „ობორტუნისტული“ წესი ფასების
მოშლილი სისტემითაა განპირობებული, იმით, რომ ამის გამო მათ არ შეუძლიათ რენტაბელუ-
რად მუშაობა და დამოკიდებული არიან დოტაციებზე, ე. ი. სამმართველო აპარატზე.

შექმნილმა არახელსაყრელმა მდგომარეობამ თავისი გამოხატულება პოვა სსრ კავშირის
ნეკნიერებათა აკადემიის სოციოლოგიურ გამოკვლევათა ინსტიტუტის მიერ 1988 წელს მოწ-
ყობილ გამოკითხვაში, რომელშიც 11 ათასზე მეტმა კაცმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის
იყვნენ მუშები, ინჟინრები, მოსამსახურენი, სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები. 80,6 პრო-
ცენტმა მხარი დაუჭირა გარდაქმნას. შესანიშნავია. მაგრამ ვნახოთ როგორ ნაწილდება პა-
სუხები კითხვაზე, თუ რა ნალოვანებები გააჩნია მას. 63,7 პროცენტი გარდაქმნის ნაკლად
მიიჩნევს იმას, რომ „არ არის შექმნილი პირობები, რომელიც გაიძულებს გარდაიქმნა, რე-
ალური გარდაქმნა მასზე ლაპარაკით იცვლება“; 23,6 პროცენტი — რომ სახეზეა „გარდაქმნის
არის დამახინჯება ადგილებზე, ძირითად სტრატეგიული მიმართულებებიდან გადახვევა“; —
ხოლო 4,5 პროცენტი — რომ ტარდება „გარდაქმნის კურსის შეგნებული დისკრეტაცია“.
ნეკითხვაზე, რომელიც ეკონომიკურ სფეროებში მოხდება ცვლილებებს შეეხებოდა, 2,7 პრო-
ცენტმა უპასუხა, რომ „მნიშვნელოვანი წარმატება მოპოვებული“, 42,5 პროცენტმა — რომ
„გარკვეული წარმატება მოპოვებული“. 34,6 პროცენტმა — რომ „პრაქტიკულად არაფერი“

მოპოვებული“, 3,8 პროცენტმა — რომ „მდგომარეობა გაუარესდა კიდევ“ („არგუმენტი“ ფაქტი“, № 32, 1988 წლის 6-12 აგვისტო).

სკკპ XIX საკავშირო კონფერენციამ (1988 წ.) მხარი დაუჭირა სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნის ძირითად მიმართულებებს, ამასთან მკაცრად გააკრიტიკა გარდაქმნის ღუნე, უსიცოცხლო წინსვლა. როგორც თ. ს. გორბაჩოვმა აღნიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის (1988 წ.) პლენუმზე, კონფერენციამ დაამტკიცა, რომ „არის წინააღმდეგობა ინერციული, კონსერვატიული ძალების მხრივ, რომლებსაც სურთ ჩუმ-ჩუმად დაამუხრუჭონ რეფორმა, ამისათვის გამოიყენონ უმცირესი შესაძლებლობანი, შეფერხებები და ხარვეზები, რომლებიც მის გზაზე წარმოიქმნება“ (გაზ. „კომუნისტი“ 1988 წლის 31 ივლისი).

ბუნებრივია, სათანადოდ უნდა შევაფასოთ ახალ სამეურნეო მექანიზმზე გადასვლის ობიექტური სიძნელეები. გარდამავალი პერიოდი მისი გარდაუვალობის გამო, ერთობ წინააღმდეგობრივია, მაგრამ აქედან სულაც არ გამომდინარეობს ის, რომ გარდაქმნის ნორმატიული ბაზაც შინაგანად წინააღმდეგობრივი უნდა იყოს. პირიქით, საწარმოს შესახებ კანონს საფუძველი უნდა ჩაეყარა და განემტკიცებინა ახალი სამეურნეო მექანიზმის სისტემური მოდელი და ამით გარდაქმნის ორიენტირი გამხდარიყო. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. საწარმოს შესახებ კანონი გარკვეულწილად ეკონომიკური რეფორმის მხოლოდ საფუძველი კი არ გახდა, არამედ იმედროულად მისი დამუხრუჭების მექანიზმადაც იქცა. ინერციულ და კონსერვატიულ ელემენტებს ნება დართეს (ვინ?) წინდახედულად ჩაეჭყოთ კანონში არც თუ უმნიშვნელო შესაძლებლობები გარდაქმნის ბლოკირებისათვის. ისინი, ბუნებრივია, გამოყენებულ იქნება მანამ, სანამ მოქმედის ნაცლად ახალ კანონს არ მივიღებთ.

საწარმოს შესახებ კანონის იმ ნაწილს, რომელიც უდაოდ ემსახურება გარდაქმნას და შენარჩუნებას იმსახურებს, განეკუთვნება საწარმოს მართვაში შრომითი კოლექტივის მონაწილეობის შესახებ ნორმათა სისტემა (მუხლები 6 და 7).

დგინდება, რომ „საწარმოს მართვა ხორციელდება დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპის, ცენტრალიზებული ხელმძღვანელობისა და შრომითი კოლექტივის სოციალისტური თვითმმართველობის შეხამების საფუძველზე“. ერთმმართველობასთან შეხამებულია ხელმძღვანელთა არჩევითობა. საწარმოს ხელმძღვანელი, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს და შრომითი კოლექტივის ინტერესებს, აირჩევა შრომითი კოლექტივის საერთო კრების მიერ 5 წლის ვადით, ხოლო თუ კოლექტივი მრავალრიცხოვანია — წარმომადგენელთა კონფერენციის მიერ, როგორც წესი, საკონკურსო საფუძველზე. არჩევნები ფარული ან ღიაა — კრების (კონფერენციის) შეხედულებისამებრ. არჩევნების შედეგებს ამტკიცებს ზემდგომი ორგანო. თუ იგი არ დაამტკიცებს კანდიდატურას, ეწყობა ახალი არჩევნები. შესაძლებელია ხელმძღვანელის ვადაზე ადრე განთავისუფლება კოლექტივის ინიციატივით. ანალოგიური წესით ტარდება საწარმოს ქვედანაყოფების ხელმძღვანელთა არჩევნებიც.

ხელმძღვანელის არჩევის გარდა საერთო კრება (კონფერენცია) ირჩევს, აგრეთვე, შრომითი კოლექტივის საბჭოს, ისმენს ორივეს ანგარიშებს, განიხილავს და ამტკიცებს საწარმოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს და წყვეტს სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იგი მოიწვევა საჭიროების მიხედვით, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ორჯერ მაინც.

შრომითი კოლექტივის საბჭოს ფარული ან ღია კენჭისყრით 2-3 წლის ვადით ირჩევს კოლექტივის საერთო კრება (კონფერენცია). ადმინისტრაციის წარმომადგენელთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მისი შემადგენლობის მეოთხედს. მასში წარმომადგენელი არიან (ხელმძღვანელთა სახით) პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები. ის კონტროლს უწევს საერთო კრების (კონფერენციის) გადაწყვეტილებათა შესრულებას, ისმენს ადმინისტრაციის ანგარიშს საწარმო-სამეურნეო საქმიანობის მიმდინარეობისა და შედეგების შესახებ, წყვეტს საწარმოს მართვისა და ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფის, მუშათა შრომის ანაზღაურების, სოციალური სიკეთის სამართლიანი განაწილების, წარმოების განვითარების, მატერიალური წახალისებისა და სოციალური განვითარების ფონდების გამოყენების, სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის დაცვისა და სხვა საკითხებს. საბჭოს გადაწყვეტილებანი სავალდებულოა ადმინისტრაციისა და შრომითი კოლექტივის წევრთათვის. თუ ადმინისტრაცია არ ეთანხმება საბჭოს, საკითხს წყვეტს საერთო კრება (კონფერენცია).

ჩვენი აზრით, საწარმოს შესახებ კანონი ყველაზე უკეთ გამოიყენება შრომითი კოლექტივის თვითმმართველობის მექანიზმის მოქმედების ნაწილში, მაგრამ საერთო სურათი აქაც შორსაა სასურველისაგან. ვნახოთ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სოციოლოგიური გამოკვლევის ინსტიტუტის ზემოაღნიშნული გამოკითხვის მონაცემები. კითხვაზე „ამჩნევთ

თუ არა თქვენს კოლექტივში საწარმოს საქმიანობაში მუშაეთა აქტიურობის, ინიციატივისა და დაინტერესებულობის ამაღლებას? — ასეთი პასუხები გაეცა (პროცენტებში): „დიახ, არსებით განსხვავებას“ — 3,2; „დიახ, აქტიურობა გარკვეულწილად ამაღლდა“ 46,2; „არა, პრაქტიკულად არ ამაღლებულა“ — 41,7; „მიჭირს პასუხის გცემა“ — 7,4. კითხვაზე „როგორ აფასებთ კოლექტიური თვითმმართველობის ორგანოთა საქმიანობის ეფექტურობას (შრომითი კოლექტივების საბჭოების, საამქროების, ბრიგადებისა და სხვა)?“ — მივიღეთ ასეთი პასუხები: „ისინი ძალზე აქტიურად მუშაობენ“ — 2,7; „ჯერ კიდევ სათანადოდ არ გამოუჩენიათ თავი“ — 52,6; „არჩეული საბჭოები უმოქმედოდაა“ — 18,3; „კოლექტიური თვითმმართველობის ორგანოები ჩვენ არ გვაქვს“ — 11,1; „ვერ გეტყვი, რამეთუ არა ვარ ინფორმირებული“ — 15,3 პროცენტი (იხ. „არგუმენტი ი ფაქტი“, № 32, 1988 წლის 6-12 აგვისტო).

კანონის ამ ნაწილის რეალიზაციის სიძნელეთაგან უნდა აღინიშნოს ის საკითხი, თუ ვინ უნდა უხელმძღვანელოს შრომითი კოლექტივის საბჭოს. კანონი ამ საკითხს ღიად ტოვებს, მისი გადაწყვეტის უფლებას შრომით კოლექტივებს უტოვებს. პირველ ხანებში პრაქტიკა იმ გზით წავიდა, რომ თავმჯდომარეებად თანაბარი შეფარდებით ირჩევიდნენ საწარმოს ხელმძღვანელს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს ანდა მოწინავე მუშას. სსრ კავშირის სახმშენმა თავისი სისტემის საწარმოებს რეკომენდაცია მისცა აერჩიათ წარმოების ხელმძღვანელები. 1988 წლის თებერვალში საქმეში ჩაერთვნენ საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალური და სსრ კავშირის შრომის სახელმწიფო კომიტეტები. მათ რეკომენდაცია მისცეს თავმჯდომარეებად არ აერჩიათ საწარმოთა ხელმძღვანელები (იხ. „იზესტია“, 1988 წლის 13 თებერვალი; „ტრუდი“, 1988 წლის 15 თებერვალი). ეს რეკომენდაცია სავალდებულოდ მიიჩნეეს. ამან მეცნიერული პოლემიკა გამოიწვია. ერთნი ამას დემოკრატიულ და ამდენად სამართლიან გადაწყვეტილებად თვლიდნენ, სხვებმა კი დემოკრატიზაციის „ბავშვურ ავადმყოფობად“ მიიჩნეეს. ამ წერილის ავტორი ამ უკანასკნელთ უჭერს მხარს.

შრომითი კოლექტივის საბჭო არ უნდა შევადაროთ ადმინისტრაციულ, აღმასრულებელ-განმკარგულებელ ორგანოთაგან ცალკე მდგომარეობის, სახელმწიფოს წარმომადგენლობით ორგანოს. იგი კოოპერატივის გამგეობის ანალოგიურია, რომელსაც კოოპერატივის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, როგორც საწარმო-სამეურნეო მმართველობის ორგანო, შრომითი კოლექტივის საბჭოს შეუძლია ეფექტური ზემოქმედება მოახდინოს საწარმოს ხელმძღვანელთან ერთად, რომელიც საწარმოს შესახებ კანონის შესაბამისად, როგორც სახელმწიფოს ნდობით აღჭურვილი წარმომადგენელი, „განაგებს საწარმოს ქონებას, ღებს ხელშეკრულებას“ და ახორციელებს სხვა საწარმო-სამეურნეო ფუნქციებს (მუხლი 6.4).

შრომითი კოლექტივის საბჭოს აქვს პერსპექტივა ნამდვილად იქცეს საწარმოს საწარმო-სამეურნეო თვითმმართველობის გადაწყვეტ კოლექციალურ ორგანოდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საწარმოს დირექტორი უხელმძღვანელებს.

საკითხის სხვაგვარი გადაწყვეტა მხოლოდ გვეჩვენება უფრო დემოკრატიულად. შრომითი კოლექტივის საბჭოს ფაქტიური ხელმძღვანელი, როგორც წესი, მაინც დირექტორი იქნება, საბჭოს ფორმალური ხელმძღვანელი კი დირექტორის თანაშემწედ, ანდა სულაც ცრუმაგიერ ფიგურად იქცევა. შესაძლებელია ისეთი ვარიანტიც, როდესაც დირექტორი და შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ერთმანეთთან წინააღმდეგობაში, სისტემატურ კონფლიქტში იქნებიან. „ორხელისუფლებიანობა“ კი იქამდე მიგვიყვანს, რომ მმართველობის „დემოკრატიზაცია“ სინამდვილეში მის „ანარქიზაციამდე“ მიგვიყვანს. დირექტორის არჩევითობა და შრომითი კოლექტივის საბჭოს, როგორც გადაწყვეტი ორგანოს ფუნქციონირება სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ გამორიცხოს დირექტორის მეტისმეტი ავტორიტეტულობა. ამ ორ ღონისძიებას რომ მესამეც დაეუშვართ, კერძოდ, შრომითი კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარედ არ დაეუშვათ დირექტორი, მაშინ ამაღლდება საწარმოს მართვაში დემოკრატიზაციის ალბათობა.

სახელმწიფო საწარმოს შესახებ კანონი სანახევროდ სრულყოფილი გამოდგა. მან სწორი პრინციპები წამოაყენა, მაგრამ ვერ შეძლო მათი რეალიზაცია კონკრეტულ ნორმებში. ეს, პირველ რიგში, დაგვემის სისტემას ეხება. არსებითად კვლავ შენარჩუნებულია დირექტიული დაგეგმვა, თუმცა განახლებული ფორმით. ამდენად უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან უპირატესად ეკონომიკურ მეთოდზე გადასვლა რეალურად არ ხერხდება ან ძალზე უმნიშვნელოა. და თითქოს საწარმოს სავარეო სამეურნეო კავშირების (ეს კი საწარმოო თვითმმართველობის სამეურნეო მექანიზმის დემოკრატიზაციის ძირითადი მხარეა) დამოუკიდებლობის არასათანადოდ გაფართოების საკომპენსაციოდ კანონმა რადიკალური ნაბიჯი გადადგა საწარმოს საშინაო თვითმმართველობის დემოკრატიზაციისათვის. ეს კარგია, ეს საწარმოებს

საშუალებას აძლევს წინ აღუდგეს მმართველობის ბიუროკრატიულ აპარატს, იბრძოდოს თავისი უფლებებისათვის, ხელი შეუწყოს რეფორმას. მაგრამ აქ საღი აზრის საზღვრებს არ უნდა გადავბიჯოთ. შესაძლებელია კი მთლიანად სამეურნეო მექანიზმის დონეზე არსებულ ძირეულ ნაკლოვანებათა კომპენსაცია „ზედემოკრატიზაციით“ საწარმოს დონეზე? რა თქმა უნდა, არა. ეს მხოლოდ მოჩვენებითია, რაც ზოგიერთებს კიდევ იზიდავს. საგარეო თვითმმართველობის გარეშე საშინაო თვითმმართველობა თავის ძირითად აზრს კარგავს, უსაგნო ხდება.

მთლიანდ ეკონომიკური რეფორმა, განსაკუთრებით კი საწარმოო თვითმმართველობის დანერგვა დამკვიდრების სტადიაშია. ბევრად მეტი საკითხია დაყენებული, ვიდრე გადაწყვეტილი, ხოლო ამ უკანასკნელთა შორის ბევრი როდია რეალური. ერთი სიტყვით, რეფორმა უფრო მომავლის საკუთრებაა (მონაპროვარია) ვიდრე თანამედროვეობის, თუმცა ყველაფრის მიუხედავად, გვჯერა რომ იგი განხორციელდება.

ნარკომანია და პრესა

საკავშირო თათბირ-სემინარი

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს, სსრ კავშირის უურნალისტთა კავშირის, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და საქართველოს უურნალისტთა კავშირის ინიციატივით თბილისში გაიმართა იმ უურნალისტთა თათბირ-სემინარი, რომლებიც ზნეობრივ-სამართლებრივ საკითხებზე წერენ.

სემინარი თემაზე „ნარკომანიასთან ბრძოლის სამართლებრივი ასპექტების გაშუქება პრესაში“, გახსნა საქართველოს უურნალისტთა გამგეობის თავმჯდომარემ, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ნ. ჩერქეზიშვილმა. იგი მიესალმა სემინარის მონაწილეებს და აღნიშნა, რომ ნარკომანიის პრობლემების გაშუქებას მრავალი

წლის მანძილზე შკაცრი ყადაღა ედო, თვალს ვუხუჟავდით ამ მეტად მწვავე სოციალურ სატკივარს. ამჟამად, როგორც იქნა, ნარკომანიასთან დაკავშირებული საკითხები ფართო მსჯელობის საგნად იქცა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა აქტიურად აღიმაღლეს ხმა ამ ბოროტების წინააღმდეგ. თანდათან გამოჩნდნენ და დაიხვეწნენ ამ თემაზე მომუშავე უურნალისტები. ისინი სულ უფრო კმედიტად იყენებენ პრესის მახვილს ნარკომანიის წინააღმდეგ. მაგრამ გამოუცდელიობაც იშვიათად როდი იჩენს ხოლმე თავს. და აი, დღევანდელი ჩვენი შეხვედრის მიზანიც სწორედ ის არის, რომ ერთმანეთს გავუზიაროთ გამოცდილება. დავსახოთ ახალი



თათბირ-სემინარი გახსნა საქართველოს უურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ. გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორმა ნ. ჩერქეზიშვილმა.

გზები, რათა მიინიშნა მდებარე შევამციროთ ამ ხე-
ნით შეპყრობილთა რიცხვი.

თათბირ-სემინარს მუშაობას პირველ დღეს
უძღვევოდა სსრკ კავშირის უფროსებისათვის კავ-
შირის გამაგებების წევრი, პარტიული და იდეო-
ლოგიური პრობლემების შემოქმედებითი საბ-
ჭოს თავმჯდომარე, სკკ ცენტრალური კომიტე-
ტთან არსებული საზოგადოებრივი მეცნიერება-
თა აკადემიის უფროსებისტიკის კათედრის ხელ-
მძღვანელი პ. გ. მინდელიძე. მან აღნიშნა,
რომ საკავშირო თათბირ-სემინარის საქართველოს
დელეგატობა თბილისში ჩატარება შემთხვევითი
არღვია. ცნობილი ფაქტია, რომ აქაურმა პრე-
სამ და საერთოდ, მასობრივი ინფორმაციის სა-
შუალებებმა ჯერ კიდევ სამოცდაათიანი წლები-
დან დაიწყეს ნარკომანიის წინააღმდეგ საჯარო
ბრძოლა. თუ გავიხსენებთ, რომ ეს ის წლები
იყო, როცა იკრძალებოდა ბევრი მტკიცებულები
სოციალური პრობლემის გამომწვეურება, ცხე-
ლი გახდებოდა იმ შემართების მნიშვნელობა,
რომელიც ქართველმა უფროსობებმა და მეც-
ნიერებმა გამოიჩინეს. ამჟამად, განაგრძო პ. გ.
მინდელიძე, ნარკომანიის პრობლემებისადმი
ახეთი ნეგატიური შიდაგომა ისტორიას ჩაბარდა,
მაღე დაიწყება სოციალური სტატისტიკის გა-
მოქვეყნება. მათ შორის ნარკომანიის საკი-
თებზეც. ამიტომ გახდა ესოდენ აუცილებელი,
რომ უოველივე ეს მთელი სიღრმით ვაინაროვნ,
განაზოგადონ და ვააშუქონ ჩვენმა უფროსობის-
ტებმა. გვერმა, რომ ამ კეთილშობილური მიზ-
ნის განხორციელების საქმეში ბევრად შეგვი-
წყობს ხელს ახეთი შეხვედრები.

სსრკ კავშირის წინაგან საქმეთა სამინისტროს
ნარკომანიის განყოფილების უფროსმა პ. ნ.
სერგეიშვილმა ისაუბრა, ნარკომანიისთან ბრძოლის
ისტორიაზე, იმ მდიდარ გამოცდილებაზე, რაც
ბილიციის ორგანოებს დაუგროვდათ ამ ბორო-
ტების წინააღმდეგ წარმართულ მუშაობაში.
ბზირად, აღნიშნა მან, სტატისტიკა ნარკომანიის
შესახებ როდი ახახავს რეალურ სინამდვილეს,
მაგალითად, ამ ცოტა ხნის წინათ, მხოლოდ კა-
ლინინგრადის ოლქში ვაცილებით მეტი ნარკომა-
ნი იყო გამოვლენილი, ვიდრე ზალტიისპირეთის
სამივე რესპუბლიკაში. ხოლო მას შემდეგ, რაც
აღნიშნულ რესპუბლიკებში ამ მიმართულებით
მკვეთრად გააქტიურდა მუშაობა, მხოლოდ ლა-
ტვიაში მეტი ნარკომანი გამოვლინდა, ვიდრე
კალინინგრადის ოლქში.

შემდეგ პ. ნ. სერგეიშვილმა ილაპარაკა იმის თა-
მაზე—ნარკომანი ავადმყოფია თუ დამნაშავე?
პირველ რიგში, აღნიშნა მან, ცხადია, ნარკომა-
ნი ავადმყოფია, შემდეგ კი — დამნაშავე. მაგრამ
არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ პირველად
სრულიად ჯანმრთელი პიროვნება სჩადის დანა-
შაულს... ამდენად, პრობლემა მრავალწახანაგო-


ვანია და მის გადაწყვეტას ფრთხილად, მოფიქ-
რებულად უნდა მივუდგეთ.

გამომსვლელი შეგხო ნარკომანთა ანონიმური
მკურნალობის დღევანდელ ვითარებასა და სა-
მომავლო პერსპექტივებს, ამ საქმეში წარმორე-
ნილ პრობლემებს. ვრცლად ილაპარაკა მასობ-
რივი ინფორმაციის საშუალებებთან დიდმნიშვნე-
ლოვან როლზე ნარკომანიის წინააღმდეგ კომ-
ლექსურ ბრძოლაში. მაგრამ, აღნიშნა მან, პრო-
ბლემა ზოგჯერ უკუშედეგს იძლევა, მაგალითად,
არის რეგიონები, სადაც ნარკომანიის არსებო-
ბა პირველად პრესიდან შეიტყვეს. ამდენად,
ახეთი პრობლემა მასობრივი ინფორმაციის
უფრო ადვილებს ნარკომანიისადმი.

საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის
სამინისტროს ნარკოლოგიისა და ფსიქიატრიის
განყოფილების უფროსმა მ. თ. მბორიშვილმა
აღნიშნა, რომ განყოფილება საქმიანობს აღმი-
ნებული ორგანოებთან მჭიდრო ურთიერთ
თანამშრომლობის ვითარებაში. ბზირად მოგვ-
მართავენ, თქვა მან, უოვლის შემდეგ წამლისა-
თვის. უნდა მოგახსენოთ, რომ სრული გარან-
ტიის მქონე სამკურნალო საშუალებები ჯერჯე-
რობით თერაპიულადაც კი არ არის გადაწყვე-
ტილი. მაგრამ, ცხადია, არ უნდა ვწეროთ, რომ
ამ საქმეში თითქმის მედიცინა უძღური იყო.
შემდეგ მან უსაყვედურა იმ პუბლიკაციათა ავ-
ტორებს, სადაც ნარკომანთა მსუყე და მომბო-
ლავ ფერებშია ასახული. პრაქტიკა მოწმობს
თქვა მან, რომ ახეთი პუბლიკაციების შემდეგ
ნარკომანთა შატულობს. უფრო მეტიც, საკავ-
შირო გაწეობა ისიც კი გამოაქვეყნა, რომ სკან-
დინავიის ერთ-ერთ ქვეყანაში თესვენ კანაფის
ახალ, უნივაგამდე ჯიზო. აქ, როგორც იტყვი-
ან, კომენტარი ზედმეტია.

საქართველოს სსრკ ჯანმრთელობის დაცვის
მინისტრმა ი. მინდელიძემ თათბირ-სემი-
ნარის მონაწილეებს დაწვრილებით გააცნო რე-
სპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამსახურ-
ების საქმიანობა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრ-
ძოლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ილაპ-
არაკა ნარკომანების განკურნების საქმეში მიღ-
წეულ წარმატებებზე. ექსპერიმენტებზე, სიახ-
ლეთა დროულად დანერგვაზე, არსებულ პრობ-
ლემებზე, მასობრივი ინფორმაციის საშუალებ-
ებთან აქტიურ თანადგომაზე.

საბჭოთა კავშირის პროკურატურის საკავში-
რო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეც-
ნიერ- თანამშრომელმა პ. ა. კოლგანინმა აღ-
ნიშნა, რომ ნარკომანიის, როგორც სოციალუ-
რი მოვლენის, შესწავლა პროფესორ ა. ვახაი-
ნის ხელმძღვანელობით ჩვენს ქვეყანაში პირვე-
ლად საქართველოში დაიწყო. ამდენად სრული-
ად ბუნებრივი და კანონზომიერია, რომ ახეთი
წარმომადგენლობითი შეხვედრა აქ, თბილისში



თათბირ-სემინარის მუშაობას უძღვებოდნენ სსრ კავშირის უფროსი კავშირის გამგეობის წევრი, პარტიული და იდეოლოგიური პრობლემების შემოქმედებითი საბჭოს თავმჯდომარე, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის უფროსისტიკის კათედრის ხელმძღვანელი ა. ბ. მინდელეივი (მარცხნივ) და სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივი პროპაგანდის განყოფილების უფროსის მოადგილე ა. ს. ტაბივიძე.

გამართა. ჩვენი ინსტიტუტის მიერ განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებულია საინტერესო მონაცემები, კერძოდ, გამოკითხულთა დიდ უმრავლესობას ნარკომანია დანაშაულად არ მიაჩნია, ესე იგი, ცუდად ერკვევიან მოქმედ კანონმდებლობაში. ეს კი უტყუარი ორიენტირია მოსახლეობის იურიდიული საყოველთაო სწავლების შემდგომი გაუმჯობესებისათვის მუშაობის დაგეგმვის საქმეში. კარგი იქნება თუ ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდება ნოლზე კანონები შესაბამისი კომენტარებითურთ, აგრეთვე ფართოდ უნდა ვაცნობოთ მოსახლეობას კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების თაობაზე. ერთი სიტყვით, მოქალაქეებმა ზუსტად უნდა იცოდნენ თავიანთი უფლება-მოვალეობანი. წინააღმდეგ შემთხვევაში სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნა და საერთოდ, სამართლებრივი რეფორმა ვერ განხორციელდება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

აკადემიკოსმა ფსიქიატრიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ, უფროსი „საბჭოთა მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრმა ნ. ნანეიშვილმა აღნიშნა, რომ აღრე ნარკომანია იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა და ამდენად ნარკომანი მხოლოდ ავადმყოფი იყო. მათ სპეციალურად გახსნილ პუნქტებში ნარკოტიკებს ჩვენ თვითონ ვუქვეთბდით, ამასთანავე ღოჯების თანდათან კლებით მკურნალობის ექსპერტურ შედეგებსაც ვაღწევდით. ახლა კი, როცა ნარკომანია სოციალურ პრობლემად იქცა, ცხადია, ნარკომანი დაშნაშვედ იქცა. საკითხსაც ამ კუთხით უნდა მივუდგეთ დაბეჭითებით შემოიძლია განვაცხადო, თქვა მან, რომ ნებისმიერი ნარკომანის განკურნება შეიძლება თუ ერსობლივად, კომპლექსურად ვიმოქმედებთ. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში ზოგიერთი პუბლიკაცია აშკარად გვიწლის ხელს. აბა, რა შეიძლება ითქვას იმა-



ზე, როცა ზოგჯერ პროპაგანდა რეკლამის ხასი-
ათს იძენს, მაგალითად, როცა გაზეთებში
წეროთ, რომ ესა თუ ის ნივთიერება ნარკოტი-
კის ნაცვლად იხმარებაო. სხვა რა არის ეს,
თუ არა რეკლამა?! ამიტომ, ამ საკითხებზე, მო-
მუშავე უურნალისტებს მეტი კომპეტენტურობა
და სიფრთხილე მართებთ.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს
უფროსმა კონსულტანტმა დ. დ. პაპარსკიმ
ილპარაკა სასამართლო ორგანოების როლზე
ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.
აღნიშნა, რომ მართლმსაჯულება ამ მახინჯ მოვ-
ლენას აძლევს საზოგადოებრივ და პოლიტიკურ
შეფასებას. ზოგიერთს მცდარი წარმოდგენა
აქვს ამ პრობლემაზე და მიიჩნია, რომ ნარკომა-
ნია მოდაა და მეტი არაფერი, მაშინ როცა ეჭვ-
გარეშეა, რომ იგი ხოციალური მოვლენაა, და
თანაც მეტად საშიში. ავიღოთ თუნდაც ასეთი
ფაქტი: გარდა იმისა, რომ ნარკომანია თავად
წარმოადგენს დანაშაულს, ხშირად იგი საფუძ-
ველია სხვა ხახის დანაშაულებისა, რადგან თი-
თოეულ ნარკომანს თავისი მახინჯი მოთხოვნი-
ლებების დასაკმაყოფილებლად დღეში დაახლო-
ებით 170-200 მანეთი მაინც სჭირდება. სად
იზოვოს ამდენი თანხა? ცხადია, უმეტესად და-
ნაშაულებრივი გზით. მიუხედავად იმისა, თქვა
მან, რომ კანონით აკრძალულია, ხშირად ნება-
ზეა მიშვებულნი ნარკოტიკულ ნივთიერებათა
თევზა-მოყვანის საქმით. ხანტერესოა, სად
არიან ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლების
ორგანოები. დასასრულს, დ. დ. კაჟარკიმ აღ-

ნიშნა, რომ ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის
საშუალებები ამჟამად მეტად დაქსაქსულია და
საჭიროა ერთიანი ცენტრის შექმნა.

თათბირ-სემინარის მეორე სამუშაო დღის
წამყვანმა, სსრ კავშირის იუსტიციის საინინს-
ტროს სამართლებრივი პროპაგანდის განყოფი-
ლების უფროსის მოადგილემ პ. ს. ტაბიძემ
აღნიშნა, რომ საქართველოში ნარკომანიასთან
ბრძოლის დიდი გამოცდილება დაგროვდა. ამ
თვალსაზრისით მისაბამია რესპუბლიკის იუსტი-
ციის საინინსტროს შესაბამისი სამმართველოს
აქტიური საქმიანობა, მიზანმიმართული მოქმე-
დება. სასინაარულოა, რომ საჯაროობისა და დე-
მოკრატიის კეთილნაყოფიერი გავლენა ამ საქ-
მეშიც ცხადად იგრძნობა. ახა, ამ ცოტა ხნის
წინ ვის შეეძლო ეოცნება ასეთ შეხვედრაზე.
ახლა კი ეს ფაქტია. უფრო მეტიც, უკვე თავის-
უფლად ვაცხადებთ ცალკეულ ციფრებს, ერთი-
ან სტატისტიკას. შემდეგ პ. ს. ტაბიძემა ილპა-
რაკა ცალკეულ პუბლიკაციებში არაკომპეტენ-
ტურობის, ლაფხუხების, კუროსების კონკრე-
ტულ ფაქტებზე. იმის გამო, რომ ზოგჯერ არ
გვყოფნის სათანადო პროფესიონალიზმი, ზოგი-
ერთი ავტორი სამყაროში მხოლოდ თეთრ და
შავ ფერებს ამჩნევს, მაშინ, როცა იგი მეტად
მრავალფეროვანია. ამიტომ კარგი იქნება თუ
შევექმნით მუშა ჩგუფს, რომელიც შეიმუშავებს
სპეციალურ რეკომენდაციებს ნარკომანიის თე-
მაზე უურნალისტებისათვის. ამასთან, აქვე მინ-
და ვთქვა, რომ ამ უადრესად საშიში სოციალუ-
რი მოვლენის საკითხებზე წერისას სრულიად



უურნალისტთა შეკითხვებს უმასუხებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის საინინსტროს
ნარკოლოგიისა და ფსიქიატრიის განყოფილების უფროსი ვ. თ. ეგოროვი (ცენტრში).



უნდა გამოირიცხოს ნუმრობის ტონი და ფართო გზა მივცეთ, ეგრეთ წოდებულ, „მაშოკობებელ პროპაგანდას“.

სსრ კავშირის გენერალური პროკურორის თანაშემწე მ. ბ. წანიპინცავემა თათბირ-სემინარის მონაწილეებს გააცნო ვრცელი ინფორმაცია, რომელშიც ასახული იყო ნარკომანიის წინააღმდეგ პროკურატურის ორგანოების ბრძოლის შედეგები, ღონისძიებები და მათი განხორციელების მეთოდები, სამომავლო პროგრამა. საქართველოს პროკურატურის მდიდარი გამოცდილება ამ საქმეში, თქვა მან, გულდასმით შევისწავლეთ, განვაზოგადეთ და სახელმძღვანელოდ ვაქციეთ სხვა რესპუბლიკებისათვის. ნარკომანიის პრობლემის გადაწყვეტა რომელიმე ერთი უწყების საქმე როდია, საჭიროა ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციის, მთელი მოსახლეობის აქტიური ურთიერთ თანამშრომლობა, საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა. ამ საქმეში დიდი როლი ეკისრებათ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს. ფაქტების გამოვლინება, მათზე წერა, ცხადია, საჭიროა, მაგრამ მთავარი მიმართულება პროფილაქტიკა უნდა გახდეს.

ყველა დონე უნდა ვინმაროთ, რომ ნარკოტიკებისადმი მოთხოვნილება მინიმუმამდე შემცირდეს.

დასასრულს, აღმინისტრაციული და კანონთმდებლობის დაცვის ორგანოების წარმომადგენლებმა უბანუხეს საკავშირო და რესპუბლიკური პრესის მუშაკების მრავალ შეკითხვას.

საკავშირო თათბირ-სემინარის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ავტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგის მოადგილე მ. ა. გუშლინიძე, აღმინისტრაციული ორგანოების განყოფილების ინსტრუქტორი ი. ბაჩინაშვილი, საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრი მ. შარაშენიძე, მისი პირველი მოადგილე ზ. რაბინაძე, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე თ. ეპიტაშვილი, უფროსი „საბჭოთა სამართლის“ მთავარი რედაქტორი ლ. თაბატაძე.

გელა გურული.

დავით იბრაჰიმოვილის ფოტო.

სასამართლო ექსპერტიზა: სიანჯენი და პრაქტიკა

ტრასნოლოგიური კვლევის ახალი მეთოდი

დამიხრე ალექსიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი

მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის ერთ-ერთი ფორმა სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში ესაა კრიმინალისტიკა და სასამართლო ექსპერტიზა. ცნობილია, რომ საბჭოთა კრიმინალისტიკა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობისათვის ამუშავებს და ნერგავს პრაქტიკაში ნივთმტკიცებათა აღმოჩენის, ფიქსაციის, კვლევის და შეფასების ახალ მეთოდებს, ტექნიკურ საშუალებებს და ა. შ. სასამართლო ექსპერტიზაში განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, რაც ხელს უწყობს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეში ჭეშმარიტების დადგენისათვის მამტკიცებელი ინფორმაციის მოცულობის ზრდას.

სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროში საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია დაასახელეს, როგორც ერთ-ერთი მოწინავე, კვლევის ახალი და პროგრესული მეთოდების შემმუშავებელი და დამ-

ნერგავი. ლაბორატორიაში ინტენსიურად მიმდინარეობს შემოქმედებითი მეცნიერული ძიება, რასაც ცხადად ადასტურებს აქ შექმნილი და დანერგული ტრასოლოგიური ექსპერტიზების ჩატარების ხუთი ახალი მეთოდიკა. გამოკვლევები გამოქვეყნდა საკავშირო სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებში და ისინი მეთოდური საბჭოს მიერ დასაწერგადაა რეკომენდირებული.

ამ მეთოდიკათა შექმნა-დანერგვაში გამოყენებული იყო მოდელირება, შემეცნების ის სპეციფიკური მეთოდი, რომელიც სამყაროს ერთიანობის პრინციპს, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაში საერთო დიალექტიკური კანონების არსებობას და განვითარებას, საყოველთაო კავშირის აღიარებას და მოვლენათა ურთიერთგანპირობებას ემყარება.

უკანასკნელ წლებში საბჭოთა იურიდიული მეცნიერება ხშირად მიმართავს მოდელირების მეთოდს სხვადასხვა სოციალურ-სამართლებრივი მოვლენების ანალიზისათვის. მათემატიკური მოდელირების მეთოდების და ელექტრონულ-გამოთვლითი მანქანების გამოყენებით საინტერესო კვლევებია შესრულებული კომპლექსური სამეცნიერო მიმართულების „სამართლებრივი კიბერნეტიკის“ ჩარჩოებში. მოდელირების მეთოდი წარმოადგენს იურიდიული საქმიანობის სფეროში ავტომატიზირებული მართვის სისტემების შექმნის, სამართლებრივი საინფორმაციო საძიებო სისტემების კომპლექსირების, კანონმდებლობის სისტემატიზაციის და სამართალშემოქმედებაში კიბერნეტიკის გამოყენების ბაზას.

გ. ლ. გრანოვსკიმ ასე ჩამოაყალიბა კრიმინალისტიკური მოდელის ცნება: კრიმინალისტიკური მოდელი შეიძლება განსაზღვრული იქნას, როგორც მატერიალური ანალოგი, გამოსახულება ან კვალში ასახული ნიშნების შესწავლილი ობიექტის ნიშნობრივი და მათემატიკური აღწერა, კვალის წარმოშობის მექანიზმი ან კრიმინალისტიკური გამოკვლევის სხვა ობიექტი, რომელიც მათი ფიქსაციის საშუალებაა, მათ შეუძლიათ კვლევის პროცესში შეცვალონ ობიექტი და გზა გაუხსნან ფართო შესაძლებლობებს ახალი მამტიციებელი ინფორმაციის მისაღებად“...

ამ განმარტების მიხედვით მიიღება კვლევის ისეთი ახალი ობიექტი — მოდელი, რომელიც იმით განსხვავდება პირვანდელი ნივთმტკიცებიდან და მისი ასლიდან, რომ აქ დაფიქსირებულია უმეტესად ის ნიშნები, რომლებიც ძიებას ჰირდება, მაგრამ რომელთა გამოკვლევა და გადაწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების გზით.

მაგალითად, ავტომობილების მასშტაბური მოდელების გამოყენება იძლევა საშუალებას აღიწეროს ავტოსაგზაო შემთხვევის მექანიზმი.

კრიმინალისტიკური მოდელების გამოყენება საშუალებას აძლევს მოსამართლეს, გამომძიებელს, მომკვლევ პირს, აკონტროლოს მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიღების პროცესი, მისი სიზუსტე გამოსაკვლევ ობიექტებზე, მოვლენებზე და სუბიექტებზე, დროის ნებისმიერ მომენტში განსაზღვროს ინფორმაციის ხარისხი, მონახოს მათში უზუსტობა და შეავსოს ისინი. და ბოლოს, მოდელირების საშუალებით ხდება ნივთმტკიცებაში და შემთხვევის ადგილას კვალებში ასახული ნიშნების ფიქსაცია, რაც განმეორებითი ღრმა კვლევების ჩატარების ძვირფას საშუალებას იძლევა.

მოდელირება, როგორც ობიექტური ჭეშმარიტების შემეცნების მეთოდი,

მოქმედებს სხვა მეთოდებთან ურთიერთკავშირში. თუ გავანალიზებთ მოდელირების მეთოდის შემადგენლობას, დავინახავთ, რომ მისი ჩატარება შეუძლებელია დაკვირვების, შედარების და გაზომვების გარეშე. ამგვარად, მოდელირების მეთოდი უნდა განვიხილოთ სხვა მეთოდებთან ურთიერთკავშირში, რომლებთან ერთადაც ის გვაძლევს საშუალებას უფრო სრულად შევისწავლოთ გამოსაკვლევი ობიექტი.

მოდელირების გამოყენებით საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის სამეცნიერო-კვლევით ლაბორატორიაში შესაძლებელი გახდა გადაწყვეტილიყო ბევრი ისეთი საკითხი, რომლებიც ადრე ვერ წყდებოდა. ასეთი კვლევების დროს შემუშავებული მეთოდები მეცნიერულად ასახულებენ ექსპერტ-ტრასოლოგების მიერ მიკვლეულ ახალ მამტიციებელ ფაქტებს.

მოდელირება უდევს საფუძვლად აგრეთვე სიტუაციურ ანალიზს, რომლის საშუალებითაც ექსპერტები, იკვლევენ რა შემთხვევის ადგილზე არსებულ კვალს, მისი წარმოშობის მექანიზმის ანალიზით აღადგენენ დანაშაულის ჩადენის დროს არსებულ სავარაუდო სიტუაციას.

ასე მაგალითად, დმანისის რაიონში მომხდარი დანაშაულის ფაქტზე აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე დანიშნული კომპლექსური, ტრასოლოგიური, სასამართლო-სამედიცინო და კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარების დროს, ექსპერტები იკვლევდნენ დაზარალებულის ტანსაცმელს, რომელზედაც აღინიშნებოდა თერმული დაზიანების კვალი. ექსპერტების ყურადღება მიიპყრო ხალათის სახელოებზე, გარედან არსებულმა თერმულმა დაზიანებებმა, რომელთა წარმოშობის მექანიზმის დასადგენად მოხდა საგნობრივი და გონებრივი მოდელირება. სამისოდ დამზადდა სპეციალური მანეკენი, რომელსაც ჩააცვეს გამოსაკვლევის მსგავსი ხალათი, მოდელზე ჩატარდა ექსპერიმენტები, რომლის დროსაც დადგინდა, რომ არსებული დაზიანებები მხოლოდ მაშინ მიიღებოდა, თუ დაზარალებული დაჩოქილი იქნებოდა და მას ორი-სამი მეტრის მანძილიდან მიესხმებოდა ბენზინი. ბენზინის თვითგადასხმა ექსპერტებმა კატეგორიულად გამორიცხეს. კვლევა ისე კარგად იყო დასაბუთებული, თვალსაჩინო და შეფასებისათვის იოლ ფორმებში გადმოცემული, რომ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელმა სხდომამ არ გაიზიარა დაზარალებულის ქმრის, ადრე მრავალცილიანობისათვის გასამართლებულის, ჩვენებები და გამოუტანა განაჩენი განზრახ მკვლელობისათვის. განაჩენი სხვა მტიციებებთან ერთად ექსპერტების დასკვნასაც უყოყმანოდ დაეყრდნო.

საგამოძიებო და საექსპერტო პრაქტიკაში ხშირად ვხვდებით, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევაში ეჭვმიტანილი ან დაინტერესებული პირები, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით აზიანებენ ან ცვლიან ავტომობილის სხვადასხვა დეტალებს. ჩვენ დავამუშავეთ მეთოდიკები, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მოდელირების გამოყენებით დავადგინოთ ეკუთვნის თუ არა შემთხვევის ადგილზე აღმოჩენილი დეტალები ეჭვმიტანილის ავტომობილს, რა დროს და როგორ დაზიანდა ავტომობილის ნაწილები, ავტოავარიამდე თუ ავარიის შემდეგ, ხომ არ არის დეტალები შეცვლილი ავტოსაგზაო შემთხვევის შემდეგ და ა. შ.

ჩვენს ლაბორატორიაშივე დამუშავდა მეთოდიკა და შეიქმნა დანადგარი,

რომელიც იძლევა საშუალებას მოდელირების მეთოდების გამოყენებით ექსპერტმა დაადგინოს საბურავისა და კამერის ერთად ექსპლოატაციის ფაქტი. ამავე მეთოდიკით შესაძლებელია დადგინდეს გამოსაკვლევ საბურავში სხვაგან დაზიანებული კამერით შეცვლის ფაქტიც.

სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევათა 16 პროცენტი გამოწვეულია ავტომობილის საჭის მექანიზმის მოუწესრიგებლობით. როგორც საექსპერტო პრაქტიკა გვიჩვენებს, ავტომობილის მართვის დაკარგვის მიზეზი შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც საჭის მექანიზმის დეტალების მწყობრიდან გამოსვლით, ასევე მათი არასწორი რეგულირებით, ურთიერთკავშირის დროებითი ან მთლიანი დარღვევით, გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობის და საკისრების დაზიანებით, ხუნდების გაჭედვით და სხვა.

ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაზიანებული ავტომობილების შესწავლა მოითხოვს მალახარისხოვან კვლევას.

დღემდე არსებული მეთოდიკა არ ითვალისწინებდა ავტომობილის მართვის დაკარგვის გამომწვევი ყველა მიზეზის შესწავლას. იყო შემთხვევები, როცა არაკომპეტენტური პირები ხსნიდნენ ავტომობილიდან საჭის მექანიზმს, დატვირთვის გარეშე ცდიდნენ მათ, შესწავლის მიზნითვე შლიდნენ მექანიზმის დეტალებს და ამის შედეგად გამოძიებას აღარ ჰქონდა განმეორებითი კვლევის ჩატარების საშუალება ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად.

ჩვენს მიერ დამუშავებული მეთოდიკა კი უფრო სრულყოფილია. მისი თანმიმდევრობა, გამოკვლევის სიღრმე და დასაბუთებულობა უზრუნველყოფს ავტომობილის და ნივთმტკიცებების ყოველმხრივ შესწავლას, რაც იმის საშუალებასაც იძლევა, რომ საჭიროების შემთხვევაში კვლავ ჩატარდეს განმეორებითი ან დამატებითი გამოკვლევა. ეს მეთოდიკა დამყარებულია ავტომობილის და საჭის მექანიზმის მრავალმხრივ შესწავლასთან. იგი ითვალისწინებს საჭის მექანიზმის დეტალების ურთიერთკავშირს, გამოცდას დატვირთვის ქვეშ, გატაცების საწინააღმდეგო მოწყობილობის და სხვა დეტალების ყოველმხრივ გამოკვლევას, რითაც მოდელირდება ავტომობილის ექსპლოატაციის პირობები. ყველაფერი ეს საშუალებას აძლევს ექსპერტებს, რომ ყოველმხრივ დასაბუთებული და ობიექტური დასკვნა ჩამოაყალიბონ.

ამ მეთოდიკის გამოყენების აუცილებლობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ დატვირთვის გარეშე საჭის მექანიზმის გამოცდის დროს მისი დეტალები ურთიერთქმედებენ ნორმალურად, ხოლო დატვირთვის დროს, რითაც ხდება საგზაო ვითარების და მოძრაობის მოდელირება, საჭის მექანიზმში ხდება გაჭედვა ან საჭის შტურვალის ფუჭი დატრიალება.

მოდელირების მეთოდების უნივერსალურობა საშუალებას იძლევა, რომ გამოძიების მიერ დასმულ იმ კითხვაზე, რომლებზედაც არ არსებობდა მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდიკები და ადრე ვერ ხდებოდა პასუხის გაცემა, შემუშავდეს ისეთი ახალი მეთოდიკები, რომლებიც ადვილად დაადგენენ ჭეშმარიტებას.

სახელმწიფო არხიტრაჟის ორგანოებისა და საარხიტრაჟო კანონმდებლობის წარმოქმნის ისტორიის, თავისი არსით, თანმიმდევრობითი ხასიათი აქვს, რადგან იგი ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პერიოდთანაა დაკავშირებული და ეს პროცესი, ცხადია თავისთავად იწვევდა კიდევ სამეურნეო დავების გადაწყვეტის მარეგულირებელი სამართლის ნორმების შესაბამის ტრანსფორმაციას.

დირიჟორი პიორბაძე,
საქართველოს სსრ სახელმწიფო არხიტრაჟის
მთავარი კონსულტანტი

სახელმწიფო არხიტრაჟის ორგანოებისა და საარხიტრაჟო კანონმდებლობის წარმოქმნის ისტორიის, თავისი არსით, თანმიმდევრობითი ხასიათი აქვს, რადგან იგი ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა პერიოდთანაა დაკავშირებული და ეს პროცესი, ცხადია თავისთავად იწვევდა კიდევ სამეურნეო დავების გადაწყვეტის მარეგულირებელი სამართლის ნორმების შესაბამის ტრანსფორმაციას.

ამიტომ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა წყობილების დამყარებიდან დღემდე არსებული არხიტრაჟის ორგანოები უნდა დავყოთ ოთხ ძირითად ეტაპად:

- 1) სახელმწიფო არხიტრაჟის ორგანოები დიდ სამამულო ომამდე (1922-1941 წლები);
- 2) სახელმწიფო არხიტრაჟის ორგანოები 1945-1977 წლებში;
- 3) სახელმწიფო არხიტრაჟი, როგორც კონსტიტუციური ორგანო და საარხიტრაჟო კანონმდებლობის არსებითი განვითარება, (1977-1987 წლები).
- 4) სახელმწიფო არხიტრაჟი, როგორც სახალხო მეურნეობაში საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინების, კანონიერების განმტკიცების ქმედითი საშუალება (1987 წლის შემდგომი პერიოდი).

განვიხილოთ თითოეული პერიოდი ცალ-ცალკე.

1922 წლის სექტემბრამდე სამეურნეო დავების გადაწყვეტის წესი დადგენილი იყო 1919 წლის 7 მარტის №2 დეკრეტით სასამართლოს შესახებ, და ითვალისწინებდა სახაზინო დაწესებულებათა შორის სამოქალაქო სარჩელთა აღძვრის დაუშვებლობას. ასეთი განკარგულება დაუფიქრებელი იყო იმ ვარემოებაზე, რომ სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში სახალხო მეურნეობის მმართველობითი ფუნქციები თავს იყრიდა სახალხო კომისარიატების მთავარ სამმართველოში, ნედლეული და შაჰ პროდუქცია ნაწილდებოდა გეგმიურად; არ იდებოდა ხელშეკრულებები, არ ხდებოდა ფულადი ანგარიშსწორებანი, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში არ არსებობდა სახელმწიფო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შორის დავების წარმოშობის საფუძველიც, ხოლო თუ მაინც წარმოიქმნებოდა რაიმე უთანხმოება, იგი ქვემდებარეობის წესით უნდა გადაწყვეტილიყო.

1921 წლიდან, ახალი ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებისთან დაკავშირებით, რაც ითვალისწინებდა ეკონომიკური პროცესების მართვას სამეურნეო ანგარიშის, თვითდაფინანსებისა და მატერიალური სტიმულირების მეთოდებით, სოციალისტურ საწარმოთა შორის წარმოიშვა დავები, რომლებიც გადაწყვეტას თხოულობდა. ამიტომ რუსეთის საბჭოთა სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ცაკ-მა და სახალხო კომისართა საბჭომ 1922 წლის 21 სექტემბერს დაამტკიცეს დებულება „სახელმწიფო დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის სამეურნეო დავების გადაწყვეტის წესის შესახებ“, რომლითაც სახელმწიფო დაწესებულებებს (საწარმოებს) შორის წარმოშობილი დავები უნდა გადაეწყვეტათ რსფსრ-ს შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან შექმნილ ორგანოში — უშიდალეს საარხიტრაჟო კომისიას, ხოლო ადგილებზე საოლქო, მოგვიანებით კი საგუბერნიო ეკონომიკურ სათათბიროებთან არსებულ საარხიტრაჟო კომისიებს.

1924 წლის 6 მაისს, საბჭოთა კავშირის შექმნასთან დაკავშირებით, ცენტრალურმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცეს „დებულება-საბჭოთა კავშირის შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებულ საარხიტრაჟო კომისიის შესახებ“, რომლითაც განისაზღვრა არხიტრაჟის უფლებამოსილება და ძირითადი პროცესუალური პრინციპები (ამავე კომისიების არსი გამოიხატა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სასამართლო წარმოების საფუძველზე).

საარხიტრაჟო კომისიები საქმეებს იხილავდნენ ხაში წევრის შემადგენლობით, იურისტთა

და სამეურნეო ხელმძღვანელის აუცილებელი მონაწილეობით. საქმეები იხილებოდა სამოქალაქო პროცესუალური კოდექსის შესაბამისად.

ქვეყნის ინდუსტრიული რევოლუციისა და კოლექტივიზაციის (1928-1941 წლები) ასევე, ახალი საკრედიტო სისტემის შემოღების პერიოდში (1930-1938 წლები), მოხდა საარბიტრაჟო კომისიების ლიკვიდაცია და სხვადასხვა სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილი დავების განხილვა დავგალათ სასამართლო ორგანოებს (სსრკ ცაკ-ის და სახკომსაბჭოს 1931 წ. 4 მარტის დადგენილება). თუმცა, სულ მალე ეს გადაწყვეტილება გადაიხინჯა და სკკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1931 წლის 12 აპრილის დირექტივებში აღინიშნა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მიერ სამეურნეო დავების გადაწყვეტის აუცილებლობის შესახებ. ამ მოთხოვნის შესაბამისად, 1931 წლის 8 მაისს დამტკიცდა პირველი „დებულება სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“. ამ დებულებამ განსაზღვრა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ორგანიზაციული წყობა და დაადგინა, რომ ისინი შედიან სსრკ და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობათა შემადგენლობაში, ასევე მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო აღმასკომების საბჭოებში. ამ დადგენილების ზოგიერთ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს და ისინი დღემდე უცვლელია, ასეთი საკითხებია: ა) იმ საწარმოებს შორის წარმოშობილი დავების ქვემდებარეობის გადაწყვეტა, რომლებიც სხვადასხვა უწყებების სისტემაში შედიან; ბ) სახელმწიფო არბიტრების მიერ დავების განხილვა მოღვაწე მხარეების მონაწილეობით, გ) რომ სამეურნეო დავების გადაწყვეტის დროს ხელმძღვანელობდნენ ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების კანონებითა და განკარგულებებით, ასევე სსრკ კავშირის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი დებულებებით, დ) მკაცრად დაიცვან საგაგჟო და სახელმეკრულებო დისციპლინა, ააშალონ სამეურნეო ორგანოების ეკონომიკური პასუხისმგებლობა და იმ სამეურნეო მუშაკთა პერსონალური მატერიალური პასუხისმგებლობა, რომლებმაც არ შეასრულეს (ან არაჭროვანად შეასრულეს) სახელმეკრულებო მოვალეობანი; ე) საწარმოს საქმიანობაში სერიოზული დარღვევების ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში შეტყუბინების გაგზავნა ზემდგომ უწყებებში ან მუშაღმინის ინსპექციებში (სახალხო კონტროლში) ხოლო აუცილებელ შემთხვევებში პროკურატურის ორგანოებში. ვ) სახელმწიფო არბიტრების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საბოლოობა და მათი დაუყოვნებლივ ძალაში შესვლა; ზ) მხარეთა უფლება, რომ გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის განმავლობაში შეიტანონ განცხადება მათი შედამხედველობის წესით გადასინჯვის შესახებ და სხვა.

სახალხო მეურნეობისა და საწარმოებს შორის სახელმეკრულებო ურთიერთობების განვითარებასთან დაკავშირებით სახელმწიფო ორგანოების კომპეტენცია გაფართოვდა. ეგრძოდ, სსრკ სახკომსაბჭოს 1938 წლის 19 დეკემბრის დადგენილებით მათ დაეკისრა ხელმეკრულების დადების სტადიაში წარმოშობილი დავების გადაწყვეტის ფუნქცია (ამჟამად, ასეთი სახეობის დავები წინასახელმეკრულებო დავებად იწოდება).

საქართველოში სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ჩამოყალიბებისა და განვითარების ომისწინა ეტაპმა გაიარა ცვლილებათა ყველა ის საფეხური, რომელიც განიცადა არბიტრაჟის ორგანოთა სისტემაში ჯერ რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირში.

1928 წლის 11 მარტს გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ გამოქვეყნდა „დებულება ამიერკავკასიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკების ფარგლებში განლაგებულ საწარმოებს შორის სამეურნეო დავების გადაწყვეტის წესების შესახებ“. რომელიც ითვალისწინებდა ამიერკავკასიაში ორი სახის საარბიტრაჟო კომისიის შექმნას: ა) ამიერკავკასიის რესპუბლიკის ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის რესპუბლიკური საარბიტრაჟო კომისიის და ბ) ამიერკავკასიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისიის შექმნას.

პირველი იხილავდა რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებსა და საწარმოებს შორის წარმოშობილ სამეურნეო დავებს. მეორე კომისიის კომპეტენცია გაცვლებით ფართო იყო. ეგრძოდ, ამიერკავკასიის უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია იხილავდა დავებს წარმოშობილს: ა) ამიერკავკასიის ტერიტორიაზე არსებულ სხვადასხვა რესპუბლიკების დაქვემდებარების მქონე საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის; ბ) ერთის მხრივ რესპუბლიკური, ხოლო მეორეს მხრივ ფედერაციული ან ცენტრალურ-საკავშირო დაქვემდებარების მქონე საწარმოებს შორის; გ) ფედერაციული დაქვემდებარების საწარმოებს შორის; დ) ცენტრალურ-საკავშირო და ფედერაციული დაქვემდებარების საწარმოებს შორის.

დაქვემდებარების პრინციპით განსაზღვრულ საწარმოებს შორის წარმოშობილი დავების



დელტალური დამუშავების გარდა, აღნიშნული დებულება შეიცავდა ასევე საარბიტრაჟო კომისიების საქმიანობის პროგრესულ პროცესუალურ ფორმებასაც. კერძოდ, დებულების მეორე პუნქტით განსაზღვრული იყო მხარეების გამოძახების გარეშე იმ ზოგიერთი სამეურნეო დავის განხილვის შესაძლებლობანი, რომლებზედაც წარმოდგენილი იყო მოპასუხის ბრალის დამამტკიცებელი ან უარყოფი ყველა აუცილებელი დოკუმენტაცია, მე-14 პუნქტში მითითებული იყო გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობაზე საქმის არსებითად განხილვის დროს, ამავე პუნქტში აღნიშნული იყო, საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებების დელტალურად მოტივირების აუცილებლობა, მე-15 პუნქტი ითვალისწინებდა გამოტანილი გადაწყვეტილებების გასაჩივრების შემდგომ წესს: რესპუბლიკური საარბიტრაჟო კომისიის გადაწყვეტილებანი საჩივრდებოდა ამიერკავკასიის ფსრ-ს უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში, ხოლო უმაღლესი კომისიის გადაწყვეტილებანი — ამიერკავკასიის უმაღლეს ეკონომიკურ საბჭოში. დებულების 21-ე პუნქტში აღნიშნული იყო, რომ ამიერკავკასიის ფსრ-ს უმაღლეს საარბიტრაჟო კომისიაში დავის განხილვისას ამიერკავკასიის რესპუბლიკების კანონმდებლობის შესაბამის ნორმის თანახმად, (დროებით, ფედერალური კანონმდებლობის გამოხვლამდე) ინტერესს არ აჩინებდა მოკლებული ხსენებული დებულების მე-12 პუნქტიც, რომელშიც აღნიშნულია, რომ საარბიტრაჟო კომისია დავის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობს რა მოქმედი კანონმდებლობით, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილია: ა) გადაიტანოს გადაწყვეტილების შესრულების ვადა; ბ) განსაკუთრებულ შემთხვევებში გადაწყვეტილებაში აღნიშნული შემოქმედება შეიცვალოს ფულადი ეკვივალენტით, გ) მთლიანად ან ნაწილობრივ გააათვისუფლოს მხარე ეკონომიკური პასუხისმგებლობისაგან და სხვ.

ამიერკავკასიის ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის გაუქმების შემდეგ უმაღლესი საარბიტრაჟო კომისია გარდაიქმნა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სოციალისტური რესპუბლიკების სახკომსაბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟებად.

1982 წლის 25 თებერვალს საქართველოს სახკომსაბჭომ მიიღო დადგენილება № 9 „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების ზომების შესახებ“, რომლითაც მოხდა საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის (თანხმად სსრკ სახკომსაბჭოს 1981 წ. 7 დეკემბრის დადგენილებისა), აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ასევე რესპუბლიკური საუწყებო არბიტრაჟების ინსტრუქტირება. გარდა ამისა, საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებულ სახარბიტრაჟო ევალეზოდა პერიოდულად, წელიწადში არა ნაკლებ ოთხჯერ, მოეწვია ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების, ასევე საუწყებო არბიტრაჟების თათბირი და განხორციელებინა მათი საქმიანობის შემოწმება.

შემოწმების შედეგები უნდა მოხსენებოდა საქართველოს სახკომსაბჭოს შემოწმების დღიდან ერთი თვის ვადაში.

საქართველოს სახკომსაბჭოს 1982 წლის 4 აპრილის № 118 დადგენილებით გაიზარდა სახელმწიფო არბიტრაჟის უფლებამოსილებანი: საქართველოს სახკომსაბჭოს შიგნით სახელმწიფო არბიტრის მიენიჭა სათათბირო ხმის უფლება სახკომსაბჭოს სხდომაზე, საქართველოს სსრ ეკონომიკურ თათბირზე და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს შემსრულებელ კომისიაში.

1983 წლის 8 ივლისს საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ მიიღო № 7 დადგენილება, „საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების გადასინჯვის წესების შესახებ“, რომლითაც დადგინდა, რომ „საქართველოს სსრ სახკომსაბჭო შედაშედეგლობის წესით გადასინჯავდა სახელმწიფო არბიტრაჟის იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოტანილი იყო სახალხო კომისარიატების, ცენტრალური დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და იმ პირთა მიერ, რომელთაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოში საკითხის უშუალოდ დაყენების უფლება გააჩნდათ“.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1984 წლის 14 იანვრის № 4 დადგენილებით დამტკიცდა პირველი დებულება საქართველოს სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ, რომელმაც გააერთიანა 1981 წლის 8 მაისს საკავშირო დადგენილებაში მოცემული სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის ყველა პრინციპი.

ამით დასრულდა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების და საარბიტრაჟო კანონმდებლობის ჩამოყალიბებისა და განვითარების ომისწინა ეტაპი.

ორმოცდაათიანი წლების დასაწყისიდანვე მიღებული იქნა შემდგომი ორგანოების ისეთი დადგენილებები, რომლებიც გულისხმობდა კიდევ უფრო გაფართოებულიყო სახელმწიფო



არბიტრაჟის ორგანოების უფლებამოსილება და ამალღებულები მათი ზემოქმედების ეფექტიანობა საწარმოებზე სახელშეკრულები დისციპლინის განმტკიცების საქმეში, მათ შორის უნდა აღინიშნოს, სსრკ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 ივლისის №224 დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობის განმტკიცების შესახებ“, რომლითაც სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს განსახილველად გადაეცათ სასამართლოების ქვემდებარე ყველა დავა წარმოშობილი სახელმწიფო თუ კოოპერაციულ (გარდა საკოლმეურნეო) საწარმოებს შორის.

საკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 28 დეკემბრის № 1025 დადგენილება „სახალხო მეურნეობაში სამართლებრივი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა საარბიტრაჟო ორგანოების მიერ პროფილაქტიკური საქმიანობის გაუმჯობესებას, ასევე სსრკ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 17 იანვრის № 86 დადგენილება „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობისა და ორგანიზაციის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომლითაც სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გარდაიქმნა საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ, ცენტრალიზებული იქნა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების გადაწყვეტილებებზე შედამხედველობის განხორციელება, ე. ი. შედამხედველობის განხორციელება დაეკისრა შემდგომ არბიტრაჟს. ამით მმართველობის ორგანოები განთავსიუფლდნენ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებებზე შედამხედველობის განხორციელების ფუნქციებიდან. გარდა ამისა, ამ დადგენილებით დამტკიცდა „დეტულება სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“.

ამ დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 14 მაისს მიიღო დადგენილება № 248 „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანიზაციისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფის შესახებ“, რომელმაც გაითვალისწინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოდ გარდაქმნა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1976 წლის 8 სექტემბრის № 707 დადგენილებით დამტკიცდა დადგენილება აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

ამით მთავრდება სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების განვითარების, მათი მუშაობის სტილისა და მეთოდების სრულყოფის მეორე ეტაპი.

1977 წელი, როდესაც სახელმწიფო არბიტრაჟები კონსტიტუციურ ორგანოებად გარდაიქმნა, გახდა საარბიტრაჟო ორგანოებისა და საარბიტრაჟო კანონმდებლობების ევოლუციის ახალი საფეხური. აქედან იწყება მათ საქმიანობაზე კონსტიტუციური ფუნქციების დაკისრება. სახელმწიფო არბიტრაჟის სსრკ კონსტიტუციაში შეყვანა და სსრკ უმაღლესი საბჭოს მიერ 1979 წლის 20 ნოემბერს მიღებული კანონი „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“, გახდა ჩვენი ქვეყნის მისწრაფება, გაემდიერებინა და აემალღებინა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოთა როლი და მნიშვნელობა.

კანონი „სსრ კავშირში სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ ადგენს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების ძირითადი ამოცანაა საწარმოების კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის უზრუნველყოფა სამეურნეო დავების გადაწყვეტისას (მუხლი 2); აქტიური ზემოქმედება საწარმოებზე მათ მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვისა და სახელშეკრულებით ვალდებულებათა შესრულების საქმეში, სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა მიმართ კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონებრივი პასუხისმგებლობის ზომების განუხრელი გამოყენება.

ამ კანონის შესაბამისად, სსრკ მინისტრთა საბჭომ 1980 წლის 5 ივნისის № 440 დადგენილებით დამტკიცდა „სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები“ და დეტულება „სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ“ (საქართველოში ანალოგიური დებულებანი დამტკიცდა 1980 წლის 8 სექტემბერს).

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგარი ამოცანებიდან გამომდინარე, სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს დავალოთ განეხილათ დავები ასევე სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებების მონაწილეობით. (სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წ. 10 ოქტომბრის № 207 ბრძანებულება).

ამგვარად, სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციის მიღებიდან შედარებით მოკლე პერიოდში, მთლიანად განახლდა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის მარეგულირებელი ღონისძიებანი, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიკაზე სამართლებრივი ზემოქმედების ეფექტურობის ამაღლებას.



ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარი გახდა ქვეყნის ეკონომიკაში რევოლუციური გარდაქმნის დასაწყისი, როდესაც სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინა, სახალხო მეურნეობაში კანონიერების განუხრელი დაცვა, გახდა აღნიშნულის განხორციელების ძირითადი ეტაპები, ამან კი გამოიწვია სამეურნეო პროცესების მართვის სადავეების ერთ, ძირითად ორგანოში თავმოყრის აუცილებლობა, სწორედ ასეთი ორგანო გახდა სახელმწიფო არბიტრაჟი.

სკკ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებების ფონზე, სკკ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის № 190 დადგენილებით „სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფისა და სახალხო მეურნეობაში კანონიერებისა და სახელშეკრულებო დისციპლინის განმტკიცებაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. საგრძნობლად გაიზარდა სახელმწიფო არბიტრაჟის როლი სოციალისტური მეურნეობის მართვის მექანიზმში. ამ დადგენილებამ გამოიწვია სსრკ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟების გარდაქმნა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო არბიტრაჟებად.

ამით არსებითად გაიზარდა სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების უფლებამოსილებაც, კერძოდ, მათ მიენიჭათ, საწარმოებში ხელშეკრულებების დადების შესრულების მდგომარეობის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობების შესრულების, ქონებრივი სანქციების გამოყენების, ხოლო სამინისტროებსა და უწყებებში ამ საშუალებების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის შემოწმების უფლება. მათვე მიეცათ უფლება აგრეთვე მოსთხოვონ სამინისტროებსა და უწყებებს ანგარიში ხელშეკრულებების დადებისა და შესრულების შესახებ, მოისმინონ თანამდებობის პირთა შეტყობინებანი კანონიერების დაცვის თავიდან აცილების ზომების შესახებ, მოსცენ ხელმძღვანელებს და სხვა თანამდებობის პირებს 10 დღის ვადაში სავალდებულო შესასრულებელი მიწერილობანი კანონიერების დარღვევის აღმოფხვრის მიზნით და განახორციელონ ავტონომიური ფორმირების სამინისტროებისა და უწყებების არბიტრაჟების საქმიანობის შემოწმება.

სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების საქმიანობაზე და მათი ფუნქციების განვითარებაზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე 1987 წლის 80 ივნისს დაშტკიცებულმა კანონმა სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ, რომელშიც ახლებურად აისახა სახელმწიფო არბიტრაჟის, როგორც სახალხო მეურნეობის ერთი მთლიანი ორგანიზმის განვითარების, მართვის ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების მოწესრიგების და სრული სამეურნეო ანგარიშის ფართო გამოყენების საკითხში ერთ-ერთი ძირეული რგოლის ორგანიზატორის როლი.

გათვალისწინა რა სახელმწიფო არბიტრაჟის როლის შემდგომი ამაღლება, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1988 წლის 16 აპრილის დადგენილებით დაამტკიცა დებულებები სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟისა და სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესების შესახებ. აქ ფართოდ აისახა ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ახალი სამეურნეო პოლიტიკის განხორციელებისა და განვითარების ამოცანების გზები და საშუალებები.

ამ დებულებების საფუძველზე ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების შესახებ კანონის მისაღებად.



მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურება

პრობლემათი, პერსპექტივები

ზურაბ წურჭუშია,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მოქალაქეთა და სოციალისტურ ორგანიზაციათა სამართლებრივი მომსახურების განყოფილების უფროსი

XIX საკავშირო პარტიული კონფერენციის რეზოლუცია „სამართლებრივი რეფორმის შესახებ“ ფართო პერსპექტივებს სახავს მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში. და მართლაც, ძნელია დავასახელოთ სამართლებრივი რეფორმის რომელიმე ღონისძიება, რომელიც

უშუალოდ არ უკავშირდებოდეს ადვოკატურის უფლებების და ავტორიტეტის ზრდას. უფლებების გაფართოება ცალმხრივი პროცესი როდია, მათი ზრდა იმავდროულად პასუხისმგებლობის ამაღლებასაც ნიშნავს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: — როგორ ხვდება სამართლებრივ რეფორმას საქართველოს ადვოკატურა, როგორია მისი პოტენციალი? ცხადია, ლაპარაკია ადვოკატთა კოლეგიებზე საერთოდ და არა მის ზოგიერთ, ისედაც ავტორიტეტულ წარმომადგენელზე. კოლეგიების სახეს, მათი საქმიანობის ეფექტიანობას, სხვა ფაქტორებთან ერთად, მისი წევრების პოლიტიკური და ზნეობრივი თვისებები, პროფესიული მომზადების დონე განსაზღვრავს.

მშრალი სტატისტიკური ანალიზიც მოწმობს, რომ კადრებთან მუშაობაში პრეზიდენტებს მეტი სიღრმე და პრინციპულობა მართებთ. მათთან ერთად ჩვენს მიმართაც არაერთხელ გამოთქმულა საყვედური იმის გამო, რომ კოლეგიის შემადგენლობის თითქმის ნახევარი საპენსიო ასაკისაა, ნაკლებად ვიზიდავთ უნივერსიტეტის ახალკურსდამთავრებულთ, კვლავ დიდია სხვა სამართალდამცველი ორგანოებიდან მოსული საპენსიო ასაკის მუშაკების ხვედრითი წილი.

წლების განმავლობაში დამკვიდრებულმა ნიპილისტურმა დამოკიდებულებამ ადვოკატურის ინსტიტუტის მიმართ, სასამართლო და საგამოძიებო პრაქტიკაში ფესვებგადგმულმა საბრალდებო გადახრამ უარყოფითი გავლენა მოახდინა საზოგადოდ მართლშეგნებაზე, კერძოდ კი, ახალგაზრდობის მართლშეგნებაზე. ამიტომაცაა, რომ კურსდამთავრებულთა საუკეთესო ნაწილის ადვოკატურის რიგებში მიზიდვა დიდ სიძნელებთან არის დაკავშირებული.

ადვოკატურის ავტორიტეტის ზრდა არსებითად არა აღმზრდელითი ხასიათის ღონისძიებებზე, არამედ კოლეგიის წევრთა სამართლებრივ და ზნეობრივ კულტურაზე, მაღალ პროფესიულ თვისებებზეა დამოკიდებული. თუ ეს თვისებები ადვოკატს არ გააჩნია, შეუძლებელია მოქალაქის უფლებების და ინტერესების საიმედო დამცველთან გვეპოვნეს საქმე, რაგინდ ფართოც არ უნდა იყოს მისი პროცესუალური სტატუსი.

ყველასათვის ცნობილია ის დიდი ინტერესი, რასაც თანამედროვე პუბლიცისტიკა იჩენს ადვოკატურის მონაწილეობის გაფართოების მიმართ სისხლის სამართლის პროცესის ადრეულ სტადიაზე. ამ მიმართულებით ადვოკატურის უფლებების გაფართოებამ უნდა განამტკიცოს შეჯიბრებითობის, — თუ სხვა ფუძემდებლური პრინციპების გარანტიები, მაგრამ ადვოკატის უფლებების გაფართოება, თავისთავად არაფრის მომტანია თუ პროცესში ჩაბმა ნაკარნახევი არ იქნება ჭეშმარიტების დადგენის, განსაცდელში ჩავარდნილი ადამიანისათვის კანონიერი დახმარების გაწევის ინტერესით.

ტრადიციულად, ადვოკატურა იურიდიულ პროფესიათა შორის ერთადერთია, ვისაც ყველაზე მეტად უნდა ენდობოდეს მოქალაქე, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში განსხვავებული ტენდენცია შეინიშნება. საქართველოს ადვოკატურაში არც თუ ისე ცოტაა ისეთი ადვოკატი, რომელიც ვერ ასრულებს შრომის სავალდებულო მინიმუმს, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტში კი ღრმად ვერ სწავლობენ ამის გამომწვევ მიზეზებს და არ სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს მათ დასახმარებლად. რეზერვი კი ბევრია — მცირეა სამოქალაქო საქმეებზე მონაწილეობა, თითქმის უმნიშვნელოა ადვოკატთა მონაწილეობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე; მოქალაქეთა ინ-

ტერესების წარმოდგენა საბინაო, ადმინისტრაციულ კომისიებში, სანოტარო მოქმედებათა გაფორმებისას და სხვ.

გარდაქმნის პროცესში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი დაიკავა მოქალაქეთა და სოციალისტურ ორგანიზაციათა უფლებების დაცვის, საზოგადოებრივ ურთიერთობებში სოციალური სამართლიანობის პრინციპების განუხრელად გატარების პრობლემებმა. ბოლო წლებში მიღებული პარტიული დოკუმენტები და ნორმატიული აქტები, ერთი მხრივ, აფართოებენ წარმოებითი და სხვა საზოგადოებრივი ურთიერთობების მონაწილეთა უფლებების სფეროს, მეორე მხრივ, იძლევიან აღნიშნული უფლებების დაცვის სათანადო იდეოლოგიურ და იურიდიულ გარანტიებს. ამ გარანტიების სახელმწიფოებრივი უზრუნველყოფა ერთნაირი პასუხისმგებლობით მოეთხოვება ყველა ორგანოს, რაოდენ მოკრძალებული ადგილიც უნდა ეჭიროს მას სამართალდამცავი ორგანოების სისტემაში.

„სოციალისტური კანონიერების და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებების და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ სხვა სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის მიმართულებათა განსაზღვრასთან ერთად, პარტიული მშენებლობის ისტორიაში, ალბათ პირველად, ჯეროვანი ადგილი დაუთმო სახელმწიფო ნოტარიატსაც. ნათლად გამოიკვეთა ნოტარიატის წინაშე მდგარი ორი მთავარი ამოცანა: პირველი, სამართლებრივი მომსახურება ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი გახადოს ყველასათვის; მეორე, განუხრელად დაიცვას მოქალაქეთა და სოციალისტურ ორგანიზაციათა უფლებები და კანონიერი ინტერესები ანუ უზრუნველყოს დამოწმებული დოკუმენტების მაღალი იურიდიული კულტურა. მართლაც, ნოტარიატის მუშაობის ფორმები და მეთოდები, წლების განმავლობაში იმდენად დაიხვეწა და განმტკიცდა, რომ ძნელია და, როგორც ჯერ კიდევ ნოტარიუსთა ნაწილი ფიქრობს, საჭიროა კი ვეძიოთ ახალი გზები, ახალი მიდგომები ჩვენთვის უქვეცნობილი ამოცანის — სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობების სანოტარო წესით გაფორმებისათვის? საკითხისადმი ასეთი მიდგომა ნიშნავს გუშინდელი დღით ცხოვრებას, დროის მოთხოვნებისადმი უიმედოდ ჩამორჩენას.

სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისა და მომსახურეობის სფეროს განვითარების კომპლექსურმა პროგრამამ ბევრად შეცვალა ნოტარიატის დამოკიდებულება მათ მიერ სამართლებრივი დანხარების აღმოჩენის, თვით ნოტარიალური საქმიანობის ორგანიზაციისადმი. მართლაცდა, როდის ყოფილა, რომ სახელმწიფო ნოტარიუსს განესაზღვრებოდა დავალება სანოტარო მოქმედებათა მოცულობაზე. რამდენსაც შეასრულებდა — ეს იყო და ეს. არც რთულ სანოტარო მოქმედებათა შემცირებისას უთქვამთ არასდროს რაიმე საყვედური. მაშინ, როცა დღევანდელი ითხოვს აღნიშნული საკითხისადმი სრულიად ახლებურ მიდგომას.

უნდა პირდაპირ ვთქვათ, რომ კომპლექსური პროგრამა სანოტარო მომსახურების ნაწილში იყო პირველი მაუწყებელი მოსახლეობის სანოტარო მომსახურების ორგანიზაციის გარდაქმნისა, რამაც გამოიწვია არა ერთი კამათი პრაქტიკულ მუშაეებს შორის, რომელთაგან ყველამ ვერ გაიგო და ვერ მიიღო ის, როგორც სანოტარო საქმიანობის გააქტიურების საშუალება, როგორც ნოტარიატის გავლენის გაძლიერება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროზე.

გარდაქმნის საქმეში განსაკუთრებით დიდია სახელმწიფო ნოტარიატის როლი, რადგანაც კონკრეტული ნოტარიუსის მუშაობით ხალხი განსჯის თუ რამდენად აქტიურად და თანამიმდევრულად ხორციელდება გარდაქმნა მშრომელთა სამართლებრივი მომსახურების ორგანიზაციაში, რამდენად უნარიანად კუძღვებით ჩვენ ამ პროცესს.

უკანასკნელ პერიოდში შექმნილია რეალური შესაძლებლობები ნოტარიატის ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად, რესპუბლიკის 132 სახელმწიფო სანოტარო კანტორაში მუშაობს 138 სახელმწიფო ნოტარიუსი, ამჟამად მიმდინარეობს კადრების გაახალგაზრდავების პროცესი. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ სამი სანოტარო კანტორა მოქმედებს სასოფლო რაიონების ისეთ მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, როგორცაა წნორი, კაზრეთი და ბიჭვინთა. ამით მოქალაქეებს მიეცათ საშუალება მნიშვნელოვნად შეამცირონ ნოტარიუსთან მიმართვის დრო. უახლოეს პერიოდში გათვალისწინებულია სხვა დასახლებულ პუნქტებშიც ახალი სანოტარო კანტორების გახსნა.

ამავე მიზნების განხორციელებას უნდა შეუწყოს ხელი დროის იმ რეჟიმმა, რომლის მიხედვითაც უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სანოტარო კანტორები მუშაობენ. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ზოგიერთ სანოტარო მოქმედებებს სახალხო დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიც ასრულებენ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის სანოტარო მომსახურების ტერიტორიული მოხერხებულობის თვალსაზრისით ჩვენ სინამდვილეში რაიმე წინააღმდეგობა არ არსებობს.

ასევე თბილისში, ქუთაისში, რუსთავში, ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიური ოლქის დედაქალაქებში № 1 სახელმწიფო სანოტარო კანტორებში კვირაობით დაწესებულია სახელმწიფო ნოტარიუსისა და ადვოკატის მორიგეობა.

ქვეყნის ეკონომიკაში უკანასკნელ წლებში მიმდინარე პროცესები განაპირობებენ სანოტარო მოქმედებათა სტრუქტურის თვისებრივ შეცვლას. თუ წინათ სანოტარო მოქმედებათა სტრუქტურაში ჭარბობდა ძირითადად უმარტივესი სანოტარო მოქმედების ასლების დამოწმება, ამჟამად მოთხოვნები შეიცვალა. სანოტარო მოქმედებებს შორის წამყვანი ადგილი უნდა დაიჭიროს იმ მოქმედებებმა, რომლებიც უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ კანონიერების განმტკიცებაში, უწინარეს ყოვლისა, სამეურნეო საქმიანობაში — სააღსრულებო წარწერების შესრულების გზით. სააღსრულებო წარწერების საშუალებით უდავო დავალიანების ამოღების წესი წარმოადგენს დაწესებულებებსა, ორგანიზაციებსა და საწარმოებში სახელშეკრულებო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვან ბერკეტს, რომელიც საშუალებას იძლევა ოპერატიულად ანაზღაურდეს არაკეთილსინდისიერი გადამხდელის მიერ მიყენებული ზარალი. ქვეყნის ეკონომიკური გარდაქმნის პირობებში ნოტარიატის საქმიანობის ამ მიმართულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, რამდენადაც მიმართულია სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა კანონიერების განსამტკიცებლად და სამეურნეო ბრუნვაში აქცევს მნიშვნელოვან ფულად სახსრებს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არც თუ ისე იშვიათია შემთხვევები, რომლებიც მიგვანიშნებენ იმაზე, რომ რიგ ადგილებში ნოტარიატის მუშაობის ორგანიზაცია შორსაა სრულყოფისაგან. სანოტარო კანტორების საქმიანობაში არსე-

ბული-ნაკლოვანებანი გამომდინარეობენ არა რაიმე ობიექტური მიზეზებიდან, არამედ ელემენტარული არაორგანიზებულობიდან, მშრომელთა ინტერესები-სადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებიდან.

ამჟამად მიმდინარეობს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები ნოტარი-ატის სისტემის სამეურნეო ანგარიშზე გადასაყვანად, ამიტომაც საჭიროა სა-ხელმწიფო ნოტარიუსებმა იფიქრონ მუშაობის ახალი ფორმების დანერგვაზე. ჩვენ ჯეროვნად და დროულად განვიხილავთ ყველა წინადადებას ახალი სახის სანოტარო მოქმედებათა შემოღების თაობაზე.

მოქალაქეთა სამართლებრივ უზრუნველყოფაში დიდია მმაჩის ორგანო-ების როლი. თავისი უფლებების რეალიზაციაში მათი მომსახურებით სარგებ-ლობს ათიათასობით ადამიანი. ყოველდღიური ზრუნვაა საჭირო მმაჩის ორ-განოების მუშაკთა კულტურაზე, რაც მხოლოდ მოქალაქეთა მაღალ დონეზე მიღებაში კი არ გამოიხატება, არამედ აქტების წიგნიერად და ლამაზად გა-ფორმებას გულისხმობს. სამწუხაროდ, მმაჩის ორგანოების ბევრი მუშაკის ნა-მუშევარი მოთხოვნების დონეს არ შეესაბამება.

მოქალაქეთა მდგომარეობის აქტების რეგისტრაციას მეტად დიდი სახელ-მწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ის დაწესებულება როგორც სახელ-მწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების ისე მოქალაქეთა პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით.

„სახელმწიფო სანოტარო კანტორების, მმაჩის განყოფილებებისა და იური-დიული კონსულტაციების სამუშაო პირობების გაუმჯობესების“ თაობაზე რეს-პუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1985 წლის 12 დეკემბრის დადგენილების მიუ-ხედავად, მოქალაქეთა ინტერესების სათანადო დაკმაყოფილებაში სერიოზული დაბრკოლებაა ის, რომ აღნიშნულ დაწესებულებათა დიდი ნაწილი მოთავსე-ბულია გამოუსადეგარ შენობებში, არა აქვთ ელემენტარული პირობები მო-ქალაქეთა მიღებისათვის. კერძოდ, მეტად არახელსაყრელი ვითარებაა აჭარის ასსრ, აფხაზეთის ასსრ, ქ. თბილისისა და საქართველოს სსრ მმაჩის არქივებში; ქ. თბილისის ოქტომბრის და 26 კომისრის, აბაშის, სამტრედიის, ბოგდანოვ-კის, ბორჯომის რაიონულ იურიდიულ კონსულტაციებში; ახმეტის, გურჯა-ანის, ჩოხატაურის, მცხეთის რაიონის სახელმწიფო სანოტარო კანტორებში; ქ. თბილისის ორჯონიკიძის, ახალქალაქის, დმანისის მმაჩის განყოფილებებში. ასევე მეტად ღარიბია ამ ორგანოთა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

განსაკუთრებით დიდ იმედებს ვამყარებთ თბილისის სადღესასწაულო მმაჩის განყოფილებისა და ქორწინების სასახლის საქმიანობის შემდგომ სრულ-ყოფაზე, რათა ისინი დაკავებული იყვნენ არა მხოლოდ ქორწინების რეგის-ტრაციის იურიდიული გაფორმებით, არამედ გადაიქცნენ ოჯახის პრობლემების მეთოდოლოგიურ ცენტრად, სადაც მოხდება მექორწინეთა მომზადება ქორ-წინებაში შესასვლელად, იქვე დაინერგება ახალი ტრადიციები და რიტუა-ლები, რომელთა გამოცდილებასაც გადავცემთ მმაჩის რაიონულ განყოფილე-ბებს. სამწუხაროა, რომ ჯერ კიდევ ბევრია დარღვევები და შეცდომები დაბა-დების, ქორწინების, მოქალაქეობრივი მდგომარეობის სხვა აქტების რეგისტ-რაციის დროს.

„მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის იუსტიციის ორგა-ნოების მუშაობის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ჩვენს სამსახურებთან ერთად აღინიშნა ისიც, რომ სახალხო დეპუტატთა საბჭოები და მათი აღმასკომები ნაკლებ მუშაობას უთმობენ



იმას, რომ მუშაობის სათანადო პირობები შეუქმნან სასამართლოებს, იურიდიულ კონსულტაციებს. საანოტარო კანტორებს; მმაჩის ორგანოებს. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ გაოცებას და შემოფოთებასაც კი იწვევს ის, რომ თბილისის, ქუთაისის და რიგი სხვა რაიონების აღმასკომებს მმართველობითი აპარატის შემცირების მიზნით განუზრახავთ მომსახურების სფეროს — მმაჩის ორგანოს მუშაკთა შემცირება. ყოველივე ეს კი ეწინააღმდეგება სამართლებრივი რეფორმის ინტერესებს. ჩვენი ღრმა რწმენით, საბჭოები უნდა წარმართავდნენ იუსტიციის დაწესებულებათა მუშაობას მოსახლეობის სამართლებრივი მომსახურებისათვის და იუსტიციის სამინისტროსთან ერთად იღვწოდნენ ამ სფეროს გაფართოებისათვის.

სახალხო მსაჯულის ტრიბუნა

აქტიურად დავეხმარეთ საქართალდამცველ ორგანოებს

დავით ცინცაძე.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სახალხო მსაჯული

გარდაქმნის შეუქცევად პროცესში აუცილებელია მტკიცე ურთიერთობის ჩამოყალიბება სამართალდამცველ ორგანოებს და საზოგადოებრიობას შორის, რადგან მხოლოდ სამართალდამცველი ორგანოების ძალისხმევით შეუძლებელია მართლწესრიგის, კანონიერების განმტკიცება და დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლა. ამ გრანდიოზული ამოცანების განხორციელება სამართალდამცველ ორგანოებს საზოგადოებრიობის აქტიური დახმარების გარეშე არ შეუძლია. ამიტომ არის, რომ საბჭოთა კანონმდებლობით აღიარებულია საზოგადოებრიობის დახმარება სამართალდამცველი ორგანოების მიმართ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. მაგალითად, საქართველოს სსრ სსკ 128-ე მუხლის ძალით გამოძიების წარმოებისას გამოძიებელმა ფართოდ უნდა გამოიყენოს საზოგადოებრიობის დახმარება დანაშაულის გამოსამკლავნებლად და მისი ჩამდენი პირების მოსაძებნად; აგრეთვე დანაშაულის ხელის შემწყობი მიზეზების და პირობების გამოსავლენად და ასაცილებლად.

ჩვენი საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლობა მონაწილეობს სამართლოებში მართლმსაჯულების განხორციელების, პროცესში სახალხო მსაჯულების სახით. სახალხო მსაჯულები მართლმსაჯულების განხორციელების დროს სარგებლობენ მოსამართლის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საკითხის გადაჭრაში, რომელიც წამოიჭრება საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენის დროს.

სასამართლო წარმოებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ მშრომელთა

4. „საბჭოთა სამართალი“. № 6

კოლექტივების წარმომადგენლები საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების სახით, საზოგადოების წარმომადგენლები, როგორც დამსწრენი, მონაწილეობენ ისეთ რთულ საგამოძიებო მოქმედებათა ჩატარებაში, როგორცაა ჩხრეკა, დათვლიერება, შემოწმება, საგამოძიებო ექსპერიმენტი და ა. შ. დამსწრე პირს კანონმდებელმა დააკისრა მოვალეობა დაადასტუროს ფაქტი, შინაარსი და შედეგები მოქმედებისა, რომელთა წარმოებას ის ესწრება. დამსწრეს უფლება აქვს გააკეთოს შენიშვნები წარმოებულ მოქმედების შესახებ. მისი შენიშვნები შეაქვთ საგამოძიებო მოქმედების ოქმში.

რესპუბლიკის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკით დადასტურებულია, რომ საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები ეხმარებიან სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის გამომყვანებაში, დამნაშავის დაძებნაში, დანაშაულის ხელისშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენასა და აცილებაში. ჩვენი საზოგადოების მაღალი შეგნების მოქალაქეები დროულად აწვდიან სიგნალებს სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის მზადების, ან უკვე ჩადენილი დანაშაულის შესახებ, აკავებენ დამნაშავეს, წარუდგენენ მტკიცებულებებს, მონაწილეობენ აღმკვეთი ღონისძიებების გამოყენებაში, შემთხვევის ადგილის დათვლიერებაში, ამოცნობაში, შემოწმებაში, ქონების დაყადაღებაში და სხვა საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებაში როგორც დამსწრენი. სამართალდამცველ ორგანოებს წარუდგენენ დანაშაულის ჩადენის ნივთიერ მტკიცებულებებს, რომელზეც დარჩენილი იყო დანაშაულის კვალი, დანაშაულის გზით შექმნილ საგნებს, ფასეულობებს, რაც გამოდგება დანაშაულის გამოაშკარავებისა და დამნაშავის პიროვნების გამომყვანების საშუალებად, თავდებქვეშ გადაცემულ პირებს და პირობით მსჯავრდებულებებს უწევენ მეთვალყურეობას და ატარებენ მათთან აღმზრდელი მუშაობას, მონაწილეობენ სასამართლოში, როგორც სახალხო მსჯულები, საზოგადოებრივი ბრალმდებლები და საზოგადოებრივი დამცველები.

სამართალდამცველი ორგანოებისადმი საზოგადოებრივი აქტიური დახმარება ხელს უწყობს და აჩქარებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრას, სახელდობრ, დანაშაულის დროულ გახსნას, მტკიცებულებების შეგროვებას, დამნაშავის დაძებნას, საგამოძიებო მოქმედებების დროულ ჩატარებას.

დამნაშავეობასთან ბრძოლა წარმატებით შეიძლება დაგვირგვინდეს მხოლოდ და მხოლოდ ყოველი მშრომელი ადამიანის აქტიური და შეგნებული მონაწილეობით. ამ დებულების კეშმარტებაში უნდა დავარწმუნოთ მშრომელთა ფართო ფენები. სამართალდარღვევებთან ბრძოლა დიდად არის დამოკიდებული თვით საზოგადოების ინიციატივაზე. საჭიროა გაიზარდოს თითოეული მოქალაქის შესაძლებლობათა და მოთხოვნილებათა მონაწილეობა საზოგადოებისა და სახელმწიფოს საქმეთა მართვაში, კერძოდ, მართლმსაჯულების განხორციელებაში, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებაში, დამნაშავეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში. პარტია აძლევს სწორ და მართებულ მიმართულებას მშრომელი ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავებას,

ქვეყნის საქმეებში თითოეული ადამიანის მონაწილეობის გაფართოების პროცესს. სამართალდაცვითი ორგანო, რომელიც სუსტად ეყრდნობა საზოგადოებრიობას, ვერ მიაღწევს წარმატებას დამნაშავეობათა წინააღმდეგ გაჩაღებულ უკომპრომისო ბრძოლაში. სკკ XXVII ყრილობაზე აღინიშნა: ბუნებრივია, რომ კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფა მით უფრო სრული იქნება, რაც უფრო აქტიურად ჩაებმებიან ამ მუშაობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირი და კომკავშირი. შრომითი კოლექტივები და სახალხო რაზმელები, ჩვენი საზოგადოებრიობის მთელი ძალები.

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავიანთ შრომით კოლექტივებში უნდა გამოავლინონ დანაშაულის ცალკეული შემთხვევები, მისი ჩამდენი პირები და მასალები სათანადო რეაგირებისათვის გადასცენ შესაბამის სამართალდამცველ ორგანოებს, რითაც პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ქმედით დახმარებას აღმოუჩენენ სამართალდამცველ ორგანოებს დანაშაულის დროული გამომჟღავნებისა და დამნაშავე პირის სამართალში მიცემის საქმეში.

ყოველმხრივ უნდა ვებრძოლოთ ნეგატიური მოვლენების მიჩუმაობას. სწორედ ამაზე ითქვა სკკ XXVII ყრილობაზე: არ კმარა ხედავდნენ ნაკლოვანებებს და მანკიერებებს, გმობდნენ მათ, უნდა იღონო ყველაფერი, რათა ისინი არ იყოს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არიან მოქალაქეები, რომლებიც ცდილობენ გამოეხარჩლონ დამტაცებლებს, მექრთამეებს, ხულიგნებსა და სხვა დამნაშავეებს. არიან ადამიანები, რომლებიც სამართალდამცველ ორგანოებს განუდგებიან, დუმილს, გაჩუმებას, პასიურობას ამჯობინებენ, ფიქრობენ — „რა ჩენი საქმეა“, „დაე, ორგანოებმა იმტერიონ თავი“, არ აღუდგებიან დამნაშავეს, ხმას არ იმაღლებენ ბოროტმოქმედთა წინააღმდეგ, ასეთი „ჩაურევლობის პრინციპი“ ხელს უწყობს დამნაშავეებს, რათა განაგრძონ დანაშაულის ჩადენა. მშრომელთა გარკვეული ნაწილი ჯერაც ვერ განთავისუფლებულა იმ უძრავობისა და სიზანტისაგან, ხანგრძლივ დუმილსა და პასიურობას რომ იყვნენ ჩვეულებრივნი, რომ თავისი სათქმელი, რაც კი იციან სამართალდარღვევების შესახებ, გულწრფელად თქვან და ამით ხელი შეუწყონ სამართალდამცველ ორგანოებს დარღვევათა დროულ გამომჟღავნებაში. მითუმეტეს ახლა, როცა ფართო ასპარეზი მიეცა დემოკრატიასა და საქვეყნობას, ამ საზოგადო საქმისათვის ყველამ უნდა გამოიღოს თავი და თქვას სიმართლე, ხელი შეუწყოს ჭეშმარიტების დადგენას. კარგად უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ ჩვენი ძალა სიმართლის თქმაშია. ცოტა როდია შემთხვევები, როცა მოქალაქეები თავს არიდებენ საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოცხადებას. უფრო მეტიც, ზოგიერთი არასწორ, ცრუ ჩვენებას აძლევს სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს.

სამართალდამცველი ორგანოებისათვის დროული განცხადებებისა და სიგნალების მიწოდების შედეგად ამ ორგანოების მუშაკებს ბევრად უადვილებათ დანაშაულის „გეოგრაფიისა“ და ოპერატიული ვითარების სწორად განსაზღვრა, რის საფუძველზეც ახორციელებენ კონკრეტულ ღონისძიებებს სამართალდარღვევათა ხელშემწყობი პირობების აღსაკვეთად. სამწუხაროდ, ზოგჯერ ისიც ხდება, რომ ცალკეული მოქალაქეები და თანამდებობის პირები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან სამართალდამცველ ორგანოებს თავიანთი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში. ამის ნათელი დადასტურებაა

ტელევიზიითა და პრესით გახმაურებული „უზბეკეთის საქმე“. როგორც ვიცით, საგამოძიებო ჯგუფის თანამშრომლებმა ამოიღეს რვა მილიონი მანეთის ფასეულობანი. „დარწმუნებული ვარ, უფრო მეტს ჩამოვართმევდით, უძლიერეს წინააღმდეგობას რომ არ წავეწყდომოდით, — თქვა განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა ტ. ვდლიანმა, — ბევრ რამეს მივყავართ მოსკოვში ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირთან, რომლებიც დღემდე თავიანთ პოსტებზე არიან. სწორედ ისინი ბევრ რამეში ხელს უშლიან ჩვენი საგამოძიებო ჯგუფის მუშაობას“. ამ საკითხებს დიდი ყურადღება დაეთმო XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციაზე. რეზოლუციაში „სამართლებრივი რეფორმის შესახებ“ ნათქვამია, რომ „უნდა გავზარდოთ სამართლის ავტორიტეტი, უზრუნველვყოთ მოსამართლეთა უთუო დამოუკიდებლობა და მათი დაქვემდებარება მხოლოდ კანონისადმი“.

გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ჩვენი რესპუბლიკის სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომლები ყოველთვის როდი არიან დაზღვეული ზემოქმედებისა და მათ საქმიანობაში ჩარევისაგან, რაც ხელს უშლის და აფერხებს საქმეზე კვშიარტების დადგენას, ეს კი უხეშად არღვევს მართლმსაჯულების კონსტიტუციურ პრინციპს.

საზოგადოებრიობის წარმომადგენლები აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ სამართალდამცველ ორგანოებს იმ პირთა გამოვლინებაში, რომლებიც ანტისაზოგადოებრივ, დანაშაულებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, საჯაროდ ამხილონ დამტაცებლები, მექრთამეები, ნარკომანები, თანამდებობის ბოროტად გამოყენებლები და სხვ. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა შრომით კოლექტივებში და მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური ღონისძიებანი, დამნაშავეობის წინააღმდეგ საბრძოლველად. ყველა ღონე იხმარონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და მშრომელთა აქტიურობის გაძლიერების უზრუნველსაყოფად, არ დაუშვან ისეთი შემთხვევები, როცა ცალკეული ადამიანები ცდილობენ არა თუ დაეხმარონ სამართალდამცველ ორგანოებს, არამედ, პირიქით, ხელი შეუშალონ და შეცდომაში შეიყვანონ ისინი. იმის არა ერთი მაგალითია რესპუბლიკის საგამოძიებო და სასამართლო ორგანოების პრაქტიკაში, როცა მოწმემ მისცა ჩვენება წინასწარი გამოძიების სტადიაზე მისთვის ცნობილ ფაქტიურ გარემოებათა შესახებ და ცვლის მას შეგნებულად სასამართლო გამოძიების სტადიაზე ცრუ ჩვენებით, ან თავს არიდებს მოწმის მოვალეობის შესრულებას, ან უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე. ასეთებს ხშირად უნდა შევხვსენოთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების მიხედვით მოწმის, დაზარალებულის მიერ შეგნებულად ცრუ ჩვენების მიცემა ან ექსპერტის მიერ შეგნებულად ყალბი დასკვნის მიცემა ან თარჯიმნის მიერ შეგნებულად არასწორი თარგმნა გამოძიების დროს, ან სასამართლოში, აგრეთვე გამოცხადებაზე თავის არიდება იმ პირის მიერ, რომელიც მოკვლევის, წინასწარი გამოძიების ორგანომ, ან სასამართლომ მოწმედ, ან ექსპერტად გამოიძახა, აგრეთვე, ამ პირის მიერ თავისი მოვალეობის შესრულებაზე უარის თქმა ისჯება სისხლის სამართლის წესით; კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლის სამართლის წესითვე ისჯება ზოგიერთი საშიში დანაშაულის დაფარვა და განუცხადებლობა.

პრაქტიკა მოწმობს, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლაში მხოლოდ სამართალდამცველი ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებები სასურველ შედეგს ვერ იძლევა, თუ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, მას გვერდში არ ამოუდგა მთელი საზოგადოებრიობა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლა შეიძლება წარმატებით დაგვირგვინდეს „მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თვით ხალხის მასა გვეხმარება“.

მიზანშეწონილობა სასაგარტლო მკაცრეიტყველებაში

ვანტანა კახანიძე

გარკვეული და ზუსტი აზრის გამოთქმის სურვილი ამეტყველების დროიდან დაწყება ადამიანს. ბუნების მოვლენათა მრავალფეროვნებაში, რაზეც კი ხელი მიუწევდებოდა, განთიადის გარდამავალი ფერებიდან ლამის მოციმციმე ვარსკვლავებამდე, სურნელოვანი ყვავილიდან მწუხრის იდუმალ ხმებამდე ყველასა და ყველაფერს ბაძავდა იგი. თავის უდიდეს მონაპოვარს, მეტყველებას, სიბრძნის მარგალიტებით ამკობდა, მჭევრმეტყველებამდე აწყავდა და განუწყვეტლივ ძერწავდა მის სილამაზეს, ეძიებდა სრულყოფის გზებს.

ყოველ ჩვენთაგანს გამომძრავებს მრავალმხრივი, მრავალსახოვანი საერთო და პირადი ინტერესები. ინტერესების ხორცშესხმას სწრაფვით, ლტოლვით, მიზანდასახული მოქმედებით ვალწევთ.

მიზნის მისაღწევად გამოვყოფთ მოქმედებას, შესაძლებელ სხვა მოქმედებათა შორის, რომელსაც გარემო პირობების მიხედვით ვთვლით უმჯობესად, საჭიროდ. სახასიათო ნიშნებით ვუპირისპირებთ სხვა მოქმედების ასეთსავე მხარეებს და გამოვყოფთ ერთ-ერთს დროის, ეკონომიკურობის, სამართლიანობის, ყაირათიანობის ან სხვა ნიშნის, განზომილებისა და ეკვივალენტური მონაცემების მიხედვით. ასევე ვახდენთ სათადარიგო მოქმედების შერჩევასაც, რის შემდეგ საბოლოოდ ყალიბდება მოქმედების აზრობრივი კონცეფცია.

ჯგუფის მიერ შერჩეული მიზანშეწონილობითი მოქმედება შეიძლება უმრავლესობის თვალსაზრისი იყოს ან არა.

არის შემთხვევები, როდესაც მოქმედების ნაცვლად ვირჩევთ უმოქმედობას, ისეთი მდგომარეობის შენარჩუნებას, რომელიც სასურველ შედეგთან მიგვიყვანს. უმოქმედობა და მისი აზრობრივი კონცეფცია ამ დროს იგივე როლს ასრულებს, რასაც აქტიური მიზანდასახული მოქმედება.

მოქმედების ან უმოქმედობის აზრობრივ კონცეფციას ორი ძირითადი ნიშანი ახასიათებს: პირველი — გარემო პირობებიდან გამომდინარეობა; მეორე — ფიზიკურ-ეკონომიკური შესაძლებლობა.

გარემო პირობებიდან გამომდინარეობა გულისხმობს პირთა ჯგუფის ან პირის კონკრეტული მოქმედების ნებისთ თუ უნებლიე (შესაძლებელია იძულებული

ბით) სურვილს. ხოლო ფიზიკური შესაძლებლობა — ფიზიკური პირობის არსებობას.

მოქმედების შერჩევა მიზანშეწონილობის მიხედვით ორი ასპექტით ვლინდება: პირველი — როცა მოქმედების გზა ერთია, გარკვეული. მის განხორციელებას ვხვეწავთ, ვაადვილებთ; მეორე — როცა რამდენიმე მრავალვარიანტული შესაძლებლობაა, გამოვყოფთ, გამოვარჩევთ მათ შორის ერთ-ერთს ან განსაზღვრულ ოდენობას.

როგორც ნიშნის, ასევე მიმართების გათვალისწინებით ხდება მოქმედების შერჩევა სხვა შესაძლებელ მოქმედებათა შორის. შერჩევა, თავისთავად, გულისხმობს მოქმედების ნიშანთა კომპლექსურ ღირებულებათა ცოდნას სხვა მოქმედებათა მსგავს თვისებებს შორის.

მიზანშეწონილობითი მოქმედებით შეიძლება მივიღოთ დადებითი ან უარყოფითი შედეგი. დადებითი შედეგის მიღების შემთხვევაში საზრისი განხორციელებულია, აზრობრივმა კონცეფციამ მიზანს მიაღწია. უარყოფითი შედეგი, მიზნის მიუღწევლობა, მიზეზია გაუთვალისწინებელი, დაუძლეველი პირობების წარმოჩენის. ამიტომ თქმა იმისა, რომ მოქმედების შერჩევის შემდეგ, სასურვილი შედეგის დადგომა აბსოლუტურად უზრუნველყოფილია, არ იქნება მართებული, რადგან შედეგის დადგომამდე, გარემო პირობების შეცვლის შემთხვევაში, საზრისი უსაფუძვლო ხდება, მიზანი — მიუღწეველი.

მიზანშეწონილობით მოქმედება, საზრისის შემმუშავებლისათვის, მიზნისაკენ სვლაა, საბოლოო შედეგის დადგომის ერთ-ერთი ყველაზე მისაღები მოქმედებაა.

მიზანმიმართულ რამდენიმე მოქმედებათა შორის, თუ რომელი იქნება არჩეული, დამოკიდებულია ორატორის შეხედულებაზე, ზნეობაზე, ტაქტიზე.

აზრობრივი კონცეფცია შეიძლება იყოს საუკეთესო ან არა. ერთობ საზრისის ავტორისათვის მიჩნეულია საჭიროდ, კონკრეტულ გარემოში მოქმედების აუცილებელ ფორმად, ე. ი. ამა თუ იმ შერჩეული მოქმედების შესრულების საჭიროება, მისი ჭეშმარიტება, გამომდინარეა საზრისის შემმუშავებლის სურვილიდან, მიზანშეწონილობიდან.

შემუშავებული საზრისი, თვით მისი ავტორისათვისაც, ცხადია, არ წარმოადგენს უცვლელ კატეგორიულ შესაძლებლობით საშუალებას, რადგან ის კონკრეტული ვითარებისათვის არის ნავარაუდები (ან ნაკარნახევი). სხვა პირობებში დაკარგავს პრიორიტეტს და ერთ-ერთ რიგით შესაძლებლობად იქცევა. ამდენად, შერჩეული, უპირატესობა მინიჭებული მოქმედება გამოჩნეულია გარკვეულ გარემოში, დროში, მოვლენებში.

მიზანშეწონილი მოქმედება ადამიანის მოღვაწეობისა და სურვილების განხორციელების ყველა სფეროში გვხვდება: პოლიტიკურში, სამართლებრივში, სამხედროში, ეკონომიკურში, იდეოლოგიურში, ეთიკურ-ესთეტიკურში, ყოფითში და სხვა.

ორგანულ არსებათა ევოლუციური სწრაფვა ფორმის სრულყოფისაკენ განპირობებულია მიზანშეწონილობით. ორგანიზმები ნივთიერებათა ცვლის პროცესში ახორციელებენ მართვას და რეგულაციას, ჯიშების გაუმჯობესების დეტერმინიზმს, როგორც გარემოპირობებთან შეგუების პრინციპს. ის მოსაზრება, რომ მიზანშეწონილობა მოვაქციოთ შემთხვევითობის ფარგლებში, ისე-

ვე უსაფუძვლოა, როგორც ბუნების ჰარმონიულობის მიკუთვნება „უზენაეს შემოქმედის“ ნებაზე.

მიზანშეწონილი მოქმედება, რომელსაც განსაზღვრულობა, მიზანსაზღვრულობა, მიზანმიმართულობა ახასითებს, განიხილება როგორც მიზნის მისაღწევი საბოლოო მიზეზი, მიმართული მიზანდასახული ცნობიერებით, როგორც დასრულებული ბოლოვადი.

საჯარო ზეპირმეტყველებაში მიზნობრივი შედეგის მიღების გარდა, მიზანშეწონილობას ეთიკური თვალსაზრისიც აქვს. ორატორის წინაშე ხშირად დგას თქმისა და არა თქმის მორალურ-ზნეობრივი არჩევანი. გამოთქმა, ფრაზა, შედარება, ლექსიკური აგებულება, ინტონაცია, მიმიკა და ქესტიკულაცია შესაბამისობაში უნდა იყოს საგანთან, მოვლენასთან, ზუსტად გადმოგვცემდეს არსს, რასაც მსმენელებზე შემოქმედებითი ზეგავლენის მნიშვნელოვანი ძალა აქვს.

„ილაპარაკე იმ შემთხვევაში: როცა საუბრის სავგანი კარგად მოიაზრე ან თქმაა საჭირო. სხვა დროს დუმილი სჯობს“ — იცხადებს ისოკრატე. ბერძენი გრამატიკოსი გვირჩევს გარემოების მიხედვით ვიყოთ მეტყველებისათვის მზად. ზოგჯერ კი უმოქმედობა, დუმილი სჯობს მოქმედებას, ილაპარაკე ისოკრატე მიზანშეწონილობით მეტყველების მომხრეა.

ციცერონის აზრით „ორატორის ღირსება არა მარტო იმაშია, რომ სთქვას ის, რაც საჭიროა, არამედ მასში, რომ არ თქვას რაც საჭირო არ არის“. რომაელი ორატორი მკვერმეტყველებაში მიზანშეწონილობის გამოყენებას მოიხზოვს. ეს აზრი რუსთაველმა ლექსად გამოთქვა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“.

„ზოგჯერ თქმა სჯობს...“ მითითებულია მასზე, რომ ცალკეულ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებაში თავშეკავებას, უმოქმედობას, დუმილს, „არა თქმას“ სჯობს თქმა. „თქმა“ სასურველი მიზნის მიღწევის, განხორციელების საშუალებაა. თქმით ვალწვით მიზნობრივ სურვილს. ეს კი მიმართებითი მოქმედების დასრულებული საზრისია და გამოხატავს გარკვეულ შეხედულებას, რომ არის ისეთი გარემოება, სიტუაცია, როცა თქმა, ყველა შესაძლებლობაზე მეტადაა საჭირო.

„არა თქმასა“ ქვეტექსტად იკითხება, რომ ზოგჯერ „არა თქმა“ სჯობს თქმას. რომ „არა თქმას“ მიზანთან მივყევართ აზრის რეალიზაციით, მოქმედების სისრულით. როგორც ვხედავთ, „არა თქმა“, თქმის ეკვივალენტურია გამიზნული შედეგის მისაღებად.

არა თქმა, გაუმყდებლობა, აზრობრივი სისავსით, ცნებითი ღირებულებით ტოლფასოვანია წინადადების იმ ნაწილისა, რომელიც თქმას მოითხოვს და მიგვანიშნებს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში: არა თქმა სჯობს თქმას, ე. ი. უმოქმედობაც მიზნობრივია სასურველი შედეგის მისაღებად.

დაპირისპირებულ, ურთიერთსაწინააღმდეგო მოქმედებას თანაზომიერ საჭირო ჭეშმარიტებად აღიარებს. რუსთაველმა ერთ წინადადებაში მოათავსა ორი, ურთიერთგამომრიცხველი შემთხვევა და მიგვითითა დროსა და გარემოს მიხედვით თითოეულის ჭეშმარიტებაზე.

„ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“ ასევე იკითხება ქვეტექსტით და გვაგვბინებს, რომ „ზოგჯერ“ არა მარტო თქმით დაშავდება, არამედ არა თქმითაც

შავდება. ასე, რომ თქმითაც და არა თქმითაც შეიძლება მიზანს ავცდეთ. შედეგი რომ სრული იყოს, თქმა თუ არა თქმა მიზანშეწონილობით უნდა გამოიყენოთ.

ორივე წინადადება მიზანმიმართულებით თანაბარ შესაძლებლობას გამოხატავს, ხაზს უსვამს მათი არსებობის საჭიროებას და ასკვნის, რომ ზოგ შემთხვევაში საჭიროა ერთს მიენიჭოს უპირატესობა, ზოგ შემთხვევაში — მეორეს. მიგვანიშნებს, რომ მოქმედების ამ შესაძლებლობას, დასაშვებ მოქმედებათა თვისობრივი ღირებულების შერჩევა დამოკიდებულია სუბიექტზე.

სასამართლო მკვერმეტყველებისათვის მიზანშეწონილ მოქმედებას არსებითი მნიშვნელობა აქვს. ყოველი საკითხი, რომელიც კვლევის საგნად იქცევა, მოითხოვს გარკვევას, ახსნას, სწორ შეფასებას. ბრალდებით, დაცვით, ახსნა-განმარტებით სიტყვებში ორატორი ამუშავებს სამართლებრივი ნორმის გამოყენების იდეას. იდეის შემუშავების დროს წამოიჭრება საკითხები, რომლებიც ხასიათის, ბუნების და დარგობრივი თვალსაზრისით განუსაზღვრელია და მოიცავს ადამიანის საქმიანობის და ურთიერთობის ყველა სფეროს.

საკითხის დასმისა და განხილვის დროს სასამართლო ორატორი მიზანდასახულად უნდა მოქმედებდეს როგორც წინამძღვრების, ასევე დანასჯის კვლევაში.

ამრიგად, მიზანშეწონილობითი მოქმედება მრავალმხრივია, სახასიათო ადამიანთა მოქმედებისათვის. განსაკუთრებულ ცნებით ღირებულებას იძენს საჯარო ზეპირმეტყველებაში, სასამართლო მკვერმეტყველების განხორციელების დროს.

ჩვენი პროფესიის ვეტერანები



დამსახურებული იურისტი

როცა ჩემი ვიზიტის მიზანი შეიტყო, ერთხანს ჩაფიქრდა. ამით ვისარგებლე და იქაურობას თვალი მოვავლე — ორგვლივ წესრიგსა და აკურატულობას დაესადგურებინა, ყველაფერი მასპინძლის კულტურას ადასტურებდა...

— რა ვიცი... ვისთვისლა იქნება საჭირო? — თითქოს საკუთარ თავს ეკითხებაო, ისე წარმოთქვა პროკურატურის ორგანოების ვეტერანმა ჯიმშერ ვაშაკიძემ.

— ახალგაზრდობისათვის... სამაგალითოდ... ვუპასუხე მაშინვე და მანაც მყისვე დასტურად მომცა: — დიახ, ახალგაზრდობისათვის ყველაფერი უნდა ვიღწოთ...



და მართლაც, პატივცემული ჯიმშერის განვლილი გზა, მისი საგამოძიებო-საპროკურორო საქმიანობის მდიდარი გამოცდილება კარგი მაგალითია ახალბედა იურისტებისათვის...

მაშინ კი, ამ ოცდათვრამეტი წლის წინათ, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურისტის დიპლომი მიიღო, თავადაც სრულიად ახალგაზრდას მხარში ამოუდგინენ ძველი მუშაკები და სტუდენტურ მერხზე მიღებული საფუძვლიანი თეორიული ცოდნის მარაგის პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებით შევსებაში ეხმარებოდნენ.

საგამოძიებო ნათლობა წყალტუბოს რაიონის პროკურატურაში მიიღო. აქედან მოყოლებული დღითიდღე იმაღლებდა პროფესიულ ოსტატობას და მალე მის ჯერ კიდევ „ღარიბ“ პირად საქმეში პირველად გაჩნდა ხელმძღვანელობის ოფიციალური მადლობის დამადასტურებელი საბუთი. ამას მოჰყვა მეორე, მესამე... მადლობები, ქების სიგელები, ჭილღობი, ფასიანი საჩუქრები რაიონული, რესპუბლიკური და საკავშირო პროკურატურებიდან. ასე გადაიქცა პატივცემული ჯიმშერის პირადი საქმე სქელტომად, სადაც თითქმის ყოველ გვერდზე გვხვდება ასეთი შეფასებები: „საქმის უმოკლეს ვადაში და ხარისხიანად გამოძიებისათვის...“, „საქმის გახსნაში ოპერატიულობისა და ინიციატივის გამოჩენისათვის...“, „მისი იურიდიული მომზადების დონე მაღალია, სწორად და სწრაფად ერკვევა საკვანძო იურიდიულ საკითხებში, კარგად არის დაუფლებული საპროკურორო მუშაობას...“ ყოველივე ეს კი შეუმჩნეველი არ დარჩენია საქართველოს პროკურატურის ხელმძღვანელობას და 1974 წლიდან იგი რესპუბლიკის პროკურატურის საგამოძიებო განყოფილების პროკურორია. გაზორკეცებული პასუხისმგებლობით შეუდგა ახალი მოვალეობის შესრულებას და მალე აქაც გამოიჩინა თავი მაღალი პროფესიული ოსტატობით. შემდეგ

მრავალი წელი იმუშავა განყოფილების უფროსის მოადგილედ, უფროსად... 1981 წელს კი პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკველო სამსახურისათვის იუსტიციის უფროსი მრჩეველი ჯიმშერ ვაშაქიძე დაჯილდოვდა „პროკურატურის საპატიო მუშაკის“ სამკერდე ნიშნით.

რთულ და საპატიო საქმეში მთელი არსებით ჩაფლულს შეუმჩნევლად მოადგა კარზე მის წლისთავი. პენსიაზე გავიდა და „ჩემოდნის ჩალაგებასაც“ შეუდგა, მაგრამ რესპუბლიკის პროკურატურის კანცელარიის უფროსობა შესთავაზეს.

ცოტა ხანს იმუშავა ამ პასუხსაგებ პოსტზე, მაგრამ გამოცდილება და ცოდნა არც აქ დაუშურებია...

საკავშირო პროკურატურის საინფორმაციო წერილში რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და სატრანსპორტო პროკურატურების საქმისწარმოების ორგანიზაციულ მუშაობაში საქართველოს სსრ პროკურატურის გამოცდილების შესახებ, ნათქვამია, რომ საჭაროობისა და დემოკრატიის სადღეისო მოთხოვნებმა კიდევ უფრო მეტად წარმოაჩინა საქმისწარმოების მნიშვნელოვანი როლი შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საქმეში და, რომ ამ მიმართებით საქართველოს სსრ პროკურატურის კანცელარია მიზანმიმართულად და წარმატებით საქმიანობს.

დაუფასდა ამაგი და ღვაწლი პატივცემულ ჯიმშერს — მიმდინარე წელს პროკურატურის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა „საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის“ საპატიო წოდება მიანიჭა. გულითადად გილოცავთ ამ დიდ აღიარებასა და დაბადების მის წლისთავს ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველის სახელით.

გელა ბერძენიშვილი.

8 ნოემბერი დიდი ილიას დასადავის დღა!

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოსა და სამართლის შესახებ

ვალერიან მებრძოლი,

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

ილია ჭავჭავაძემ წარმატებით ჩააბარა სავალდებულო საგნები და 1857 წლის 28 სექტემბერს ჩაირიცხა პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში (1857-1861 წ. წ.) ილია ჭავჭავაძის მოუხმენია და ჩაუბარებია მრავალი იურიდიული დისციპლინა, მათ შორის: სახელმწიფო სამართალი — კარგი; რუსეთის კანონმდებლობის ისტორია — კარგი; სამოქალაქო სამართალი — ფრიადი; რუსეთის იმპერიის სახელმწიფო დაწესებულებები — კარგი; რუსეთის სამოქალაქო სამართალი და სასამართლო წარმოება — ფრიადი; საფინანსო კანონმდებლობა — კარგი და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ილია ჭავჭავაძე მეოთხე კურსიდან გამოვიდა და იურიდიული ფაკულტეტი არ დაუთავრებია, პეტერბურგის უნივერსიტეტში საფუძვლიანი იურიდიული განათლება მიიღო. ამაზე მეტყველებს ერთი მხრივ, უნიკალური მოსაზრებანი სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებზე, მეორეს მხრივ, მის პირად ბიბლიოთეკაში დაცული მდიდარი იურიდიული ლიტერატურა, რომელსაც ილია ამუშავებდა, აკეთებდა მათში სათანადო შენიშვნებს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ილია ჭავჭავაძემ თითქმის ათი წელი შესწირა იურიდიულ საქმიანობას. 1864 წლის 8 ნოემბერს დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად. მომრიგებელი შუამავლობა კი იურიდიული ხასიათის საქმიანობაა, რადგანაც იგი ბატონყმობის გაუქმების კანონის საფუძველზე სწერს რეგისტრაციას ეზობიდან გამოსულ გლეხობასა და მემამულეებს შორის სადავო საქითხებს, კერძოდ, განსაზღვრავდა გლეხისათვის მისაცემ მიწის ნაკვეთს და ამ მიწის გამოსასყიდ გადასახადს, ადგენდა სავარგულ მიწებს, აგვარებდა მიწების გაცვლის საქითხს, აფორმებდა მემამულეებსა და გლეხებს შორის ნებაყოფლობით მორიგებას. გარდა ამისა, მომრიგებელი შუამავლის უფლებამოსილების ფარგლებში შედიოდა გლეხობასა და მემამულეთა შორის წამოჭრილი დავებისა და მიწის ნაკვეთის ყიდვის თუ ვალდებულებითი დამოკიდებულების შეწყვეტის თაობაზე წამოჭრილი საჩივრებისა და სარჩებების განხილვა. იგი იხილავდა ასევე საგლეხო მმართველობის წესების დარღვევის გამო წამოჭრილ საჩივრებს. მას შეეძლო დაესაჯა სასოფლო მმართველობის თანამდებობის პირები (შენიშვნა, საყვედური, ჯარიმა 5 მანეთამდე, 7 დღით პატიმრობა, თანამდებობიდან განთავისუფლება თუ მათი საქმის სასამართლოზე გადაცემა). მომრიგებელი შუამავლის უფლებამოსილებაში შედიოდა აგრეთვე სხვადასხვა წოდებებს შორის დავების განხილვა, წარმოშობილი სოფლად მუშებზე დაქირავების, მიწის იჯარით აღების, წანახედების, ტყის გაჩეხვის თუ სხვათა შესახებ.

ილია ჭავჭავაძის მომრიგებელ შუამავლად მუშაობის შესახებ ი. მიუნარგია შენიშნავს: „ამაზე უკეთეს ადგილს ილიასათვის კაცი ვერ წარმოიდგენდა. მომრიგებელი შუამავალი, კანონმდებლის აზრით, გლეხკაცის მამაა, მისი „მფარველი ანგელოზი“, როგორც ამბობდნენ იმ ხანებში, როცა ეს თანამდებობა არსდებოდა. კანონი იმას ავალდებულებს იაროს სოფელ-სოფელ და ადგილზე გაარჩიოს ნაბატონეთა და გლეხთა შორის მომხდარი ციფობა. ის არის ობლის პატრონი, სოფლის მართვა გამგეობის მეთვალყურე, მასწავლებელი და მოძღვარი გლეხკაცობისა. ილიაც სწორედ საამისოდ იყო დაგეგმილი და მერე ის დაინიშნა მომრიგებელ შუამავლად არა სადმე შორს, სამშობლოს გარეთ... არამედ თავისიანებში, არაგვის პირად, მცხეთიდან ორ ნაბიჯზე მთიულეთის ახლოს, მყინვარის კალთებზე, სადაც ის პოულობდა ყოველგვარ მასალას როგორც მგოსანი, ენის მოყვარე, მამულის ერთგული“.

1868 წლის 10 თებერვალს ილია ჭავჭავაძე კავკასიის მეფისნაცვლის ბრძანებით მომრიგებელ მოსამართლედ დაინიშნა დუშეთის სამომრიგებლო განყოფილებაში.

მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობა 1864 წლის სასამართლო რეფორმით იქნა შემოღებული, საქართველოში მომრიგებელ მოსამართლის ინსტიტუტს მთელი რიგი დემოკრატიული პრინციპები ჩამოაშორეს. მაგალითად, თუ რუსეთში მომრიგებელ მოსამართლეს ირ-

ჩვენდენ, საქართველოში — ნიშნავდნენ. ასევე, თუ რუსეთის გუბერნიებში მოსამართლის შეუცვლადობის პრინციპი იყო დაწესებული, საქართველოსათვის ეს პრინციპი არ მოქმედებდა. საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეს ეკრძალებოდა ადგილობრივი ადამიკვევების გამოყენება და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მომრიგებელ მოსამართლეს „ხელფები შეკრული“ ჰქონდა (ილია) ი. ჭავჭავაძე ამ ინსტიტუტს პროგრესულ მოვლენად თვლის და მიიჩნევს როგორც „ჭეშმარიტ ნაყოფს მეცნიერებისა და ევროპის ცივილიზაციის გამოცდილებისას“. ილიას აზრით, მორიგება მოდავეთა და მორიგებით საქმის გათავება უპირატესი დანიშნულებაა ამისთანა სასამართლოს. ამიტომაც ჰქვიან მომრიგებელი სასამართლო...

„მომრიგებელ მოსამართლეს მინდობილი აქვს გარჩევა იმ წვრილმანი საქმეებისა, რომელნიც ყოველდღე თითქმის წარმოდგებიან ხოლმე ხალხის ცხოვრებაში. უფრო მომეტებულია ნაწილმა ხალხისამ კანონები არ იცის, მომეტებული ნაწილი ვერ იტანს ფორმალობას, პატივს სცემს მარტო ნამდვილ სიმართლესა და უფროსილდება დროს; ამისათვისაც ხალხისათვის უფრო ის არის სანატრელი, რომ საქმე სწრაფად გაუთავდეს ჰოლმე და საქმის განაჩენები დამყარებული იყოს მასზედ, რაც თვითონ ხალხის მოსაზრებით სიმართლედ არის ცნობილი. უფრო ბევრ ნაწილს ამ საქმეებისას მომრიგებელი მოსამართლე სწყევტს საბოლოოდ და ამისთანავე საქმეს არჩევს და სწყევტს მარტო თვითონ ერთადერთი. უმთავრესი დანიშნულება ამისთანა მოსამართლისა და უმაღლესი ღირსება მისის მართლმსაჯულებისა ის არის, რომ მშვიდობის მყოფელი შუაქაცად ექმნეს მოდავეთა და მათ შორის მორიგება ჩამოგადოს, რომ ეს დიდი დანიშნულება მართლა მიღწეულ იქნეს, ამისათვის საჭიროა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ენდობოდნენ მომრიგებელ მოსამართლეს. ამ ნდობის მოსაპოვებლად ისე კანონების ცოდნა არ არის საჭირო, როგორც ცოდნა ხალხის აზროვნებისა, ხალხის ზნისა, ჩვეულებებისა, ერთის სიტყვით — ყოველ იმისა, რითაც გარემოცულია ადგილობრივი ცხოვრება საზოგადოდ, — და ამისთანავე საჭიროა კაცსა ჰქონდეს გამჭირახი გონება, პატიოსანი ხასიათი და უჩირქო ყოფა-ცხოვრება. მომრიგებელ მოსამართლის მრავალგვარი მოვალეობა ისეთია, რომ ყოველ შტოს სახელმწიფო მმართველობისას და ყოველ მხარეს ხალხის ცხოვრებისას შეეხება“.

ჩვენის აზრით, ილია ჭავჭავაძის ამ სიტყვების შემდეგ ზედმეტა მომრიგებელი მოსამართლის დებულების კომენტარება. აქ ცხადად ჩანს ილია — მოსამართლე, ილია — მიუყრდნობელი მსაჯული, ხალხის ინტერესების დამცველი, მშვიდობისმყოფელი შუაქაცი, მორიგების ჩამოგადები, ხალხის, ადგილობრივი მოსახლეობის ნდობით და პატივისცემით სავსე, როგორც მათი აზროვნების, ზნე-ჩვეულებების უზადო მცოდნე და გულისხმიერი დამცველი, როგორც გამჭირახი გონების, პატიოსნების, უჩირქო ყოფა-ცხოვრების პატრონი.

სამი ათასზე მეტი საქმე განუხილავს ილიას მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში. მის მიერ განხილული საქმეები დაცულია რესპუბლიკის საისტორიო არქივში და მოუთმენლად ელოდება პირუთვნელ მკვლევარს. გაცუბას იწვევს ილიას როგორც მოსამართლის ფაქიზი, ღრმა, უმწიკლო, მუშანური, საქმის ყოველმხრივი გამოკვლევის, დოკუმენტების უზადო გაფორმების კულტურა, ობიექტურობა და სისადავე.

ილიას ერთხანს ნაფიც ვეკილადაც უმუშავია. სამწუხაროდ, ჭერ-ჭერობით მიკვლეული არ არის ამ თანამდებობაზე მისი საქმიანობის ამსახველი მასალები.

წინამდებარე წერილში არ ვაპირებთ ილიას როგორც პრაქტიკოსი იურისტის პროფილის ჩვენებას. ეს მომავლის საქმეა. ჩვენს მიზანს შეადგენს მოკლედ შევეხოთ დიდი მოაზროვნის თვალსაზრისის სახელმწიფოსა და სამართლის ძირითად პრობლემებს.

საკითხის განხილვამდე ორიოდ სიტყვით შევეხოთ ილიას პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ჩვენი აზრით, ამის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ იმას, თუ რას წერს, რას ქადაგებს მოაზროვნე, არამედ მის პრაქტიკულ საქმიანობას, მოღვაწეობას, ცხოვრების გზას და იმ იდელებს, რასაც ეტრფის იგი და ცდილობს მათ პრაქტიკულად განხორციელებას. ილიას პოლიტიკური მსოფლმხედველობის გასარკვევად ბევრი დაიწერა. მეცნიერთა უმრავლესობა ამ პრობლემის ახსნისას ძირითადად მწერლის ნააზრებს — მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწერების ანალიზს სჯერდება. გვერდს უვლის მის პრაქტიკულ საქმიანობას თუ სამოქმედო იდელებს. ჩვენს მიზანს შეადგენს ყურადღება გავამახვილოთ ილიას იდეალებზე ანუ საბოლოო მიზანსა თუ სწრაფვაზე.

ილიას საბოლოო მიზნის ანუ იდეალის მოკლედ ჩამოყალიბება იოლი როლია, მაგრამ შე-



საძლებელია თუ მისხავე გამონათქვამს მოვიშველიებთ „ძმობა, ერთობა, თავისუფლება, თანასწორობა“.

ძმობის ქვეშ ილია გულიხსნობს როგორც ერებს შორის ძმურ დამოკიდებულებას, ისე სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენელთა მშვიდობიან თანამშრომლობას, კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. მისთვის „ძმობა“ არ არის ვიწრო ნათესაური გაგება. ეს ცნება ილიას აყვანილი აქვს ზოგად საკაცობრიო სიმაღლეზე. ილიას აზრით, სხვადასხვა ერის, რასის თუ სოციალური ჯგუფის წარმომადგენელთა შორის დამოკიდებულება ისეთ სიმაღლეზე უნდა იქნას აყვანილი, როგორც სისწლით ნათესაური ძმობა.

ილიას მეორე იდეალი ერთობაა. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველი დღიდანვე ერთობას ქადაგებდა; წინააღმდეგია ფეოდალური კარჩაკეთლობისა, გმობდა სოციალურ დაყოფას და ეროვნულ განკერძოებულობას, მხარს უჭერდა ხალხების თუ ერების ფართო თანამშრომლობას. იგი სასტიკად ებრძოდა ქართველი ხალხის თუ საქართველოს ერთიანობის დამარღვევთ. ილია უღმობელი იყო იმათ მიმართ, ვინც „აქაურის“ ან „იქაურის“ იდეას წამოაყენებდა; სწორედ ერთობის იდეალის მეშვეობით იბრძოდა ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფლობის შესანარჩუნებლად.

ამასთან, ილიას ერთობის იდეალის საგანი მართო საქართველო და ქართველი ხელბიროლი იყო. მართალია, ილია ქადაგებს საქართველოსა და ქართველი ხალხის ერთიანობას, მაგრამ მთელი მისი პუბლიცისტიკა თუ მხატვრული ნაწარმოებები ერთობის ზოგადსაკაცობრიო იდეალითაა გაუღენთილი. ილია უმღერის ეროვნულ ერთიანობას. იგი წინააღმდეგია ერის გახლეჩა-დაქუცმაცებისა და მოითხოვს ერთი ერის ერთიან სახელმწიფოში გაერთიანებას. ილია წინააღმდეგე არ არის სხვადასხვა ერების ერთობისა ერთ სახელმწიფოში იმ პირობით, თუ ასეთ ერთობას არა აქვს ჩაგვრის ან ექსპლოატაციის მიზანი. სხვა შემთხვევაში, ილია წინააღმდეგია ერებისა და სხვადასხვა ხალხების სახელმწიფო ერთიანობისა თუ ასეთ გაერთიანებას მოჰყვება ჩაგვრა, ექსპლოატაცია, ერთი ერის გაბატონება მეორეზე. ამრიგად, იგი იცავდა ერთობის ზოგადსაკაცობრიო, ჰუმანურ იდეალს.

ილიას მესამე და მთავარი — თავისუფლების და თანასწორობის იდეალია. იგი განახლებებს და სხვადასხვა სიბრტყეზე იხილავს პიროვნების თავისუფლებას და ეროვნულ თავისუფლებას ანუ დამოუკიდებლობას.

პიროვნების თავისუფლების ცნებას ილია ჰეგელის მატერიალურ ასპექტში განიხილავს და უკავშირებს მას ეკონომიკურ დამოუკიდებლობას. ილიას არ სწამს პიროვნების ფორმალური ანუ იურიდიული თავისუფლება, თუ ის ისევ სხვის ეკონომიკურ მორჩილებაშია. მიუხედავად ამისა, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პიროვნების უფლებების თუ თავისუფლების ზუსტ რეგლამენტაციას. ილიას მიაჩნდა, რომ რადგან აღამიანი ბუნებრივად თავისუფალი იბადება, საზოგადოებაშიც უფრო უფლად უნდა ცხოვრობდეს. პიროვნების უფლებრივი რეგლამენტაციის საკითხს ზოგჯერ გადაჭარბებულ მნიშვნელობასაც კი ანიჭებდა. მიუთითებდა, რომ იმ ქვეყანაში, სადაც ზუსტადაა განსაზღვრული თუ „სად მთავრდება შენი და სად იწყება ჩემი“, წარმატებისათვის გვა ხსნილია. ილია წინააღმდეგია რასობრივი, ეროვნული, სოციალური თუ რელიგიური შეზღუდვისა. მისი სიტყვებით „უოველი სულიერი ღვთის დანაბადია, ყველას აქვს თანასწორი ნება ამ თვალუწვდომელ ქვეყანაში ცხოვრებისა...“ ილიას აღაშფოთებდა ერთი ერისათვის უფლებების უპირატესი მინიჭება მეორესთან შედარებით. იგი იშველიებდა ბუნებითი სამართლის მოძღვრებას და ასკვნიდა, რომ აღამიანები თავისუფალი და თანასწორნი იბადებიან, ამიტომ ყველა თანასწორი უფლებით უნდა სარგებლობდეს. ილია გმობს დიდი ერებისათვის უფლებრივი უპირატესობის მინიჭებას, აკრიტიკებს პატარა ერების უფლებების შეზღუდვას, თითქოსდა მათი „განუფიქრებლობის თუ მოუზადებლობის“ გამო.

ილია მთელი სიცოცხლის მანძილზე უმღეროდა ეროვნულ თავისუფლებას. მისი იდეალი ეროვნული დამოუკიდებლობა, ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბება იყო. ილიას მისწრაფება ეროვნული თავისუფლებისაკენ პატრიოტიზმის გრძნობით არის ნაკარნახევი, იგი ამავე დროს ინტერნაციონალურიცაა, რადგან მისი ეროვნული თეორია გამსჭვალულია სხვა ერებისადმი პატივისცემის სულიისკვეთებით. ილია არასოდეს არ მისულა რომელიმე ერის თავისუფლების იდეამდე სხვა ერის დაკაბალების თუ დამორჩილების ხარჯზე. მისი ეროვნული თავისუფლების იდეა ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების იდეამდე მიდის. მისი აზრით, ეროვნული თავისუფლება თანდაყოლილი, ბუნებრივი მოვლენაა, ე. ი. სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაში უნდა პოვოს მან გამოხატულება. ილია წინააღმდეგე

იყო სხვადასხვა ერების ერთ სახელმწიფოში იძულებით გაერთიანებისა და გაკვირვებული წარმოთქვამდა: „თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას“. ამასთან, ილიას თვალსაზრისი ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს შესახებ როდი ეწინააღმდეგება სხვადასხვა ერების თუ ხალხების ერთ სახელმწიფოში ნებაყოფლობით გაერთიანებას. ცნობილია, რომ ილია ემხრობოდა რუსი და ქართველი ხალხების ერთ სახელმწიფოში ნებაყოფლობით გაერთიანებას, თანაწარუფლებიანობისა და ძმური თანამშრომლობის ნიადაგზე.

სპეციალურ ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა იმის თაობაზე თუ რომელი კლასის წარმომადგენელია ილია ჭავჭავაძე. ჩვენი ღრმა რწმენით აღნიშნული საკითხის გადასწვებლად მეტად მოხერხებული იქნება დიდი მწერლის იდეალების მოშველიება. თავისი სამოქმედო მიზნებით და იდეალების სიწმინდით იგი მხოლოდ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველია და მათივე წარმომადგენელიცაა.

ილიას საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული სახელმწიფოსა და სამართლის ცალკეულ პრობლემებზე.

სახელმწიფოს წარმოშობას ილია ობიექტური, ადამიანისაგან დამოუკიდებელი გარემოებით ხსნის: „ადამიანი ცალკედ ერთი სუსტი და უღონო დანაბადია: მისი სულიერი და ხორციელი ბუნება ისეა აგებული, რომ ცალკე ყოფნით, ვერას გზით ვერ მიადწევს ბედნიერებას. ამიტომაც იძულებული იქნა თავის მსგავს დანაბადთან ერთად ემოქმედნა. ამ მიზეზმა იმოქმედა, რომ ბოლოს ადამიანთაგან შესდგა საზოგადოება და საზოგადოებისაგან სახელმწიფო“. აქედან ჩანს, რომ ილიას სახელმწიფო არ მიაჩნია ადამიანთა ერთობის პირველ ფორმად. მისი აზრით ჯერ საზოგადოება ჩამოყალიბდა, ხოლო შემდეგ სახელმწიფო, მაგრამ რა იყო ეს საზოგადოება, რა თავისებურებები ან დამახასიათებელი ნიშნები გააჩნდა მას, ილიას ნაშრომები მათზე პასუხს არ იძლევიან. თუმცა ხიზნობის საკითხის გარკვევისას ილია მსჯელობს მიწაზე კერძო საკუთრების წარმოშობის გზებზე და მინიშნებას აკეთებს გვაროვნული წყობილების დამახასიათებელ ნიშნებზე, მაგრამ აქ უფრო მეტად აქცენტი გადატანილია მიწაზე საკუთრების წარმოშობის გზებზე და ილიას ნაკლებად აინტერესებს გვაროვნული წყობილება.

გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს წარმოშობის ობიექტურ მიზეზად ილიას ადამიანთა ურთიერთდაკავშირება მიაჩნია, სხვა ადგილზე აკონკრეტებს სახელმწიფოს წარმოშობის თანმიმდევრობას, რომ სახელმწიფო მიწიანთა და უმიწოთა ურთიერთდაკავშირების შედეგია. ამ მოსაზრებით იგი გარკვეულად უახლოვდება იურიისპრუდენციის კარგად ცნობილ სახელმწიფოს წარმოშობის ევრეთოლოგიულ „ხელშეკრულების თეორიას“, თუმცა სახელმწიფოს წარმოშობის ილიასეული თეორია ძირითადად განსხვავებულია და ორიგინალობით გამოირჩევა.

საინტერესოა სახელმწიფოს არსის და დანიშნულების ილიასეული გაგება. მისი აზრით სახელმწიფო ისტორიული კატეგორიაა, ე. ი. სახელმწიფო საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე წარმოიშვა. მჭორე მხრივ, ილია სახელმწიფოს არ მიიჩნევს გაბატონებული კლასების ულიტიმურ დაწესებულებად. მისი აზრით სახელმწიფო ყველგან და ყოველთვის მთელ ხალხს უნდა ემსახურებოდეს, განურჩევლად გაბატონებული თუ ჩაგრული კლასებისა. იგი სახელმწიფოს კლასთა შორის მორიგების, ინტერესების შეხამების საშუალებად მიიჩნევს. სხვა ადგილზე კი მიუთითებს, რომ სახელმწიფო უნდა იყოს საზოგადოების წინსვლის, პროგრესის, ადამიანთა შორის მშვიდობის დამყარების საშუალება. სახელმწიფოს არსის და დანიშნულების ილიასეული გაგება არამარქსისტულია, მაგრამ რეაქციული როდია, იგი განპირობებული იყო იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, რომელშიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

ყურადღებას იპყრობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა და წყობილების ფორმების ილიასეული გაგება. იგი ეძიებდა სახელმწიფო წყობილების და მმართველობის ისეთ ფორმებს, რაც პროგრესის გზაზე დააყენებდა მის ბედურულ სამშობლოს, გარკვეულ დამოუკიდებლობას მიიღებდა ცარიზმისაგან.

მმართველობის მიხედვით ილია იცნობს დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიული (ბიუროკრატიული) ფორმის სახელმწიფოებს. იგი უპირატესობას ანიჭებს დემოკრატიულ ფორმას, რადგან აქ „მთავრობას ხელთ უყურია მართო სახელმწიფოს საჭიროების საქმენი და ყოველივე სხვა კი საზოგადოებას გაუსაკუთრებია, მერე ისე, რომ ყოველს ნაწილს თვისნი ადგილობრივი საქმენი აქვს ხელშეუვალად მინდობილნი. ეს საზოგადოების საჭიროების საქმენი“



ადგილობრივად განაწილებულნი განიგებთან უსათუოდ ადგილობრივთა მოხელეთა შემწეობით, რომელთაც ირჩევს თვით ადგილობრივთა მცხოვრებთა საზოგადოება და რომელნიც ამავე საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელნი არიან“.

მმართველობის მიხედვით სახელმწიფოს ფორმების განხილვისას ილია აჩვენებს დემოკრატიული სახელმწიფოს უპირატესობას, რდგან იგი გზას უხსნის თვითმმართველობას. ილია ერთგვარი სიმპათიითაა განწყობილი ინგლისის პარლამენტარული წყობილებისადმი, იმის გამო, რომ აქ თვითმმართველობისათვის, ანუ ადგილობრივი ინიციატივისათვის, გზა ხსნილია. ილიას ახარებს ის ფაქტი, რომ ინგლისის პარლამენტი ირლანდიას უფლებას ანიჭებს შექმნას ცალკე პარლამენტი, მაგრამ, მეორე მხრივ, გაკვირვებას ვერ ფარავს იმის გამო, რომ რაკი ირლანდიას საკუთარი პარლამენტი ექნება, საერთო ინგლისის პარლამენტიდან დათხოვნილ უნდა იქნას: „ამ სახით ირლანდიას საკუთარ საქმეთა წარმოებაში სრული უფლება და ნება მიენიჭებათ და საერთო საიმპერიო საქმეების წარმოებაში კი ხმის ნება არ ექნებათ. აქ როგორღაც თავი ბოლოს არ ებმის, საერთო საიმპერიო ხარჯის გაწერაში, სამხედრო საქმის მოწყობაში, საკოლონიო პოლიტიკაში და სხვა ამისთანა საყოველთაო საქმეში ირლანდია მოვალე იქნება დაემორჩილოს საერთო ინგლისის პარლამენტს, საცა არც ერთი წარმომადგენელი და მოსარჩლე არ ეყოლება. იმისთანა კვეყანაში, როგორც ინგლისია, საცა არავითარი მოვალეობა, მკვიდრთათვის დადგენილი, მკვიდრთა დაუკითხავად შესაძლებელი არ არის. ეს საერთო პარლამენტიდან გამოკლება ირლანდიელთა — ჭეშმარიტის ღიბერალობის წინააღმდეგია“. ვფიქრობთ, ირლანდია-ინგლისის ურთიერთობის განხილვისას ილიას თავისი სამშობლოს პოლიტიკური მოწყობის იდეები ასაზრდოვებდა. ირლანდიაში ილია საქართველოს გულისხმობს და ოცნებობს საქართველოს სახელმწიფოს საკითხი ისევე გადაწყვეტილიყო რუსეთის მრავალეროვან იმპერიაში, როგორც ირლანდიისა ინგლისში. ილიას ეს სურვილი უფრო თვალნათლივ ჩანს იქ, სადაც მწერალი სახელმწიფო წყობილების ფორმებზე მსჯელობს.

სახელმწიფო წყობილების ფორმებიდან ილია უპირატესობას მარტივ (უნიტარულ) სახელმწიფოს ანიჭებს. მისი აზრით, მარტივ სახელმწიფოში ერთი ერი უნდა შედგოდეს ან უადრესად ახლო ნათესაობაში მყოფი ერები. ილიას მოაქვს სხვადასხვა მეცნიერთა აზრი მარტივი სახელმწიფოს უპირატესობის დასამტკიცებლად: „საზოგადოდ... ინკორპორაცია ქვეყნისა, რომელსაც ჰქონია თავისი ისტორიული ეროვნება, ყოველთვის დიდ სიძნელეს წარმოადგენს და ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვს, ვიდრე სარგებლობა“. ილია კატეგორიული წინააღმდეგია ისტორიული ერის და მისი სახელმწიფოს ხელოვნურად წაშლისა, სხვა სახელმწიფოსთან ინკორპორაციისა. მწერალი მიუთითებს, რომ ისტორიული ერები, ბედუღელმართობის მიუხედავად, კვლავ აღდგებიან და ჩამოყალიბდებიან დამოუკიდებელ სახელმწიფო ერთეულებად: „ეხლანდელ დროში ზომ, როცა ასე საყოველთაოდ განმტკიცებულია და აღგზნებულია ეროვნული გრძნობა და თავისუფლების სურვილი, ესეგვარი საქმე უფრო ძნელ საქმეს წარმოადგენს. მოსაბოა რომელიმე ერის დამოუკიდებლობისა და თვისებისა და შერიცხვა მისი სხვა ერთა შინა, — ეს იმას მნიშვნავს, რომ ძალად და განზრახ აიღოს მან თავის თავზედ ხელი, დაივიწყოს თავისი უწინდელი ცხოვრება, თავის მოგონებაში, თავისი დაცემული დიდება, თავისი ინტერესები, თავისი ზნე, ენა და სუყველა ეს მტრის გასახარებლად, მტრის სასარგებლოდ... თუ შეუძლებელია გაერთიანება ერთა, რაღა აზრი უნდა ჰქონდეს სახელმწიფოთა გაერთიანებას“.

ახალგაზრდა ილია, 1881 წელს რუსეთიდან რომ ბრუნდებოდა, მოხვევს პირით აცხადებს, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა გვეუფლებს“. ამ განცხადებაში პიროვნების თავისუფლების მოთხოვნასთან ერთად ეროვნული თავისუფლების, დამოუკიდებლობის მოთხოვნაც იგულისხმებოდა, მაგრამ შოგვიანებით რწმუნდება ამის შეუძლებლობაში და საქართველოს რუსეთთან მჭიდრო, მეგობრული ურთიერთობის მომხრედ გვევლინება. იგი სურვილის მომხრეა. აღნიშნავს, რომ რუსეთის შემადგენლობაში შემავალი ეროვნული ერთეულების უფლებამოსილება გასარკვევად და დასაზუსტებლად: „რუსეთი ერთი იმისთანა სახელმწიფოა, სადაც სხვადასხვა ტომისა და ენის ერნი ცხოვრობენ და მეორე ისე, რომ თავიანთ მამა-პაპეულ მიწაზედ არიან შეჭაღვებულნი და არა შიგადაშიგ გაფანტულნი. ამიტომაც, ერთს უდიდესს საგანს რუსეთისას შეადგენს ჭერ ის, რომ სხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ, და მეორე — როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან“. ილიას ეს სიტყვები მიგვანიშნებს რუსულ სახელმწიფოში შემავალი ეროვნული ერთეულების (საქართველოს) უფლებრივი მდგომარეობის ვარკვევას, მათი საკანონმდებლო თუ სხვა უფლებების რეგლამენტაციას. მოგვი-

ნებით, სახელმწიფო საბჭოში მოღვაწეობისას, ილიამ სწორედ საქართველოს უფლებრივი სატაქსის გარკვევა მოითხოვა. მისი იდეალი მარტივი, ეროვნული სახელმწიფოა, მაგრამ დასაშვებად მიაჩნია ასევე რთული სახელმწიფოც, თუ მასში შემაჯავლი ეროვნული ერთეულები აღჭურვილი იქნებიან ფართო უფლებებით. ამ საკითხზე ილიას თვალსაზრისი კარგად ჩანს 1905-07 წლების რევოლუციის პერიოდში შედგენილ საქართველოს პროგრესისტთა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამაში, რომლის ერთ-ერთ თანავატორად თვითონ ითვლება.

ილიამ მრავალი წერილი მიუძღვნა ადგილობრივი მმართველობის (თვითმმართველობის) პრობლემას. იგი გმობს ბიუროკრატიულ ცენტრალიზმს და მმართველობის დემოკრატიულ ფორმას გვთავაზობს. დემოკრატიული მმართველობა კი ხალხის თვითმმართველობით ხორციელდება. იგი დეტალურად იხილავს დებულებებს სოფლის მმართველობის საკითხებზე და გამოთქვამს საინტერესო შეხედულებებს. ამასთან, ზოგჯერ შეინიშნება თვითმმართველობისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებაც.

ილიას პუბლიცისტიკასა და მხატვრულ ნაწარმოებებში დიდი ადგილი უჭირავს სამართლის პრობლემების განხილვას. იგი სამართლის წარმოშობას უთანასწორობის, კერძო საკუთრებისა და კლასების ჩამოყალიბებას უკავშირებს. მისი აზრით, სამართალი ადამიანთა ურთიერთობის რეგულირების საშუალებაა. იგი სამართალს რომელიმე კლასის ნება-სურვილის გამოხატვლ ქცევის წესების ერთობლიობად როდი მიიჩნევს, არამედ მთელი ხალხის — განურჩევლად კლასებისა — ბედნიერების, კეთილგანწყობის საშუალებად. ილია ერთმანეთისაგან ანხვავებს პოზიტიურ სამართალს და ბუნებით სამართალს. ამ უკანასკნელს კი ჩვეულებით სამართალს უკავშირებს. „ჩვეულება ეგ დედაბოძია ბუნებრივი სიმართლისა“. სამწუხაროდ, ილიასათვის ბუნებითი სამართალი ისევე გაურკვეველი დარჩა, როგორც ამ სკოლის ყველა წარმომადგენლისათვის. იგი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს პოზიტიურ სამართალს. მისი აზრით ადამიანთა ბედნიერი ცხოვრება კანონმდებლობაზეც არის დამოკიდებული. ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს იგი მართლმსაჯულებას, მის ეროვნულ ენაზე განხორციელებას. კანონმდებლობის და მართლმსაჯულების უდიდეს დანიშნულებად ილია თვლის მოქალაქეთა უფლებამოვალეობების დაწესებას, პიროვნების ხელშეუხებლობის დაცვას, საზოგადოებაში წესრიგის დამყარებას, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; „სამართალი და კანონი უნდა ყველას წამოეხდეს თავის მფარველად, თავის სახსენლად, თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჭერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებთ ყველაფერი ამაოა“. სამართლის დანიშნულებად თვლის ასევე ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას და სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას. „სამართლის ურიგოდ მოწყობილება სგავია — რომელიც შნთავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებს ზალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიკურ წარმოებას“.

პოზიტიურ სამართალთან ერთად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ადათობრივ სამართალს. ადათობრივ სამართალს ილია დაუწერელ სამართალს უწოდებს, რომელსაც საზოგადოება შეიმუშავებს და იყენებს სახელმწიფოსაგან დამოუკიდებლად: „ჩვეულება ერისათვის იგივე რაჟულია, იგივე კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ქეშმარიტი საპირობების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა“. მიუხედავად ამისა, ილია ჩვეულებითი სამართლის იდეალიზაციამდე როდი მიდის, პირველობას მაინც დაწერილ კანონმდებლობას ანიჭებს. ამასთან, მოითხოვს ამ უკანასკნელის სისუსტეს, ლაკონურობას, მოწესრიგებას, რათა ხალხისათვის გასაგები და ხელმისაწვდომი იყოს.

საინტერესოა ილიას მოსაზრებები მართლმსაჯულების პრობლემებზე. იგი ზომ უშუალოდ ანორციელებდა მართლმსაჯულებას 1868-1874 წლებში, მომრიგებელ მოსამართლედ მუშაობის პერიოდში. მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად მას მიაჩნია საქმის ეროვნულ ენაზე განხილვა. ყურადღებას იპყრობს ილიას თვალსაზრისი დანაშაულისა და სასჯელის პრობლემებზე. ილიას აზრით, დანაშაული საზოგადოების მიერ დადგენილი ქცევის წესის დარღვევაა, რომლის კრიტერიუმად პიროვნების ქცევის საზოგადოებრივი საშიშროება და ქმედობის მიზანი უნდა გამოვიყენოთ. იგი დანაშაულს სუბიექტურ კატეგორიად მიიჩნევს: „კეთილი და ბოროტი, ცოდვა და მადლი მარტო ადამიანის გულისხმის საქემა... ადამიანის გარეთ ცოდვა და მადლი არ არის“. სასჯელს დანაშაულზე რეაგირების საშუალებად მიიჩნევს. ამასთან, წინააღმდეგია, რომ სასჯელი სამაგიეროს გადახდის საშუალება იყოს. ილია ქადაგებდა დანაშაულისა და სასჯელის თანაფარდობას. იგი იბრძოდა სასჯელთა ჰუმანიზაციისათვის, კერძოდ, მოითხოვდა სიკვდილთ დასჯის გაუქმებას, არსებობს



მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თითქოს ილია მოხსენებით გამოვიდა სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად სახელმწიფო საბჭოში. ჩვენი აზრით, მართალია, ილია ემზადებოდა ამ საკითხზე, ამაზე შეტყვევლებს თვისები სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად, მაგრამ მოხსენებით იგი არ გამოხლდა.

ილიას მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტიკაში გამოთქმული აქვს საინტერესო შეხედულებები დანაშაულის მიზეზებისა და თავიდან აცილების პრობლემებზე. ილიას აზრით, დანაშაულის საერთო მიზეზი ცხოვრების მოუწყობლობა, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაა. ამ მხრივ იგი ახლოს დგას რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების შეხედულებებთან, რომლებიც თავის მხრივ, დანაშაულის მიზეზების სოციოლოგიური სკოლის თვალსაზრისზე დგანან. დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ილია სოციალური გარემოს გაკეთილშობილების აუცილებლობას ქადაგებს.

ილიას პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებათა განხილვისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ მწერალი მარქსიზმის წინა ხანის მოაზროვნეა, მისი შეხედულებანი სახელმწიფოსა და სამართალზე არამარქსისტულია, მაგრამ არავითარ შემთხვევაში რეაქციული; მთელი რიგი საკითხების განხილვისას იგი გვევლინება უაღრესად პროგრესულ მოაზროვნედ.

კავიტალისტურ ქვეყნებში

**სახელმწიფოებრიობის სხვადასხვა
ისტორიულ ეტაპზე მმართველობაში
საზოგადოებრიობის მონაწილეობის
საწყისები**

ილია ვატანაძე,
ტიეკოს უნივერსიტეტი, იაპონია

I. თეორიული პრობლემები:

1) მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მნიშვნელობა კლასობრივ და უკლასო საზოგადოებებში ერთგვაროვანი როდია. მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საწყისები განსაკუთრებულ მნიშვნელობას მამინ იძენს, როდესაც ბურჟუაზიული რევოლუციის შედეგად იქმნება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული სახელმწიფო. ამასთან, ბურჟუაზია, როგორც ვაბატონებული კლასი, ფორმალურად ცნობს რა მმართველობაში ხალხის მონაწილეობას, იმავდროულად ცდილობს განდევნოს ეს საწყისი, რათა შეინარჩუნოს თავისი ბატონობა. თუმცა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში მმართველობაში ხალხის მონაწილეობის მნიშვნელობა იმაშიც გამოიხატება, რომ ვაბატონებულ კლასს მისი გამოყენება შეუძლია კლასობრივ ბრძოლაში. სოციალისტურ საზოგადოებაში კი, ან კავიტალისტურ საზოგადოებაში არსებულ არაკლასობრივ კოლექტივში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საწყისი მნიშვნელოვან როლს ასრულებს აზრთა და თვალსაზრისთა სხვადასხვაობის სარეგულირებლად, რომელიც არსებობს მმართველთა და სამართავ კოლექტივებს შორის;

2) მმართველობაში საზოგადოების მონაწილეობის საწყისს იდეურ საფუძვლად დემოკრატიული აზრი უდევს, რაც პიროვნების თავისუფალ და აქ-

ტიურ ინიციატივაზეა დამყარებული. მმართველობაში მონაწილეობის ნაყოფიერება და ეფექტურობა ამა თუ იმ საზოგადოებაში დემოკრატიის სიმწიფის ღონეზეა დამოკიდებული, რომლის ძირითად წანამძღვრებად გვევლინებიან საკითხთა თავისუფალი განხილვის უზრუნველყოფა და მოსახლეობის სწორი ინფორმაციით მომარაგება, აგრეთვე გერგილიანი სპეციალისტების — მმართველი კადრების (ტექნოკრატების) მომზადება;

3) კოლექტივის შიგნით მმართველობაში მონაწილეობის საკითხთან ერთად, თუ კოლექტივებს შორის, აგრეთვე კოლექტივებსა და სუბკოლექტივებს შორის, თანფარდობის საკითხსაც განვიხილავთ. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე საზოგადოების სირთულის პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საკითხი, ერთის მხრივ, მმართველობაში ხალხის უშუალო მონაწილეობისა (უშუალო დემოკრატია) ხოლო მეორეს მხრივ, თავის წარმომადგენელთა მეშვეობით მონაწილეობის (წარმომადგენლობითი დემოკრატია) შერწყმის შესახებ.

II. მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა ბურჟუაზიულ სახელმწიფოში:

1) მოწინავე ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ქვეყნებში მმართველობაში ხალხის მონაწილეობის სისტემამ, როგორც პოლიტიკურმა ინსტიტუტმა, მეტნაკლებად თავის სრულყოფას მიაღწია, თუმცა ეს ინსტიტუტი სხვადასხვა ფორმებს იღებს. მიუხედავად ამისა, ბურჟუაზიული პოლიტიკური პარტიები ინარჩუნებენ გაბატონებულ მდგომარეობას ფორმალისაციის მექანიზმის საშუალებით, ასე ვთქვათ, მმართველობაში ხალხის მონაწილეობის სისტემის გამოფიტვით;

2) პირველი მსოფლიო ომის შემდეგ აღმასრულებელი ძალაუფლების შეფარდებითი წონის ზრდასთან დაკავშირებით ყურადღება მიიპყრო საკითხმა სახელმწიფოებრივ მმართველობაში ხალხის მონაწილეობის წესის შესახებ. ამ მიმართებით განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა ეგრეთ წოდებულ „გეგმიურ მმართველობას“, განვითარება იწყეს სხვადასხვა გეგმის მიღების პროცესში ხალხის მონაწილეობის ხერხებმა. რაც შეეხება მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობას, შეიძლება გამოიყოს ისეთი ფორმები, როგორიცაა ნაფიც მსაჯულთა, სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტები, მოსამართლეთა პრჩვეითობის სისტემა, თუმცა, ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხანს მათ კრიტიკულად აფასებენ, პრაქტიკაში ზოგჯერ ზღუდავენ მათ უფლებებს.

III. იაპონური სისტემის დამახასიათებელი ნიშნები:

1) ომამდელი იაპონია, რომელსაც გამოცდილი არ ჰქონდა ბურჟუაზიული რევოლუცია, ცენტრალიზებული სახელმწიფო იყო, სადაც პოლიტიკური ძალაუფლება „იმპერატორის“ ხელში იყო თავმოყრილი. მას არ გააჩნდა მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ინსტიტუტი. პარლამენტიც და სასამართლოც მხოლოდ „იმპერატორის“ მმართველობის მიზნებს ემსახურებოდა (ე. წ. „ტახტის ხელშემწყობი სისტემა“). არ არსებობდა არც ადგილობრივი ავტონომიის საწყისები;

2) მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იაპონიის ახალი კონსტიტუციის მიღების შედეგად პირველად შემოიღეს ბურჟუაზიული დემოკრატიის სისტემა. თუმცა, მსხვილი მონოპოლისტური საწარმოების ბატონობის პირობებში, რომლებიც ომის შემდეგ აღადგინეს ამერიკის შეერთებული შტატების დახმარებით,

მიღებული საპარლამენტო დემოკრატიის სისტემა გადაგვარდა. სინამდვილეში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და საკანონმდებლო პროცესში ხალხი თითქმის არ მონაწილეობდა (ასეთი მდგომარეობის მიზეზებად შეიძლება დავასახელოთ მმართველობაში საზოგადოებრიობის უშუალო მონაწილეობის არასრულყოფილი სისტემა, პოლიტიკური თავისუფლების შეზღუდვა, ინფორმაციაზე კონტროლი, სათანადო საჯაროობის არარსებობა);

3) ზოგადეროვნული მასშტაბის პოლიტიკური სისტემისაგან განსხვავებით ადგილობრივი ავტონომიის ორგანოთა დონეზე მოქმედებს მმართველობაში მოსახლეობის უშუალო მონაწილეობის ინსტიტუტი. 60-იან წლებსა და 70-იან წლების დამდეგს იაპონიაში, პირველ რიგში კი მსხვილ ქალაქებში, ამ ინსტიტუტის დახმარებით ჩამოყალიბდნენ ადგილობრივი ავტონომიის პროგრესული ორგანოები სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ერთობლივი ძალით წაიწყებული ხელმძღვანელობით. ამ პერიოდში რეგიონების მმართველობაში მოსახლეობის ინიციატივამ შესამჩნევ გამოცოცხლებას მიაღწია. თუმცა, იაპონიის ეკონომიკის ზომიერი ზრდის პერიოდიდან მოყოლებული, ნავთობის კრიზისიდან დაწყებული დღემდე, კონსერვატორები კვლავ ძალას იკრებენ. ხოლო ასეთი პროგრესული ადგილობრივი ორგანოების რაოდენობა დღეს ძალზე უმნიშვნელოა. ამ პირობებში მმართველობაში ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის სისტემა თანდათანობით გამოიფიტა;

4) ზემოაღნიშნული ტენდენცია განპირობებულია პირველ რიგში, ადგილებზე მმართველობრივ გადაწყვეტილებათა მიღების სისტემის არასრულყოფილებით. ეკონომიკური და რეგიონალური (საქალაქო) განვითარების გეგმები მიიღება მხოლოდ მსხვილ მონოპოლისტურ საწარმოთა ინტერესების გათვალისწინებით. ხალხის (ადგილობრივი მოსახლეობის) აზრი მასში სერიოზულ ასახვას ვერ პოულობს. მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის მნიშვნელობა, ფაქტობრივად, ნულს უთანაბრდება. იაპონია, ისევე როგორც იმამდე, კვლავ ცენტრალიზებულ მმართველობით სახელმწიფოდ რჩება, თუმცა პოლიტიკური ხელისუფლება „იმპერატორისგან“ მონოპოლისტური კაპიტალის ხელში გადავიდა, ხოლო პოლიტიკური რეჟიმი მთლიანად შეიცვალა;

5) ბევრი სხვა პრობლემა რჩება, ჯერ კიდევ არ არის უზრუნველყოფილი საზოგადოებრიობის მონაწილეობა მართლმსაჯულების სფეროში. მუშათა მონაწილეობა საწარმოთა მმართველობაში, სინამდვილეში, შრომაზე კაპიტალის ბატონობის ერთ-ერთი ხერხია, სადაც შრომა კაპიტალის სრულ კმაყოფაზეა, და ამით არის მორგებული კაპიტალისა და შრომის შეთანხმებულობის იაპონური სტილის მთელს სისტემასთან.

IV. დასკვნა:

მოკლედ მიმოვიხილოთ ის ხელშემწყობი ფაქტორები, რომელთა მიზეზით, სხვა მოწინავე ქვეყნებისაგან განსხვავებით, იაპონია დღემდე რჩება ისეთ მმართველობით სახელმწიფოდ, სადაც მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სისტემა ეფექტურად არ არის განვითარებული. ასეთი ფაქტორები, ჩემი აზრით, შემდეგია: 1) პოლიტიკური დემოკრატიზმის უმწიფარობა, 2) მმართველობაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის უზრუნველყოფი მართლებრივი ინსტიტუტის არასრულყოფილება; 3) იაპონური ბიუროკრატიის ძლევამოსილება; 4) სათანადო სამართლებრივი შეგნების, მმართველობაში მო-

ნაწილებიდან მიღებული მიდგომისა და ინიციატივის არარსებობა. ეს უკანასკნელი პუნქტი ისტორიული ტრადიციების შედეგია, რამდენადაც მონარქიის (იმპერატორული რეჟიმის) ჩამოყალიბებიდან მოყოლებული ხალხს საუკუნეების განმავლობაში აჩვევდნენ ერთმმართველობისადმი უსიტყვო მორჩილებას, უფრო ზუსტად კი იგი იაპონიის კულტურულ ტრადიციებთან დაკავშირებული ფაქტორების ერთობლიობითაა გამოწვეული.



რა ვუთხრათ ასეთ სამართალს?!

სომ არ შეხდით, კატივსაეულო მოსაპართლანო!

სამოქალაქო სამართლის ერთმა საქმემ, რომელიც შეითხველთა სამსჯავროზე გამომაქვს, ძალიან დამინტერესა. დავა საცხოვრებელი სახლის საკუთრების უფლებით დაბრუნებას შეეხება და მიმაჩნია, რომ მოსამართლეები რატომღაც ზედმეტად აჩქარდნენ, ძირფესვიანად არ გაერკვენ შექმნილ სიტუაციაში და ისე გადაწყვეტეს ყველაფერი. თუმცა, მთლად არ ვენდებ ჩემს ინტუიციას და სხვებსაც ვაგვიხუბრებ. რა თქმა უნდა, ყურადღება გამოცდილ იურისტებზე, უმეტესად პრაქტიკულ მუშაკებზე შევაჩერებ და როგორი იყო ჩემი გაკვირება, როდესაც უკვე გადაწყვეტილი, უამრავ ინსტანციაში გავლილ საქმეზე ერთსულოვნება ვერ ვიგრძენი, რატომღაც ერთნაირი აზრი ვერ ჩამოყალიბდა. მთავარი კი მაინც ის იყო, რომ უმეტესობა თვლიდა: გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, სუსტი, კანონს კი არა, მხოლოდ მოსაზრებებს ემყარება და ცხადია, ბევრს საეჭვოდ განაწყობს.

მეც ასე ვფიქრობ, იურისტისა და ყურნალისთვის თვალთახედვით ვუყურობ ამ საქმეს და მკერა, შეცდომა სწორედ იმ ადამიანებს მოუვიდათ; ვიხი პირდაპირი მოვალეობაც სომართლის სამსახურია. ვთვლი, რომ პრინციპით — „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ ანუ ფორმალურად, მხოლოდ ცივი გონებით, არაფრის გადაწყვეტა არ შეიძლება. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს: სასამართლო გადაწყვეტილების უკან ადამიანური ღვაწან, ზოგჯერ განაწამები და რწმენაშერყეული ადამიანები, რომელთაც კონსტიტუციით მინიჭებული უფლებები გააჩნიათ და სწორედ სამართალდაცვითი ორგანოებიდან ელიან სველას. ამიტომ, ვიდაც-ვიდაციების შეცდომები, რაც ხშირად უცოდინარობის, საქმის ზერეულედ შესწავლის, დაინტერესების ან სხვა რამ მიუწვით ხდება, არ შეიძლება საბაბი გახდეს უკანონობისა. ამაზე დღეს მართლაც თამამად შეიძლება ლაპარაკი, რადგან არაერთი მაგალითი ვიცი იმისა, როდესაც განაწამებ ადამიანებს, კვლავ ადამიანებმა, მაგრამ ახლებურად მოაზროვნე ადამიანებმა, დაუბრუნეს დაკარგული უფლებები, აღუდგინეს ყველაფერი, რისი აღდგენაც შეიძლებოდა, ქონებაც და სახელიც...

სამოქალაქო სამართლის საქმე კი, რომელიც ახლა ჩემს ხელთაა, სულ 49 ფურცელია. ესეც მთლიანად მხოლოდ მიწერ-მოწერებითა და ერთიმეორის მსგავსი პასუხებითაა სავსე, თორემ გადაწყვეტილება და განჩინება სულ ოთხი გვერდია. ისე არ გამოვივთ, თითქმის ვთვლიდე, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის აუცილებლად ტომების შედგენა იყოს საჭირო. არა, პირიქით, მოკლედაც მშვენივრად შეიძლება დასაბუთება და მტკიცება, მაგრამ, სამწუხაროდ, ამკერად ყველანი მხოლოდ საკუთარ მოსაზრებებს დაეყრდნენ და არა კანონს ან რომელიმე ნორმატიულ აქტს. მოსაზრებები კი, ასე ვთქვათ, „დამაჯერებელი მოსაზრებები“, მეთი ვერ მოიძენა.

ყველაფერი ნათელი და გასაგები რომ გახდეს, საქმეს, საქმეს კი არა, ამავეს, სულ თავიდან დავიწყებ, რადგან ვფიქრობ, ქვემარტების დასადგენად ასე უკეთესი იქნება.

თბილისელმა მარიამ გამაზოვამ ჭერ კიდევ გასული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კერძოდ, 1888 წლის 24 დეკემბერს საჯარო ვაჭრობის წესით თბილისში შეიძინა მამინდელი ლისა-



გორსკის ქუჩაზე მდებარე (ამჟამად ვეძათხევის ქ. № 8) ორსართულიანი ქვის სახლი თავისივე მიწის ნაკვეთით. სწორედ აქ გაიზარდნენ გამაზოგების მთელი თაობები: ანუ მემკვიდრეები, ხოლო ერთი მათგანი, კერძოდ, რიტა ვოსკანოვა, დღესაც ცხოვრობს ამ სახლის ერთ-ერთი ბინაში. სახლის პირველმა მემპატრონემ, მისმა შვილებმა და შვილიშვილებმა უმფოთველად ვერ გაიარეს ძნელბედობით აღსავსე ასი წელი. მათ თავიანთ თავზე გამოსცადეს რევოლუციისა და მისი შემდგომი წლების სიღუბნეობა, რეპრესიები, ომის საშიშროებანი, კიდევ ათასგვარი სხვა რამ, მაგრამ თავი მაინც არასოდეს შეურცხვენიათ. მათი წინაპრის ქვის ორსართულიანი სახლი ამ ხნის მანძილზე შეურყეველად იდგა თავის ადგილზე, უამრავ მდგმურსა და სტუმარს მასპინძლობდა, ხმას არ იღებდა, მაგრამ ახლა ბოზოქჩოს და ბარბაცებს, აღარ იცის რა ქნას, აღამიანები, ვისაც ასე ღიძნან და კარგად ემსახურა. აქეთ-იქით ეწევიან, ყველას სათითაოდ სურს მისი დაქუცმაცება-დასაკუთრება.

მარიამ გამაზოვამ, ვის სახელზეც ამ სახლის ყიდვის ხელშეკრულებაა გაფორმებული, სიკვდილამდე, 1937 წლამდე ამ სახლში იცხოვრა. შემდეგ მისი შვილი დაუფლდა დედის დანატვარს და ისიც საკმაოდ მოხუცი აქვე გარდაიცვალა, 1970 წელს. აქვე ცხოვრობდა გამაზოვას შემდეგი მემკვიდრე ელისაბედ ვოსკანოვა, რომელმაც 1988 წლამდე იცოცხლა და ამ ხნის მანძილზე მას ერთი დღეც არ მიუტოვებია ვეძათხევის ქუჩის რვა ნომერი,

ახლა ცოტა უკან დავბრუნდეთ, რადგან საქმისათვის ასეა საჭირო.

1941 წელს, როდესაც თბილისში ბინების ფაქტობრივი აღრიცხვა ჩატარდა, სახლის მებატრონე მარიამ გამაზოვა უკვე ცოცხალი აღარ იყო. ამ პერიოდში სახლს ფლობდა მისი შვილი ნატალია საიპოკა, რომლის შვილი ელისაბედ ვოსკანოვა თავისი ქმრით ბორისით და ორი მცირეწლოვანი შვილით, მოსკოვში ცხოვრობდა. ომი რომ დაიწყო დედა და შვილები ევაკუაციაში მოპყვნენ, ხოლო ბორისი მოსკოვის მისადგომებთან დეცა გერმანელებთან ბრძოლის დროს. ევაკუაციაში მყოფი ომში დაღუპულის ოჯახი 1944 წელს დიდი გაჭირვებით დაბრუნდა თბილისში, რომ საკუთარი ჭერის ქვეშ ეცხოვრა. ასეც მოხდა, მაგრამ ეს სახლი ამ დროს რატომღაც ქომუნალურ აღრიცხვაზე იყო აყვანილი და რადგან მისი მობინადრეების უმეტესობა მხოლოდ მდგმურის უფლებით სარგებლობდა, ცხადია ისინი ქირასაც უხდებოდნენ სახელმწიფოს. სწორედ აქ მოხდა უცნაური გაუგებრობა და ამ წესს, სამწუხაროდ, ისინიც დაემორჩილნენ, ვინც სინამდვილეში ამ სახლის კანონიერი მემკვიდრეები იყვნენ. ასეთი უკანონოები ხომ ჩვეულებრივი ამბავი იყო იმ მძიმე პერიოდისათვის?!

ასე გრძელდებოდა ცხოვრება დიდხანს ამ ქუჩაზე და არც ვინმეს დაუყენებია საკითხი სახლის კანონიერი პატრონისათვის დაბრუნებაზე, რადგან ვერ მოიძებნა საკუთრების დამდგენი საბუთი, რაც აუცილებელი იყო ქონების დასაბრუნებლად.

როგორც უკვე ვთქვი, 1988 წელს ელისაბედ ვოსკანოვაც გარდაიცვალა. ბინაში დარჩა მხოლოდ მისი შვილი რიტა ვოსკანოვა, რადგან მშა, რაფაელი, ამ პერიოდისათვის სხვაგან ცხოვრობდა. დაახ. ვეძათხევის ქუჩის მერვე ნომერში, ერთოთახიან ბინაში დღესაც ცხოვრობს რიტა ვოსკანოვა. იგი აქ დაიბადა, გაიზარდა და დღემდე ფლობს თავისი მემკვიდრეობის ამ ნაწილს. თითქოს არც ვინმე დავობს ამაზე, მაგრამ მაინც უნარს ეუბნებიან საკუთრების უფლებაზე, რაც ფორმალურად (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი) მიღებულია დაცვ უნდა ჩაეთვალოს.

დედის გარდაცვალების შემდეგ, 1988 წელს რიტამ მოულოდნელად მის პირად ნივთებთან ერთად იპოვნა 1888 წელს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და ზოგიერთი სხვა საბუთი, რომლებიც ფაქტობრივად ადასტურებდნენ, რომ ეს სახლი მარიამ გამაზოვასა და მისი მემკვიდრეების საკუთრება იყო.

სწორედ ამ დღიდან იწყება და დღემდე გრძელდება ეს დაუმთავრებელი სამოქალაქო დავა, რომელიც სამსჯავროზე გამოგვაქვს.

1988 წლის 25 აპრილს ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ზ. ქორჩიაძე) განიხილა და-ძმის, რიტა და რაფაელ ვოსკანოვების სარჩელი თბილისის ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომთან საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლების დადგენის შესახებ და უარი უთხრა მათ უსაფუძვლოების გამო. ტყვადი და მრავალმნიშვნელოვანია სიტყვა უსაფუძვლობა, მაგრამ ამ გადაწყვეტილებაში საოცრად უსუსურად და დაუსაბუთებლად უდრის იგი. კაცს ისეთი შთაბეჭდილება დარჩება, თითქოს ძალიან უბრალო საკითხი წყდებოდეს. არადა, საკუთრების უფლება საქმაოდ რთული თემაა, მისი მიფურჩინება, ერთბაშად უგულვებელყოფა და ბუნდოვანება ყოველად დაუშვებელია. სამწუხაროდ, არც სასამართლო სხდომის ოქმი იძლევა სრულყოფილ სურათს და, რაც ყველაზე მთავარია, ყველაფერი ეს საქმეშია ჩაქრებული. მთელი გადაწყვეტილება მხოლოდ იმას ეყრდნობა, რაც

აღმასკომის იურიცკონსულტმა ვ. ნინუამ განაცხადა. აი ისიც: „აღმასკომს არავითარი მტიყება არ გააჩნია სადავო სახლის კომუნალურ ფონდში ჩარიცხვის შესახებ. სადავო სახლი დაბრუნებას არ ექვემდებარება ხანდაწმულობის გამო, ამიტომ გთხოვთ სარჩელს უარი უთხრათ“. ეს ოცდასამი სიტყვა ერთიმეორესთან იმდენ იურიდიულ თუ ლოგიკურ წინააღმდეგობაშია, რომ მასზე ლაპარაკიც არ ღირს, მაგრამ სასამართლოსათვის მაინც საკმარისი გამოდგა, რათა სარჩელი არ დაექაყოფილებინა. ამ მართლაც „უსაფუძვლო“ გადაწყვეტილებაში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი იმაზე, რაზედაც აუცილებლად უნდა გამაზვიებელიყო ყურადღება, უფლებბელყოფილია მითითება კანონზე, რაიმე სამართლებრივ ნორმაზე, რომელიც სასამართლოს მოსაზრებას გაამაგრებდა. განა ნათელი არ არის, რომ სწორედ ეს მოსაზრებები, მხოლოდდა-მხოლოდ მოსაზრებები გახდა იმის საფუძველი, რომ ერთი ხელის აქნევით დაკანონებულიყო უკანონობა. საქმეში ჩაყვრებული მასალების მიხედვით ექვსაც ხომ ვერავინ შეიტანს იმაში, რომ სადავო ბინა შეცდომითაა აღრიცხული კომუნალურ ფონდში. უფრო მეტიც, თვითონ აღმასკომს არ აქვს იგი გადაწყვეტილებით დაკანონებული და მხოლოდ იმას ეყრდნობა, რომ მობინადრეები უსიტყვოდ იხდიან ბინის ქირას, მერედა, რა არის აქ უცნაური? ამ სახლის მობინადრეები, დიახაც, ვალდებულნი არიან გადაიხადონ ბინის ქირა, ხოლო ვის გადაუხდიან. ეს სულერთია მათთვის.

ასეთ სიტუაციაში გაკვირვებას იწვევს ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომის დღევანდელი პოზიცია. როგორც ცნობილი გახდა, აღმასკომს სურს ამ ბინის ნაწილი მიჰყიდოს იქ მცხოვრებ იმ მობინადრეებს, რომლებმაც საამისო სურვილი გამოთქვეს. რა უფლებით? რატომ თვლის აღმასკომი ამ სახლს თავისად? ან რა აუცილებელია სადავო ბინის ნაჩქარევად გაყიდვა? თუ აღმასკომს პრინციპულად სურს ამის გაკეთება, მაშინ ალბათ ჭერ სახლი უნდა დაიკანონოს ყოველნაირად და შემდეგ გაყიდოს იგი.

დავამ მართლაც ფართო ხასიათი მიიღო. ოქტომბრის რაიონული საბჭოს აღმასკომი, ვეძახებვის ქუჩის მერვე ნომრის მობინადრეები და ამ სახლზე საკუთრების მძიებელი მემკვიდრეები სად აღარ წერენ საჩივარ-განცხადებებს. საქმის გადაწყვეტა ძალიან გართულდა და სხვადასხვა ინსტანციებს უჭირთ სიმართლის დადგენა. ეს კი, ვფიქრობთ, იმიტომ ხდება, რომ ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლოს 1988 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება თავისი განჩინებით უცვლელად დატოვა ძალაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ იმავე წლის 25 მაისს.

პრინციპულად მე ვერაფერს ვიტყვი ამ გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერებაზე, რადგან ეს არ შედის ჩემს კომპეტენციაში, მაგრამ იმის უფლებას კი ვიტოვებ, რომ დავსვა ნეტად საჩოთირო კითხვა: ხომ არ შეცდით, პატივცემულო მოსამართლენო!

ანზი არსენაშვილი.

ინფორმაცია

შეხვედრა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსთან არსებული იუსტიციის ორგანოების მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივმოქმედი რესპუბლიკური კურსების მსმენელები, სახალხო დემოკრატთა სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომთა მდივნები მიიღო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა ვ. კვარაცხელიამ.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის განყოფილების გამგე ა. კალმანაშვილი, მისი მოადგილე თ. ზუპაპიშვილი, უფროსი ინსტრუქტორები ნ. მანჩხაპა, ბ. კალანტარაძე, რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომანაძე, მისი მოადგილე მ. ჩაჩუა და მეთოდური ნეტის გამგე ნ. გომიჩაიშვილი.

სიტყვაში გამოსულებმა, გორის რაიონის ქვახვრელის სასოფლო საბჭოს მდივანმა ს. ჯანაშვილმა, გურჯაანის რაიონის ახაშენის სასოფლო საბჭოს მდივანმა მ. ბეგაშვილმა და წყალტუბოს რაიონის მაღლაკის სასოფლო საბჭოს მდივანმა ლ. მხატაძემ მოიწონეს სასწავლო პროცესი, აღნიშნეს ლექციებზე განხილული საკითხების აქტუალობა, კურსებზე მოწვე-

ბები ნ. მანჩხაპა, ბ. კალანტარაძე, რესპუბლიკური კურსების დირექტორი მ. კომანაძე, მისი მოადგილე მ. ჩაჩუა და მეთოდური ნეტის გამგე ნ. გომიჩაიშვილი.

ული ლექტორების მაღალკვალიფიციურობა, პრაქტიკული შეცადინებების გამოცდილების მნიშვნელობა და იმედი გამოთქვეს, რომ იგი დადებითად იმოქმედებს მათ შემდგომ მუშაობაზე. თავიანთ გამოსვლებში მსმენელები შეეხნენ, აგრეთვე, დებუტატების გაქტიურების საკითხებს; გამოთქვეს აზრი, რომ დებუტატები არჩეული იქნენ არა პროცენტულად, არამედ მათი ღირსებების მიხედვით, დააუწინეს სხვა ბევრი საჭირობოლო საკითხიც.

სტუმრებს სიტყვებით მიმართეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელმა მუშაებმა ნ. მანჩხაძემ, ბ. კალმახაძემ, თ. ჯუბაბიძემ, ბ. კალმახაძემ, რომლებმაც ყურადღება გაამხვილეს რესპუბლიკურ კურსებზე მყოფი ნაკადის კვალიფიკაციის ამაღლების შემდგომ გაუმჯობესებაზე და გამოთქვეს სასწავლო პროცესში პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკების უფრო აქტიურად ჩაბმის სურვილი. მათ აქვე შესთავაზეს თავიანთი დახმარება რესპუბლიკურ კურსებს და გამოთქვეს მოსაზრება, რომ სასოფლო საბჭოს მდივნების გადამზადებისას მსმენელებს დაევალოთ სავალდებულო წერითი სამუშაოების, რეფერატებისა და საკონტროლოების წარმოდგენა.

საქართველოს სსრ აუსტიციის სამინისტროს რესპუბლიკური კურსების დირექტორმა მ. კომანხიძემ მაღლობა გადაუხადა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ყურადღებისა და მხარდაჭერისათვის და აღნიშნა, რომ რესპუბლიკური კურსები აუცილებლად გაითვალისწინებენ ამ შეხვედრისას გამოთქმულ მოსაზრებებს, შენიშვნებს, სურვილებს, რაც ხელს შეუწყობს მათი მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მ. კობახიძემ გულისყურით მოუხსინა ყველას და აღნიშნა, რომ დღევანდელ პირობებში ბევრი რამაა დამოკიდებული საბჭოების მუშაობაზე, საჭიროა აღმოიხვევრას მუშაობაში არსებული ფორმალური, რათა საბჭოები ნამდვილად გახდნენ თავიანთი ტერიტორიის ბატონ-პატრონები, დანერგონ თვითდაფინანსების, თვითურუნეულყოფის პრინციპები, დაამკვიდრონ საჯაროობა, სტიმული მისცენ საზოგადოებრიობის ინიციატივას.

შეხვედრამ საინტერესოდ და საქმიანად ჩაიარა.

ნონა გოგიჩაიშვილი

იხმნება იურისტთა კავშირი

ახალი მასობრივი ორგანიზაციის — საბჭოთა კავშირის იურისტთა კავშირის შექმნა აუცილებლად მიიჩნია მოსკოვში გამართულმა იურიდიული საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებამ. ასეთი კავშირის მიზანი, უწინარესად, ის იქნება, რომ სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნისათვის გააერთიანოს და გაააქტიუროს იურიდიული კადრები, შეიმუშაოს სამართლებრივი რეფორმის საკითხები, ამაღლოს პროფესიული დონე, ორგანიზაცია გაუწიოს იურიდიულ საყოველთაო სწავლებას, მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისათვის განახორციელოს სამართლებრივი პროპაგანდა. იურისტთა კავშირი აგრეთვე ხელს შეუწყობს იურისტთა უფლებებისა და ინტერესების დაცვას, იზრუნებს მათი მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის, დაბოლოს, დაამყარებს, და განავითარებს ურთიერთობებს საზღვარგარეთის, უწინარესად სოციალისტური ქვეყნების კოლეგებთან საერთა-

შორისო სამართლისა და ადამიანთა უფლებების პრინციპების შემუშავება-დაცვისათვის. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს კავშირი, ჭერ კიდევ სპეციალურ მსჯელობას მოითხოვს, მაგრამ საერთო კონტურების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს იქნება საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც გააერთიანებს იურისტთა ფართო წრეს პროფესიათა მიხედვით (თეორეტიკოსებს, პრაქტიკოსებს, სამართალდამცველი ორგანოების მუშაკებს და ა. შ.). დამფუძნებელი კონფერენციის მოსამზადებელი კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი მ. მარჩენკო. დამფუძნებელი კონფერენცია განსაზღვრავს იურისტთა კავშირის ყრილობის ჩატარების ადგილსა და დროს. აქვე ფართო დემოკრატიული ყრილობის საფუძველზე შეიქმნება კავშირის პირველი ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტი და მისი წესდების შემუშავებელი კომისია.

სახვითა და იაკონელ იურისტთა კოლოკიუმი

თბილისში გაიმართა საბჭოთა კავშირის და იაკონის იურისტთა V კოლოკიუმი, რომელიც მიეძღვნა თანამედროვე ეტაპზე მართვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის სამართლებრივ პრობლემებს. კოლოკიუმის ორგანიზატორები იყვნენ: სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი, იაკონელ და საბჭოთა იურისტთა შეხვედრების საორგანიზაციო კომიტეტი (იაპონია).

იაპონიიდან ჩვენს ქვეყანაში მ.ო. ზე მეტი იურისტი ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ მეცნიერები: ადვოკატები, სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები. საბჭოთა კავშირიდან კოლოკიუმიში მონაწილეობდნენ მოსკოველი და თბილისელი იურისტი მეცნიერები. ასეთი წარმომადგენლობითი თავყრილობის ჩატარება თბილისში იმან განსაზღვრა, რომ ჩვენს რესპუბლიკას საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინების საინტერესო გამოცდილება აქვს. ამ პრობლემის კვლევაში დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრს. ამჟამად, იგი ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი დაწესებულებაა, რომელიც შეისწავლის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის თეორიულ და გამოყენებით მხარეებს, როგორცაა: სამართლებრივი აღზრდა, საზოგადოებრივი აზრისა და მართლშეგნების შესწავლა, ფორმირება და პროგნოზირება, როგორც სოციალისტური დემოკრატიისა და ხალხის თვითმმართველობის განვითარების ფაქტორები. ცენტრში მუშავდება აგრეთვე მთელი რიგი საინტერესო და აქტუალური პრობლემები, რომელიც ეხება საზოგადოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის დავალებით კოლოკიუმი გახსნა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა პ. ბუნინმა. იგი მიესალმა კოლოკიუმის მონაწილეებს და წარმატებები უსურვა მათ.

შესავალი სიტყვები წარმოთქვა: იაკონის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ი. ვებანბაძემ და საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მ. პისკოტინმა. გამომსვლელებმა აღნიშნეს ასეთი შეხვედრების აქტუალობა ჩვენი ხალხების დახლოების საქმეში. შემდეგ კოლოკიუმის მონაწილეებმა მოისმინეს პროგრამით გათვალისწინებული მოხსენებები.

პირველ სხდომაზე მოხსენება გააკეთა იაკონის დელეგაციის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ი. ვებანბაძემ. მისი თემა იყო: „იაკონის ისტორიული ტრადიციები, თავისებურებანი და მათი გავლენა მართვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობაზე“. ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრის დირექტორის, პროფესორ ი. ვებანბაძის მოხსენების თემა იყო — „საზოგადოებრივი მართლშეგნება და თვითმმართველობა“. შურონალ „სახელმწიფოსა და სამართლის“ რედაქტორმა, პროფესორმა პ. შერამშვიძემ ილაპარაკა საზოგადოების საქმეთა მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობის პრინციპებზე და იმაზე, თუ როგორ ხორციელდება ეს პრინციპები ჩვენი ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე.

კოლოკიუმის მონაწილეებმა შემდგომ მოისმინეს მოხსენებები: პროფ. ხ. სხტო (იაპონია) — „სახელმწიფო მმართველობის ამოცანათა გართულება და საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმების განვითარება მათ გადაწყვეტაში“, პროფ. მ. ხნაბაძე (იაპონია) — „ადგილობრივ დონეზე მართვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ფორმები“, პროფ. მ. პისკოტინი (სსრ კავშირი) — „მართვაში მოქალაქეთა მონაწილეობა მისი გართულების პირობებში“, პროფ. ვ. ლორიბ (თბილისის უნივერსიტეტი) — „საზოგადოებრიობის მონაწილეობა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობაში“, პროფ. ბ. ივბაძე (იაპონია) — „საზოგადოებრიობისა და მოქალაქეთა მონაწილეობა სასამართლო პროცესებში“, პროფ. ი. ლილუაშვილი (სახელმწიფოსა და სამართლის კვლევითი ცენტრი) — „მოქალაქეთა მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში“, რ. ბაჩჩილაძე (სსრ კავშირი) — „საზოგადოებრივი აზრი მართვის სრულყოფის სისტემაში“, ვ. პარბანიანი (სსრ კავშირი) — „მასობრივი ინფორმაციის ორგანოთა გავლენა სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაწყვეტილებათა მიღებაზე“, ლ. გიორბაძე (სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი) — „საქარობა—სოციალისტური თვითმმართველობის განვითარების აუცილებელი პირობა“, პროფ. ხ. ბუბოტა (იაპონია) — „შრომითი კლექტივების მონაწილეობა საწარმოთა და გაერთიანებათა მართვაში“, პროფ. ბ. შურბაძე (სსრ კავშირი) — „საწარმოო თვითმმართველობის პრობლემები სსრ კავშირში“.

მოხსენებათა შემდეგ გაიმართა დისკუსიები. კოლოკიუმის მონაწილეებისათვის მოეწყო კულტურული პროგრამა: ისინი იყვნენ მცხეთაში, თელავში, თბილისის ოპერისა და ბალე-



ტის სახელმწიფო თეატრში, მუზეუმებში, შეხვედრა მოუწვევს და ესაუბრნენ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ქალაქის საბჭოში, იუსტიციის სამინისტროში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

კოლოკვიუმმა წარმატებით ჩაიარა და შეიძლება დღის შემდეგ დაამთავრა მუშაობა. შეთანხმების თანახმად შემდეგი შეხვედრა იპპონიაში უნდა გაიმართოს.

P. S. ი. ვატანაბესა და ბ. ყურაშვილის გამოსვლები იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში.

დაცვის საბაზო კათედრის სხდომაზე

ამასწინათ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროში ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მართლმსაჯულებისა და საპროკურორო ზედამხედველობის კათედრისა და რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმთან არსებული დაცვის საბაზო კათედრის სხდომა, რომლის მუშაობაშიც მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ვ. შარაშენიძემ, მინისტრის პირველმა მოადგილემ ზ. რატიანმა, მოადგილეებმა: ა. კვიციანიამ, თ. ნინიძემ, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ზაირიკმა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა ლ. თალკვაძემ (დაცვის საბაზო კათედრის გამგე), იურიდიული ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა, კათედრის წევრებმა და სტუდენტებმა.

უბრა თითოეული სამმართველოს მუშაობაზე, სამინისტროს წინაშე წამოჭრილ სიძინელებზე, ვრცლად ილაპარაკა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტზე, სტუდენტთა ყურადღება მიამართო იმას, რომ დღეს, როდესაც საუბარია სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნაზე ახალგაზრდობას მართებს მეტი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდოს არჩეულ პროფესიას, იზრუნოს ცოდნის გაღრმავებისათვის, პროფესიული და საერთო კულტურის ამაღლებისათვის.

ვ. შარაშენიძემ სტუდენტებს გააცნო იუსტიციის სამინისტროს სტრუქტურა, მისი საქმიანობის სპეციფიკა, მომავლის ამოცანები. ისა-

შემდეგ სამინისტროს ხელმძღვანელობასა და სტუდენტებს შორის გაიმართა გულახდილი დიალოგი. ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თ. ნინიძემ, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ზაირიკმა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა ლ. თალკვაძემ.

გამოვიდა ახალი ტომები

გამოვიდა „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ მეოთხე და მეხუთე ტომები. გამოცემებში სისტემატიზირებულია მდიდარი საკანონმდებლო მასალა, რომელსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის ეკოლოგიისა და სახალხო მეურნეობის პრობლემების სამართლებრივი მოწესრიგებისათვის. ამ პრობლემების განსაკუთრებული აქტუალობის გამო გამოცემათა დანიშნულება სცილდება ვიწრო პროფესიულ ფარგლებს და ისინი ერთნაირად საინტერესო ხდება, როგორც იურისტების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების, ისე ფართო საზოგადოებრიობისათვის.

ველი გაეცნობა მიწის, წიაღის, წყლის, ტყეების, ატმოსფერული ჰაერის, ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მათი ექსპლოატაციის იურიდიულ ნორმებს. ტომში შესულია „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“, სადაც აღწუსებულია საქართველოს სსრ ტერიტორიაზე გავრცელებული, იშვიათი და გადაშენების გზაზე მდგარი გარეული ცხოველების და მცენარეების სახეობანი.

მეოთხე ტომი, რომელიც ბუნების დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების მომწესრიგებელ ნორმატიულ აქტებს შეიცავს, შეიძლია თავისაგან შედგება. აქ მკითხ-

ვსა და სტუდენტებს შორის გაიმართა გულახდილი დიალოგი. ახალგაზრდებს მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები გასცეს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ თ. ნინიძემ, რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ზაირიკმა, ჟურნალ „საბჭოთა სამართლის“ მთავარმა რედაქტორმა ლ. თალკვაძემ.



აკრობის, საზოგადოებრივი კვების, კომუნალური მეურნეობის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მომწესრიგებელ კანონმდებლობას.

მომზადებულია და „საბჭოთა საქართველო“ ზღუდულად გამოსცემს იმ ახალ საკანონმდებლო მასალას, რომლითაც ცვლილებები შევიდა „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ პირველ, მეორე და მესამე ტომებში. ამ წესით ახალი ნორმატიული აქტების მოწოდება უზრუნველყოფს

გამოსული ტომების განახლებას. მათ მუდმივ მზაობას ეფექტიანი გამოყენებისათვის.

მუშაობა გრძელდება „საქართველოს სსრ კანონთა წიგნის“ მომდევნო ტომებზე. დანტერესებული მკითხველები ახლო მომავალში მიიღებენ მეექვსე და მეშვიდე ტომებს.

ელისო ბურბანიძე,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კანონთა წიგნის მომზადებისა და გამოსცემის რედაქციის გამგე

შურნალისტები მილიციის მუშაკებთან

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოეწყო შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა საქმიანი შეხვედრა რესპუბლიკის უზრუნველ-გაზეთების რედაქციათა წარმომადგენლებთან, სადაც გულახდილი და პირუთენელი საუბარი გაიმართა იმ საკითხებზე, რაც ასე რიგად აღელვებთ დღეს ადამიანებს. გულთან მისატანი და საინტერესო კი მართლაც ბევრი რამ არის: ზენი ქალაქებისა და რაიონების არც თუ სახარბიელო ოპერატიული მდგომარეობა, რესპუბლიკის გზებზე მომხდარი ავტო-ავარიები, და მისგან გამოწვეული სავალალო შედეგები, ნარკომანების გარკვეულების საშიშროება და მათი აღკვეთის გზები, სისხლის სამართლის ის მძიმე დანაშაულებები, რომელთა მატებაც, სამწუხაროდ, კვლავ შეიმჩნევა, მკვლელობის, ბინის ქურდობის, მექრთამეობის, საექვო ხანძრების შემთხვევები და სხვა. აქვე მილიციის მოწინავე მუშაკების სასახელო საქმეებთან ერთად შეხვედრის მონაწილეებმა მოიყვანეს ცალკეული სამარცხვინო ფაქტები, უკულტურობის, უხეშობის, უკანონობისა და უპასუხისმგებლობის მაგალითები; რაც ცხადია, ცუდად განაწყობს მოსახლეობას ორგანოს მუშაკებისადმი. საუბარი მართლაც გულახდილი იყო და ამიტომ აქ ბევრი რამ გახდა საკამათო და განსახილველი.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილემ ლ. გორბოდმძე და უზრუნველ-გაზეთების რედაქციის მუშაკებს წარუდგინა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს იმ წამყვანი სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები, რომლებიც

ამ ღონისძიებებზე მოვიდნენ. მოკლედ, მაგრამ საქმიანი და საინტერესო ინფორმაციით გამოვიდა საორგანიზაციო-საინსპექტორო განყოფილების უფროსი პ. ბუჭიაშვილი, რომლის შემდეგაც მართლაც პრინციპული სჯა-ბასი გაიმართა ორგანოს მუშაკებსა და უზრუნველისტებს შორის, წარმოჩინდა საქმოდ ბევრი ეროვნული და სახელმწიფოებრივი პრობლემა, მკაცრი შეფასება მიეცა როგორც მილიციის მუშაკთა მიერ გატარებულ ოპერატიულ ღონისძიებებს, ასევე უზრუნველ-გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალებს, დაისახა უზრუნველისტებისა და ორგანოს მუშაკების ერთობლივი მუშაობის გზები და ამოცანები.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ და შეკითხვებს ამომწურავი პასუხები გასცეს სისხლის სამართლის სამძებრო სამმართველოს უფროსმა ბ. ბარბაქაძემ, სოციალისტური საკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს უფროსმა ბ. ზანტუჩიშვილმა, შრომა-განწორების დაწესებულებათა სამმართველოს უფროსმა ბ. ხოჭაშვილმა, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს უფროსმა ბ. გივიშვილმა, სახანძრო დაცვის სამმართველოს უფროსმა ჯ. სურგულაძემ, სახელმწიფო ავტონისპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბ. ჩხეიძემ, საქართველოს სსრ სატრანსპორტო შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსმა რ. თუშუაშვილმა, არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსმა ბ. ჯვარცხელიამ და სხვებმა.

შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეებმა თ. სიღამონიძემ და მ. ზასიანიძემ.

ღონისძიება, რომელმაც გაამართლა

საინტერესო ღონისძიება მოაწყო ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სამართალმცოდნეობის კაბინეტმა (გამგე თ. ხშიადაშვილი). მისმა წევრებმა, თბილისის საშუალო სკოლების უფროს-კლასელებმა პიონერთა სასახლეში სასაუბროდ მოიწვიეს ჟურნალისტები და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის წარმომადგენლები. სასაუბრო თემა შეტად აქტუალური იყო: „მოზარდთა სამართლებრივი აღზრდის ძირითადი პრობლემები“.

სამართალმცოდნეობის წრის წევრებმა ისე კარგად წარმართეს შეხვედრა, რომ დამსწრეებს არასოდეს დაავიწყდებათ იგი. იყო შეკითხვები, განმარტებები, კამათი, მოსაზრებები. გულახდილ საუბარში ნათლად გამოიკვეთა ის საკითხები, რაც ასე ძალიან აწუხებთ ახალგაზრდებს. ესაა ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვა, შეურიგებლობა წვრილმან დატაცებებთან, ხულიგნობასთან, სპეკულაციასთან, ყოველგვარ დანაშაულთან, ქართული კულტურის ძეგლებისა და ქართული ენის მოვლა-პატრონობა, ჭანხალი, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, ეროვნული თვითშეგნების ამაღლება და ა. შ.

მართლაც სასიხარულო და საამაუყო, რომ მოსწავლეები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნისა და ერის მომავალს უნდა უპატრონონ, ასე კარგად მსჯელობენ საქმოდ რთულ პრობლემებზე. ამთხინი იმის იმედს იძლევიან, რომ საქართველოს ნამდვილად ეზრდებიან ღირსეულ მამულიშვილებად.

მრავალრიცხოვან შეკითხვებს ამომწურავად უპასუხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, დოცენტმა ზ. წულაბაძემ, უფროს „საბჭოთა სამართლის“ პასუხისმგებელმა მდივანმა ბ. ზამქმინიშვილმა, ამავე რედაქციის მეცნიერ-რედაქტორმა ბ. ბრანაშვილმა და გავით „ნორჩი ლენინელის“ კორესპონდენტმა ნ. ბარბაქაძემ.

ღონისძიებამ გაამართლა და გამოითქვა აზრი, რომ საჭიროა ასეთი შეხვედრება ტრადიციული გახდეს სამართალმცოდნეობის კაბინეტისა და მისი წევრებისათვის. კარგი იქნება, აგრეთვე, თუ მასში უფრო ფართოდ მიიღებენ მონაწილეობას რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლები.

წოდებების მიენიჭება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 25 ოქტომბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ დამსახურებული იურისტის საპატიო წოდება მიენიჭათ:

- **შალვა კისკინჯის ძე არშვას** — ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის;
- **ლარი გარმანას ძე თალაპაძის** — უფროს „საბჭოთა სამართლის“ მთავარ რედაქტორს;
- **ავთანდილ ვლადიმერის ძე კობახიძის** — ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1988 წლის 28 სექტემბრის ბრძანებულებით საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა

თამაზ ბრიგოლის ძე შავაშვილის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფოსა და სამართლის ცენტრის დირექტორს, პროფესორს.

ცნობილი სისხლის სამართლის საქმეები

ვან მუხარბიანი და ყალბი ვერმუხარბი

ჯონ ზეიზი

„საუკუნის მხატვრული აღმოჩენა“

სურათის „შექმნის“ ზუსტად ერთი წლის თავზე იწვევეენ საზოგადოებრიობას დატკბნენ ამ შედეგის ხილვით. 1938 წლის საგაზაფხულო გამოფენა ყველაზე დასამახსოვრებელი გახდა. მან უამრავი ხალხი მიიზიდა. მნახველთა რიცხვმა სარეკორდო ციფრს მიაღწია. თუმცა, სიმართლე უნდა ითქვას, ამისათვის ნიდაგი მოამზადეს ზელოვნებამცოდნეებმა და სამხატვრო კრიტიკოსებმა. უკვე არამართ სპეციალისტთა გამოხმაურებები ქვეყნდება, არამედ ისეთი სისტემატური სარეკლამო კამპანიაც გაჩაღდა, შეჯიბრებას რომ მოგვაგონებს. თითოეული ცდილობს მიაგნოს თანამოკალმეებზე უფრო მეტად ბრწყინვალე და სენსაციურ მეტაფორას. დიტირამები სულ უფრო მატულობს — „ზელოვნების უდიდესი ნაწარმოები, რომელიც გამოეტაცეთ მივიწყებას“, მოკვლეულია „ვერმუხარბი დელტელის ყველაზე დიდი ნაწარმოები“, „საუკუნის მხატვრული აღმოჩენა“ და სხვ. მთელ მსოფლიოს მოუწოდებენ ჩაერთონ სურათით უსაზღვრო აღტაცებაში.

ასეთი საყოველთაო ევფორია უნებურად გადადებს აზრს მასობრივი ფსიქოზის თაობაზე. ცხადია, ასეთ რეალურ ვითარებას თვით ვან მუხარბიანი აპყავს შემდგომ, ნეეროზის უფრო მაღალ საფეხურზე. ახლა უკვე, როცა მისი პურვილი განზორციელდა და განთავისუფლდა მინაგანი დაძაბულობისაგან ფალსიფიკატორს შეუძლია „დამშვიდებული სინდისით“ საქა-

როდ ეჭვის ქვეშ დააყენოს სურათის „ქრისტე ემაუსში“ ორიგინალობის საკითხი... ამრიგად, მაღალი წრის მრავალ სალონში იგი ჩამოთვლის ამ სურათის სიყალბის დამადასტურებელ არგუმენტებს; განა ვერმეერი ხატავდა ბიბლიურ თემებზე? შეამოწმეს კი ეს ტილო მეცნიერული ანალიზის ყველა მოთხოვნის შესაბამისად? არსებითად მეტისმეტი ბანალური არ არის მისი კომპოზიცია? სოლო ფუნჯის მონასმის ხასიათიც უფერულია და ა. შ. მაგრამ მისი თანდაყოლილი მკილაგის რეპუტაცია აშკარად უსაფუძვლოა და არასანდოს ხდის მთელს მის დასაბუთებებს. პირიქით, მისი თანამოსაუბრეები უფრო მეტად რწმუნდებიან საქუთარ შეხედულებებში და მაღალფარდოვნად უარყოფენ ამ სასწაულის ნამდვილი ავტორის აზრს.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. თავისთავად გამოფენა იშვიათი, გულმოდგინედ მომზადებული სპექტაკლია. ამ ვითარების ბრწყინვალეობა და ზეიმურობა ისეთია, დამთვალეირებელი გადაბიჯებს თუ არა მუზეუმის ზღურბლს, დაწმუნებულოა, რომ იგი მონაწილეა ისტორიული ცერემონიის და შეუძლებელია მათი გრძნობები არ შეესაბამებოდეს მოვლენის სიდიდეს. წითელი ხალიჩები, ოფიციალურ პირთა მონაწილეობა, საპარადო ფორმაში გამოწყობილი მცველები — მთელი ამ ცერემონიალით დამთვალეირებელი განცვიფრებულია მანამდე, ვიდრე მიეცემა საშუალება სულ რამდენიმე წამის განმავლობაში დატკბეს თვით შედეგით. სურათს კი სამხედრო ყა-



რატომ იცავს და ახლოს არავის აკარებენ. თუ რომელიმე დამთვლიერებული ნაბიჯს გადაადგავს სურათისაკენ, რათა უფრო კარგად შეხედოს ვერმეერის ცნობილ ხასხასა ლურჯ საღებავს ან ქრისტეს სახის გამოსახულებას, იგი სწრაფად გაპყავთ საჭირო დისტანციამდე. აურათი კი — მიწეზე ამ მსოფლიო სპექტაკლისა — მტკიცედ ინახავს თავის ააიდუმლოს.

ვან მეგერენი შეერევა დამთვლიერებლებს აურათთან მოახლოებისას წინ გადაიხრება. აურა ნახა უკანასკნელი. მის შემდეგ გაეთებულ რუტავრაციის ნაკვალევი, მაგრამ ერთ-ერთი მცველი მაშინვე მოაშორებს მას. ვან მეგერენს გულში ეციენება. მთელი ქვეყანა მის ფეხით არის და თუ ამას ვერავენ ვერც კი წარმოიდგენს, თვით ფალსიფიკატორს გადაწყვეტილი აქვს საკუთარი ხელებით შექმნილი საქმის მხილება.

მხილება, რომელიც არ შედბა

სურათის „ქრისტე ემასუსში“ საქვეყნო ტრიუმფის შემდეგ ვან მეგერენის წინაშე ერთდერთი ამოცანა დგას — შეაარულოს თუ არა საკუთარი განზრახვა და საჯაროდ გახსნას თავიი გიგანტური სიცრუე?

მან მიიღო მეტად მსხვილი თანხა (სურათის მთელი ღირებულების ორბი მესამედი, ანუ 1600 000 ფრანკი) და, ცხადია, მოუწევს მისი დაბრუნება, მაგრამ უნდა ვალიაროთ, რომ ფინანსური პრობლემა იმდენად მწვავედ არ დგას: ლაპარაკია არჩევანზე — „ყველაფერი ან არაფერი“. მართალია, ვან მეგერენს არასოდესა ჰქონია ასეთი სიმდიდრე, მაგრამ სრულიად ნათელია, რომ ატეხილი სკანდალის შედეგად მისი სახელი იმდენად ცნობილი გახდება, რომ მას ეს არა მარტო მატერიალურ სარგებლობას მოუტანს, არამედ პრესტიჟსაც. მისი უდიდესი ტალანტის აღიარება უზრუნველყოფდა მას საკუთარი ნაწარმოებების პოპულარობით, რაც ყოველთვის ნაკარნახევი იყო სენსაციის მოყვარული ჰირვეული შოდით; მისი „კურსი“ აიწყოდა ატეხილი სკანდალის სიძლიერის პროპორციულად.

ამას გარდა, ფალსიფიკაციის მხილებით პრესაში გაჩაღებულ პოლემიკის ცენტრალური ფიგურა გახდებოდა: სტატიები, ინტერვიუები, სურათების რეპროდუქციების ბეჭდვის უფლება, ავტობიოგრაფიის გამოქვეყნების შესაძლებლობა — ყველაფერი ეს დამატებით უზრუნველყოფდა მის ხელსაყრელ მდგომარეობას, რაც მოუტანდა მისი მხატვრული ტალანტის აღიარებას. დაბოლოს, მასვე დაუბრუნდება სურათი, რომელსაც დაკარგული არ ექნება

თავისი კომერციული ღირებულება. კამათის საგნად და რამდენადმე ნივთიერ მტკიცებულებად იქცევა თუ არა, „ქრისტე ემასუსში“ უეჭველად, მაალ ფასს შეიძენს კიდევც.

რაც შეეხება მორალურ და, თუ გნებავთ, ნევროლოგიურ კმაყოფილებას, ქეშმარტების დადგენით, ვან მეგერენი თავს დაიზღვევდა გამოუსწორებლისაგან და ხელოვნებათმცოდნეებსა და სურათებით მოვაჭრეებს მიუტუნდა კუთვნილ ადგილს, დაუმტკიცებდა მათ, რომ ისინი უმეცარნი არიან.

თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ მაგვარი არაფერი მოხდება. უზრუნველი ცხოვრების წყურვილი გაიმარჯვებს. ვან მეგერენმა დღემილი არჩია და დაიწყო ფულის უღარდელად ფანტვა მარჯენიე და მარცხნიე. როკბრიუნში დაბრუნებისას მთელ გზაზე დტენდა ძვირფას ნივთებს, შემთხვევით შემხვედრებთან ღამის სამიეიტნობებში მართავდა დრეობებსა. ჯერ კიდევ პარიზში დახარჯა თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი, რათა აღარ ეფიქრა მის დაბრუნებაზე. როკბრიუნში საკითხი საბოლოოდ გადაწყდა — იგი ნამდვილი ფალსიფიკატორი ხდება.

ფულმა, რომელიც მას ისე უქრებოდა, როგორც თითებს შორის წყალი, მოაჯადოვა და გამოათავყანა იგი. მისი წარმოდგენები გაღარბდა და იგი დაეშვა ბანალურ სიცრუემდე. სასაცილო არ არის, რომ კაცი, რომელმაც შეძლო წარმოუდგენელი რამ, ახლა თავის მოულოდნელ გამდიდრებას ხსნის ესოდენ პრიმიტიულად — იგი ყველას არწმუნებს თითქოსდა ეროვნულ ლატარიაში მოიგო დიდი თანხა, ხოლო როკბრიუნის მოსახლეობას, მონტე-კარლოს კაზინოში რულეტის მაგიდასთან მის მეზობლებს და ადგილობრივ პოლიციასაც კი სჯერა ეს პატარა იგავი? ვან მეგერენი გაბუდმებით იცვლის ბარებს, ბაკარას თამაშის რულეტის მაგიდებს, ერთი სიტყვით, „თავის დღეებს ქეიფსა და ლხინში ატარებს“.

მაგრამ მისი ცხოვრების წესის ასეთი მოულოდნელი შემობრუნება არავითარ ექვს არ იწვევს. ბუნებრივი არ არის, რომ მხატვარს ბევრი ფული ჰქონდეს და, რომ მისი ცხოვრების წესი მოგვაგონებდეს, როგორც ბალზაქი წერდა, ხერხის კბილების მონაცვლეობას, ამასთან, განუწყვეტელს?

„ღალღვის მოკვარულინი“

მოვლენები კი ვითარდებიან თავიანთი გარღუვალი გზებით. სურათის „ქრისტე ემასუსში“ გაყიდვიდან რამდენიმე თვის შემდეგ ვან მეგერენი კვლავ შეუდგა მუშაობას. მართალია,



განაკრებულმა თავისი მილიონების ხაჯვას, მაგრამ ხატვა ძველებურად უყვარს ეს სწორედ ის თვისებაა, რომელიც უბიძგებენ ახალი საყალბეებს შექმნისავენ. ვან მეგვერენი კვლავინდებურად არ არსებობს როგორც მხატვარი. სამაგიეროდ დამკვიდრდა ვან მეგვერენი როგორც უდიდესი ფალსიფიკატორი.

ახალი საყალბის „ავტორი“ იქნება პიტერ დე ჰოხი. ვერნერის სურათის საუბუეტის არჩევის საპირისპიროდ, ამჟამად ფალსიფიკატორი დახატავს სრულიად „სარწმუნო დე ჰოხს“. მართლაც, მისი „დალევის მოყვარული“ ზედმიწევნით შეესაბამება ამ მხატვრის შემოქმედებას, როგორც სულისკვეთებით, ასევე სტილით და ბუქინემის სასახლეში დატულ მის სურათსაც („კარტის მოთამაშენი“) ეი გვაგონებს. 1938 წლის ზაფხულში გადადგა ვადამწყვეტი ნაბიჯი: მხატვარი ქმნის მეორე საყალბეს — ქმნის ფუნჯით ეი არა. უფრო სწორად ფიზიხითა და ლუმელით.

„დალევის მოყვარული“ (80x69 სმ.) ხელმოწერილია ასე — P. D. H. 1658“. ფალსიფიკატორის ახალი იდეა შემდეგში მდგომარეობა: შექმნას სრული დამაჯერებლობა, რომ ერთიდაიგივე მხატვრის შემოქმედებაში შესაძლოა — არსებობდეს ერთმანეთის ესოდენ მსგავსი ნაწარმოებები. ასეთი შემთხვევის შესაძლებლობა გამორიცხული არ არის, როცა ლაპარაკია XVII საუკუნის მხატვარზე, რომელიც ხშირად ხატავდა სურათების სერიას მონათესავე თემებზე, როცა ასეთი არჩევანი გააკეთა, იგი მოქმედებდა სურათების ჩვეულებრივი ყალბის-მქმნელების სულისკვეთებით. ამით იგი უკვე სულ სხვაგვარ რისკზე მიდის, ვიდრე „ქრისტე ემაუსში“ შექმნის დროს, როცა ყველაფერი ზუსტად აწონ-დაწონა და მოიფიქრა. მაგრამ მას ვირტუოზული ტექნიკა ეხმარება, რათა არ დაუშვას სრულიად მცირე შეცდომაც ეი. ამ სურათში ვან მეგვერენი საკეთარ თავს აღემატა. შექმნა საღებავების ექვსი ფენა („ქრისტე ემაუსში“, სამის ნაცვლად) და ლუმელში მრავალჯერ გამოშრობის შემდეგ მიიღო სამსაუკუნოვანი სიძველის ბრწყინვალე კრაკელიური „დალევის მოყვარული“ არაფრით ჩამოუვარდება დე ჰოხის ნებისმიერ სხვა ნაწარმოებს.

სხვადასხვა ერთწლიანი კომერციული ოპერაციების შემდეგ ეს სურათი ადგილს დაიკავებს მეცენატ ვან ბენინგის კერძო კოლექციაში. ჰოლანდიაში კერძო კოლექციებს შორის ამ ყველაზე ცნობილ და მდიდარ კოლექციაში მოხვედრა თავისთავად უკვე ადასტურებდა ყველა ტილოს ორიგინალობას.

ამჟერადაც შუამავლად დოქტორი ბონი გვეკვლინება. სურათის აღმოჩენის ისტორია დაახლოებით ისეთივეა, როგორც იყო

„ქრისტე ემაუსში“ აღმოჩენის დროს (მითითებული მავრივე კვლავ „ჰყიდის“ ფაშისტური იტალიიდან გამოტანილი ასევე მითითური იტალიური კოლექციის ერთ-ერთ სურათს). ბონი ხედება პ. დე ბურს, ჰოლანდიაში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ სურათებით მოვაჭრეს, რომელიც არწმუნებს ვან ბენინგს შეიძინოს ეს სურათი. გარიგების თანხა 220 000 გულდენს შეადგენს (ანუ დაახლოებით 900 000 ფრანკი, საიდანაც ვან მეგვერენმა 600 000 ფრანკი მიიღო). უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს თანხა „ქრისტე ემაუსში“ მიღებული თანხის მესამედზე ცოტა მეტია.

სამაგიეროდ, იმ ერთი წლის მანძილზე, ვიდრე ეს გარიგება განხორციელდება, ვან მეგვერენის ცხოვრებაში მთელი რიგი სხვა მოვლენები მოხდა. მაგრამ მისი საიდუმლო კვლავ საიდუმლოდ რჩება.

ერთადერთი ჰოხი ნიცაში

1938 წლის ზაფხულში ვან მეგვერენი თავის ცოლთან — იოსთან ერთად სტოვენენ ვილა „პრიმვერას“ როკბრიუნში და საცხოვრებლად გადადიან ნიცაში, სიმენის ტბის კვარტალში. მათ აქ შეიძინეს ვილა „ესტატე“, რომელიც ყველაზე საუცხოო იყო ამ კვარტალში. იგი მდებარეობდა ქედის განშტოების კალთაზე, საიდანაც ხელისგულივით მოსჩანდა მთელი ქალაქი და ზღვა. მარმარილოთი ნაგები შენობა გარშემორტყმული იყო ზეთისხილის ბაღებით, ვენახებით, ვარდნარებითა და აუზებით. პირველ სართულზე ხუთი დიდი სალონი იყო, მეორე სართულზე — თორმეტი საწოლი ოთახი, ხოლო შენობის სხვა ნაწილში მოთავსებული იყო დიდი სამუსიკო დარბაზი, გალერეა და ბიბლიოთეკა. ეს უკანასკნელი, სპეციალური გადაკეთების შემდეგ, ვან მეგვერენმა გადააქცია სახელოსნო-ლაბორატორიად.

ყველა ოთახი მოაწყვეს მდიდრული ავეჯით და ვილაში დაიწყო გაუთავებელი ზეიმები, საღამოები და ორგები. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში დაიხარჯა იმ თანხის ნახევარზე მეტი, რაც „ქრისტე ემაუსში“ გაყიდვის შემდეგ მიიღო. მაგრამ, სრულიად ნათელია, რომ ვან მეგვერენს კარგა ხანს ფული მაინც არ შემოეღევა. ახალ ადგილზე გადმოსვლისთანავე ვან მეგვერენი შეუდგა მუშაობას: ამ თამაშით ახლა ისეა გატაცებული, რომ ამიერიდან ყალბისმქმნელობის ვენებამ მოიცვა მისი როგორც შემოქმედება, ასევე მთელი ცხოვრება და სრულიად გადავიწყდა საკუთარი ტალანტის წარმოჩენა. ფალსიფიკაცია იქცა მისი შემოქმედების ქეშმარიტ მამოძრავებელ ძალად.

„ბანქოს მოთამაშენი“ (75x62 სმ.) — ვან



მეგვერდის მიერ დახატული ჰოხის მეორე სურათია, ხოლო ნიკაში ცხოვრების პერიოდში — პირველი ჰოხი. ეს სურათი 1939 წლის პირველ თვეებში დაასრულა. მას საფუძვლად დაედო ნიუ-იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში დაცული „ჰოლანდიური ინტერიერი“. ამ ორ სურათს შორის გასაოცარი მსგავსება იყო და ამჯერადაც არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა ის, რომ „ბანქოს მოთამაშენი“ და „ჰოლანდიური ინტერიერი“ განეკუთვნებოდნენ დე ჰოხის ერთ სერიას.

აღნიშნავთ, რომ ახალი სიყალბე გაცილებით გვიან გაუშვა ბაზარზე და მყიდველი მოიძებნა მხოლოდ 1941 წელს. იგი შეიძინა მდიდარმა მეწარმემ ვან დერ ვორმა 219000 გულდენად (750 000 ფრანკი). გარიგება: ახალი შუამავლის მეშვეობით მოხდა. ეს არის ჰააგაში უძრავი ქონების სავაჭროს აგენტი სტრაიბისი. სურათებით მოვაჭრე ჰოოჰენდაიკმა, რომელმაც უკვე მიიღო მონაწილეობა „ქრისტე ემაუსში“ გაყიდვის დროს, დააწმუნა ვან დერ ვორი, რათა შეეძინა ეს სურათი.

ახლა კი დაეუბრუნდეთ იმას, თუ რა მოხდა ვან მეგვერდის ცხოვრებაში 1939 წელს.

პერმეპრთან დაბრუნება

„ჩემო მეგობარო“.

მე სრულიად დაუჩქარებელ მდგომარეობაში აღმოჩნდი. წინააღმდეგ შემთხვევაში წერილს კი არ მოგწერდით, არამედ ჩანდაბაში ვაგიშვებდით. ამიტომ, უწინარესად, გაცნობებთ ჩემს ახალ ამბებს“.

ასე იწყება ვან მეგვერდის მიერ 1939 წლის ივლისში ბოონისადმი გაგზავნილი წერილი. ამ წერილში, რომელსაც მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს, ლაპარაკია ახალ „აღმოჩენებზე“.

„წინა ორშაბათს ჩვენთან მოვიდა მავრუკე თავისი ქალიშვილის წერილებითურთ, მათ შორის, ერთს ჩვენთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ქალიშვილი წერს, რომ მავრუკეს ბიძაშვილი ყერმენი, რომელიც ცხოვრობს სამხრეთში მდებარე საკუთარ ციხე-დარბაზში, სურს მისი ნახვა, რადგან კვდება კიბოთი (იგი 86 წლისაა). მავრუკე კი ერთ-ერთი მისი მეგვიდრეა. შემდეგ ქალიშვილი წერს, რომ მან ნახა „ქრისტე ემაუსში“ ფოტოსურათი და სურს გაყიდოს რამდენიმე სურათი საკუთარი კოლექციიდან (მე მგონი, ამის თაობაზე თქვენ უკვე გელაპარაკეთ). მაგრამ იგი იხსენებს, რომ როდესაც ყერმენთან (რომელსაც ისეთივე წარმოშობის კოლექცია ჰქონდა, როგორც მის მამას, ესე იგი, ცოლის მზითვის სახით შექენილი). უნახავს ბიბლიის თემის მსგავსი სურათი, მაგრამ გაცილებით დიდი იყო

და მასზე მრავალი წმინდანის ფიგურა ყოფილა გამოსახული. სამშაბათს მავრუკესთან ერთად გავემგზავრე იმ ადგილისაკენ. ორ დღეს ვეძებდი, მაგრამ ვერავითარ წმინდანებს ვერ მიაგავნი — ყველა სურათი გაცილებით გვიან ეპოქას ეკუთვნოდა. უცებ, შაბათ დღეს ერთმა შინამოსამსახურემ გვაცნობა, რომ სხევნე რამდენიმე დახვეული ტილო აწყვიათ.

სწორედ იქ აღმოვაჩინეთ ერთი ტილო, რომელიც ყველაზე დიდებული და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის, რაც კი რამ შექმნილა საერთოდ. ეს არის იანის მიერ დახატული „საიდუმლო სერობა“, მაგრამ გაცილებით დიდი ზომების და გაცილებით მშვენიერია, ვიდრე რეტერადში დაცული „ქრისტე ემაუსში“. მან მომხიბლა თავისი შესრულებითა და კომპოზიციის სრული დრამატიზმით. ყოველივე ამით იგი გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე მისი დანარჩენი სურათები. შესაძლოა ეს მისი უკანასკნელი ქმნილებაა. ხელმოწერა გაკეთებულია ამისათვის დატოვებულ თავისუფალ კუთხეში (ზომები დაახლოებით არის 2,70 X 1,50 მ). იმის შემდეგ, რაც ტილო კვლავ დავახვიეთ, ორივე, როგორც გიყვებ, მთებში დავეხეტებოდით. რა ვქნათ?

ეს ტილო სულ მცირე... (აქ ერთი სიტყვა გადაშლილია და მის ნაცვლად არაფერია ჩამატებული). მიმაჩნია, რომ მისი გაყიდვა თითქმის შეუძლებელია, თუმცა იგი ისეთივე სრულყოფილ მდგომარეობაშია, როგორც თავისი დაბადების მომენტში. არავითარი რესტავრაცია არ განუცდია და შემონახულია სრულიად ხელუხლებლად, ჩარჩო და ქვეჩარჩოც კი არა აქვს. გული კი დამწყდა, მაგრამ კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ იძულებული ვიყავი თავის ადგილზე დამებრუნებინა.

წარმოიდგინეთ უკიდურესად დაღონებულ ქრისტე, რომელსაც ნახევრადლია თვალებით ღვინით სავსე თასის ზემოდან მზერა მიუპყროსა სადღაც. წმინდა იოანეს სახე მთლიანად გამსჭვალულია მშვიდი მელანქოლიით, ხოლო წმინდა პეტრე... არა, ამის აღწერა სიტყვებით შეუძლებელია. ეს არის წარმოუდგენელი სილამაზის მთელი სიმფონია, როგორც ადრე არასოდეს შეუქმნია არც ლეონარდოს, არც რემბრანდტს, არც ველასკეს, არც სხვა ნებისმიერ ოსტატს, ვისაც კი „საიდუმლო სერობა“ დაუხატავს“.

ხელოვნური სამოთხე

ეს „საიდუმლო სერობა“, რომელიც ვან მეგვერდენმა 1939 წელს დახატა, მაინც ვერ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებრიობისათვის ავტორისავე სიცოცხლეში. ამ ჩანაფიქრის

განხორციელება მრავალმა ისტორიულმა მოვლენამ შემდეგი დროისათვის გადასდო. ომის გამოცხადების პირველი დღეებიდანვე დოქტორი ბონი ისე პირწმინდად გაქრა, რომ არავითარი მისამართი არ დაუტოვებია (გერმანელთა ჯარების მოსვლის შემწინდა და ევროპაშია მიტოვა; მას შემდეგ იგი არავის აღარასოდეს უნახავს.).

ზემოთ მოყვანილი წერილი ვან მეგვერენისა უპასუხოდ დარჩა, მით უმეტეს, რომ მისი დაწერიდან ექვსი კვირის შემდეგ ვან მეგვერენი ცოლთან ერთად ტოვებს ნიცას და ბრუნდება პოლანდიაში. ომმა იგი საბოლოოდ ჩამოაშორა ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე მდებარე ვილსს, სადაც დარჩა მისი ბევრი ნახატი და „ნივთიერი მტკიცებულება“, კერძოდ, „საიდუმლო სერობაც“, რომელსაც მხოლოდ 1948 წელს აღმოაჩინეს.

პოლანდიაში დაბრუნებისას უსახსროდ როდი იყო „ქრისტე ემუსში“ და „დღეების მოყვარულნი“ გაყიდვით შემორჩენილი კაბიტალი მას საშუალებას აძლევს ყოველთვიურად ხარჯოს 600 000 ფრანკი. (ამასთან, არ უნდა დაგვაფიწყდეს, რომ ცხოვრების დიურებულება იმ დროისათვის 50-ჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე დღეს). ამრიგად, იო და პანი კვლავ აგრძელებენ თავაწყვეტილ და მფლანგველურ ცხოვრებას; ალკოპოლისაქენ დაუოყებულ სწრაფვაში ვან მეგვერენმა ყველა ზღვარს გადააჭარბა და მორფის მოსინჯვასაც კი მიჰყო ხელი.

ბანსხვამება სინათლეში

პოლანდიაში თავდაპირველად ცოლ-ქმარის სასტუმროში დაბინავდა. იწყება 1940 წელი და მათ უკვე აღარ შეუძლიათ საფრანგეთში დაბრუნება. საომარი მოქმედებანი ქიანურდება და ვან მეგვერენმა გადაწყვიტა სახლი ეყიდა პოლანდიაში. ამსტერდამთან ახლოს სოფელ ლოენის თვალწარმტაც მიდამოებში იპოვა მოზრდილი მამული, სადაც აწყობს თავის ახალ სახელოსნო-ლაბორატორიას. ამ საქმეშიც ბევრი ფული ჩააყარა, მაგრამ მას მარაგში „ბანქოს მითამაშენი“ აქვს, რომლის თან წამოიღებაც მოახერხა (რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, ერთი წლის შემდეგ მყიდველი გამოუჩნდება). მან საჭიროდ არ ჩათვალა ნიციდან წამოედროს ტილო, რომელსაც ასერიგად აქებდა ბონისაღმი მიწერილ წერილში, ალბათ სწორედ ამიტომ, რომ ცოლად — ეს „საიდუმლო სერობა“ არ შეესაბამებოდა იმ აღფრთოვანებულ შეფასებას, როგორსაც წერილში აძლევდა. დი მან ჩაიფიქრა სხვა „საიდუმლო სერობის“ დახატვა.

როგორც კი ლორენში კეთ. ლომოაწყო ლაბორატორია, დაიწყო „მხსნელის“ დახატვა — ეს არის მცირე ზომის (48 X 30 სმ). ტილო, რომელიც წარმოადგენს წელამდე პორტრეტს და როგორც ჩანს, ჩაფიქრებული ჰქონდა წინასწარ ეტიუდად უფრო მსხვილი ვერმეერული კომპოზიციისათვის. ამ ტილოთი გამოცხადა ახალი ლეუგელი. მართალია, სურათი სიძველის იმიტაციის მხრივ არანაკლებ სრულყოფილი იყო, მაგრამ მაინც განსხვავდებოდა მისი ძველი ნამუშევრებისაგან. მართლაც, ეს იყო „ფუნჯის სინჯი“ ახალი „საიდუმლო სერობის“ შექმნის წინ. ამ მორიგე ყალბ სურათში, რომლის დახატეასაც იგი აღნიშნული ეტიუდის დამთავრებისთანავე შეუდგა, ქრისტეს სახე თითქმის იდენტურია „მხსნელის“ სახისა (ამ ორ „პორტრეტს“ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ მეორე სურათში მეტი სინათლეა). „მხსნელის“ გაყიდვაში ფალსიფიკატორმა, როგორც „ბანქოს მითამაშეების“ შემთხვევაში, კვლავ იგივე სტრაიბისი გამოიყენა.

გარბევა

დევენტერის (სადაც დაიბადა და ყრობა გაატარა პან ვან მეგვერენმა) მახლობლად მდებარე პატარა ქალაქ აელდორენში დაბადებული სტრაიბისი უძრავი ქონებით ვაჭრობის აგენტი იყო. ხელოვნებაში არაფერი გავებოდა და გულგრილი იყო XVII საუკუნის უდიდესი ოსტატების მიმართაც კი. მაგრამ ვან მეგვერენს ბავშვობიდან იცნობს და ფულიც უყვარს. ამიტომ არაფერია საკვირველი იმაში, რომ მან ყოველგვარი დაეჭვების გარეშე დაიჯერა იმ ისტორიის სიმართლე, რაც მას „შედევრების“ აღმოჩენის შესახებ მოუთხრო ფალსიფიკატორმა. ვითომ ვან მეგვერენმა ძველი ჰააგის ერთ-ერთი ოჯახისაგან, რომელიც ფინანსურ სიმწელებებს განიცდიდა, შეიძინა სურათების მცირე კოლექცია. გულდასმით შესწავლის შემდეგ ზოგიერთი მათგანი მან მიიჩნია დიდი ღირებულების მქონე ნაწარმოებად. კერძოდ, ლაპარაკია დე ჰოხის ერთ ნამუშევარზე — „ბანქოს მითამაშენი“ და ვერმეერის რამდენიმე სურათზე, მათ შორის „მხსნელზე“.

სტრაიბისის ისე უნდა ემოქმედა, რომ არსად ეხსენებინა ვან მეგვერენის სახელი, რადგან მხედველობაში უნდა ჰქონოდა მისი სავალალო ურთიერთობა პოლანდიელ მხატვართა სამყაროსთან. ფალსიფიკატორმა ამ სამსახურისათვის შუამავალს მიღებული თანხის ერთი მეექვსედი შეპირდა. უძრავი ქონებით მოვაჭრე აგენტი მოხიბლულია იმ ციფრებით, რასაც მხატვარი ასახელებდა და მან სწრაფად გამოიჩინა შესაშური მოხერხებულობა თავის ამ



ახალ საქმეში. სწორედ მან დაარწმუნა სურათებით მოვაჭრე ჰოპენდაი, რათა შეესყიდა „ბანქოს მოთამაშენი“ და „მხსნელი“ და დაედასტურებინა მათი ორიგინალობა (მოგვიანებით დადინახავთ, რომ სტრაიბისმა მხატვარს დიდი დახმარება აღმოუჩინა, რამდენადაც ვიდრე ორი სიყალბე შეაჩენა ჰოპენდაიკს). როცა ჰოპენდაიკი დაინტერესდა თუ საიდან გაჩნდნენ ეს ტილოები, სტრაიბისს ეყო ჭკუა-გრნება, რათა დაერწმუნებინა მყიდველი, რომ ამ შედეგების პატრონს სურს, რადაც უნდა დაუჭდეს, დარჩეს ინკოგნიტოდ: იმ არისტოკრატიულ ოჯახებს, რომლებიც ფინანსურ სიძნელეებს განიცდიან, არ უყვართ, როცა ამის თაობაზე სხვებმაც იციან.

ჰოპენდაიკი შეხვდა მეცენატ ვან ბენინგს (რომელიც უკვე ფლობს „დალევის მოყვარულებს“) და გაურიგდება „მხსნელის“ 475000 გულდენად ანუ 1620000 ფრანკად შესყიდვის საქმეში. ეს მომცრო ტილო (48 X 30 სმ) შეფასდა ესოდენ კოლოსალურ თანხად, რამდენადაც სრულიად ცხადია, რომ იგი ეკუთვნის იმავე ფუნჯს, რომელმაც შექმნა „ქრისტე ემაქსში“. „ქრისტე ემაუსში“ გამოჩენამ ისე იმოქმედა მათ გონებაზე, რომ ამიერიდან ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ვერმეერთან საზოგადოებაში აღიქმება მის ქმნილებად. ვან მეეგერენი მეტად ზუსტად თამაშობს ამ კოლექტიურ ფსიქოზზე. ვერმეერის (ე. ი. ვან მეეგერენის) სურათების მსგავსება იმდენად განსაცვიფრებელია, რომ ამ ახალი ტილოს ორიგინალობას აღიარებენ ავტომატურად, ყოველგვარი სპეციალური მეცნიერული გამოკვლევის გარეშე.

„მხსნელში“ მიღებული თანხა (475000 გულდენი) ასე განაწილდა:

75000 — სურათებით მოვაჭრე ჰოპენდაიკს;

70000 — შუამავალ სტრაიბისს.

33000 — ხელოვნების მოყვარულს (რომელმაც აღმოაჩინა სურათი) მხატვარ-ფალსიფიკატორ ვან მეეგერენთან ერთად.

მეორე „საიდუმლო სერობა“

ამ გარიგების დროს ვან მეეგერენი კვლავ ვერმეერს მიმართავს. XVII საუკუნის ტილო, რომელშიც ნადირობის სცენა იყო ასახული, ჰონდიუსის ფუნჯს ეკუთვნოდა. იგი ერთი წლის

წინათ შეიძინეს. სწორედ ეს ნახატი გახდა საფუძველი ახალი „ვერმეერის“ შექმნისა (ძმებმა დაუფიქსებმა, „ნადირობის“ ყოფილმა მფლობელებმა, თავიანთ არქივებში შემოგვინახეს მისი ფოტო). ფალსიფიკატორი უკვე იმდენად დარწმუნებულია საკუთარ თავში, რომ ამიერიდან იმდენად გულმოდგინედ როდი ასუფთავებს ტილოს, ვიდრე ამას ადრე აკეთებდა. ამჯერად თავისი „ვერმეერული“ ფერწერისათვის ტილოზე ჰონდიუსისეული ფერის ორი ფენა დატოვა. გასაოცარი უტიფრობით გადაწყვიტა „საიდუმლო სერობა“ ბოლომდე წაუშლელ ნადირობის სცენებზე დაეხატა, რითაც დიდი კრიკი გასწია, რადგან მისი სიყალბე სურათის პირველივე რენტგენოგრაფიითაც კი გამოჟღავნდებოდა. XVII საუკუნის რატატებს, რომლებიც ახალი სურათების შეაქმნელად იყენებდნენ საკუთარ დაუმთავრებელ ტილოებს, არასოდეს ასეთი განსხვავებული სიუჟეტები არ შეუჩრჩევიათ. მაგრამ ვან მეეგერენმა იცის, რომ არავის აზრადაც არ მოუვა ასეთი ექსპერტიზის ჩატარება.

თავისი ზომებით (174 X 244 სმ) „საიდუმლო სერობის“ ეს მცირე ვარიანტი გაცილებით მეტი გაბედულებით გამოირჩევა — ეს არის მის მიერ შექმნილ სიყალბეთა შორის ყველაზე დიდი უტიფრობა, რადგან თვით ვერმეერი ასეთი დიდ სურათებს არ ქმნიდა. გარდა ამისა, ასეთი სურათის ხელოვნურად „დაძველებისათვის“ საჭირო იყო გიგანტური ღუმელი და ტილოს გამოშრობის პროცესში მეტისმეტი გულმოდგინება და სიფრთხილე. დაბოლოს, სურათის სივრცეში ნატურალური ზომით ცამეტი პერსონაჟის განაწილება მეტად რთული ესთეტიკური პრობლემა იყო. მაგრამ ვირტუოზულმა ფსევდო-ვერმეერმა შეძლო ყველა წამოკრილი პრობლემის გადაწყვეტა. იგი კვლავ იყენებს ეფექტის საშუალებას ისევე როგორც სურათის „ქრისტე ემაუსში“ დროს — ქრისტეს სახე სურათებში „მხსნელი“ და „საიდუმლო სერობა“ აშკარად ზედამატებულია ამ მოდელთან შედარებით. ამას გარდა, „საიდუმლო სერობაში“ წმინდა იოანეს სახე, თუმცა მეტად ფაქიზად და შეუმჩნეველად, გადახატულია ვერმეერის „გოგონა მარგალიტის მარცვლით“ სურათის სახიდან.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში).

კვირფასო მშობრებო!

გილოცავთ ახალ, 1989 წელს!

«САВЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 6, 1988 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Министерства внутренних дел ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давид Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49, 95-87-87
ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ.

Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

642/12



ფასი 60 კპპ

ინდექსი 76185